# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 19 მარტი, 2011 წელი.

№51 (6663)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

## დანაშაულებრივი უპასუხისმგებლობა საკუთარი ქვეყნისა და ხალხის მომავლის წინაშე

3



## თეთრი სახლის შავი ძაღლის-შვილები



5

ძალად მაცხონე დემოკრატია

## თუ „ოპოზიციური რვიანი“ უპრინციპო აღმოჩნდება, საზოგადოება იმაზე ბევრად უარეს საარჩევნო გარემოს მიიღებს, ვიდრე წინა არჩევნებზე იყო

2

## „მკვახე შეძახილი“ „ქრონიკის“ რედაქციას!

10



## „გამარჯობა, სოფელო და ქალაქო, რეესტრი ვარ შენი სამოქალაქო“...



11

რას შეახსენებს და ავალებს მოსახლეობას ეს ამონარიდი სამოქალაქო რეესტრის სარეკლამო რგოლიდან



15

## სლოტ-კლუბების აღსასრულის ჟამი

## სოსო ცისკარიშვილს სააკაშვილის მიერ ამერიკისთვის მიცემული რჩევა მეცნაურა

2

## რევოლუცია წერასატანილ ხელისუფლებათა ხელში ხვდება

6





## 17-წლიანი სასჯელი ნოღაიდელთან თანამშრომლობის გამო

2

ზვიად ხარებავას საქმეს ადამიანის უფლებათა დაცვის ცენტრი გამოეხმაურა



გაბრიელა ფონ ჰაბსბურგი:

## მე თითოეული ქართველის ელჩი ვარ

8



როცა ბოლო გვაკვირვებს

# სოსო ცისკარიშვილს მიხეილ სააკაშვილის მიერ ამერიკისთვის მიცემული რჩევა ეუცნაურა

**ექსპერტ სოსო ცისკარიშვილს მიხეილ სააკაშვილის მიერ ამერიკისთვის მიცემული რჩევა, „ახლო აღმოსავლეთთან მიმართებაში არ გაჩუმდეს“, ეუცნაურა.**

როგორც ცისკარიშვილმა „პირველს“ განუცხადა, „იმ ფონზე, როდესაც საქართველოს ხელისუფლების უმაღლეს წარმომადგენლებს ლიბიაში მიმდინარე მოვლენებზე კრინტი არ დაუძრავთ, სააკაშვილის მხრიდან ამერიკისადმი მსგავსი მოწოდება უცნაურია“.

„ფიცი მწამს – ბოლო მაკვირვებსო“, – ნათქვამია. იმ პირობებში, როდესაც ლიბიის მისამართით თავად საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებს კრიტიკა არ გამოუთქვამთ, სააკაშვილის მიერ აშშ-ის მისამართით გაჟღერებული ეს მოწოდება, რბილად რომ ვთქვათ, უცნაურია, მით უფრო მას შემდეგ, რაც გაერომ ლიბიის არასაფრენ ზონად გამოცხადებას მხარი დაუჭირა (როგორც ცნობილია, ეს ამდენი ხნის განმავლობაში ლიბიის ოპოზიციურ ძალთა ძირითადი მოთხოვნა იყო). თუ ჩვენ ვთვლით, რომ მორალური უფლება გვაქვს, სხვას ვასწავლოთ, როგორ მოიქცეს, მაშინ იქნებ, მაგალითიც გვეჩვენებინა იმისა, რაოდენ კრიტიკულები ვართ იმ ანტიდემოკრატიული ქმედებებისადმი, რომელსაც კადაფის რეჟიმი ახორციელებს“, – განაცხადა ცისკარიშვილმა.

ექსპერტის აზრით, „როგორც ჩანს, საქართველოს პრეზიდენტს ვილაცამ კითხვა დაუსვა, რატომ არ აკეთებს შეფასებებს ლიბიაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით“.

„მაშინ, როდესაც მედვედევი, რომელსაც შეიძლება, სულ არ უნდა ამის თქმა, ამბობს, რომ საკუთარი ხალხის წინააღმდეგ იარაღის გამოყენება დანაშაულია, საქართველოს ხელისუფლება დუმს. ჩვენს ხელისუფლებაში, როგორც ჩანს, სხვაგვარი ხედვაა. ამიტომაც არის, რომ კადაფიზე და იმ მოვლენებზე, რაც ლიბიაში მიმდინარეობს, აუგი არ თქმულა“, – დასძინა ცისკარიშვილმა.

შეგახსენებთ, რომ აშშ-ში ვიზიტის ფარგლებში ბრუკინგსის ინსტიტუტში სიტყვით გამოსვლისას მიხეილ სააკაშვილმა ამერიკას რჩევა მისცა, „ახლო აღმოსავლეთის მოვლენებთან დაკავშირებით არ გაჩუმდეს“.

**ხათუნა გაგნიძე**
**პირველი**



უსამართლო სამართალი

**უცხოეთში განათლებამიღებული ეკონომისტი ზვიად ხარებავა სააკაშვილის მოწოდების შემდეგ, 2004 წელს სამშობლოში დაბრუნდა. ვიდრე მთავრობაში მუშაობას შეუდგებოდა, ჩრდილოეთ კაროლინის სახელმწიფო უნივერსიტეტში ერთდროულად მიიღო ფილოსოფიის დოქტორისა და ეკონომიკის მაგისტრის ხარისხი. 2007 წლამდე პრემიერ-მინისტრ ზურაბ ნოღაიდელის მრჩეველი იყო ეკონომიკურ საკითხებში, შემდეგ მოღვაწეობა ბიზნესის სფეროში განაგრძო.**

დღეს ის 17-წლიან სასჯელს იხდის საქართველოში. 2009 წლის 11 დეკემბერს დააკავეს და ბრალად წაუყენეს თაღლითობა, თანხის მითვისება და გაფლანგვა. პატიმარი თავს დამნაშავედ არ მიიჩნევს. ის აცხადებს, რომ მას დაკავებისთანავე შესთავაზეს ზურაბ ნოღაიდელის წინააღმდეგ რაიმე ჩვენების მიცემა. კერძოდ, გლდანის ციხეში მას მიაკითხეს პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსის მოადგილემ ზაზა ქაჩიბაიამ, გამომძიებელმა მანუჩარ ქაჯაიამ და უთხრეს, რომ „ესაუბრებოდნენ საქართველოს სახელით“ და თუ იგი მათ მიაწვდიდა ინფორმაციას ზურაბ ნოღაიდელის კორუფციული გარიგებების შესახებ, მეორე დღის საღამოსთვის გაათავისუფლებდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში – დიდი ხნით გამოკეტავდნენ ციხეში. მან მოსამართლე გიორგი ჩემიას ასეთი შინაარსის წერილი მისწერა: **„როცა სახელმწიფო მანქანა ციხეში დიდი ხნით გამოკეტვით გემუქრება და ფაქტობრივად საპყრობილეში დასამარებას გპირდება, ცხადია, ამაზე ფიქრიც კი ამაზრზენია, მაგრამ ჩემთვის კიდევ უფრო ამაზრზენია არარაობად ქცევა. ნამდვილად, არარაობად ვიქცეოდი, თუ შემოთავაზებას დავთანხმდებოდი, ამიტომ მათი წინადადება არ მივიღე“ – ხარებავას გამოძიებასთან თანამშრომლობაზე უარი არ უთქვამს, მაგრამ განაცხადა, რომ ვერ დაადასტურებდა ისეთ ფაქტს, რისი მონაწილე და თავითმხილველიც არ ყოფილა.**

გუშინ ადამიანის უფლებათა დაცვის ცენტრში ამ საქმესთან დაკავშირებით ბრიფინგი გაიმართა. ცენტრის ხელმძღვანელი უჩა ნანუაშვილი აცხადებს, რომ ზვიად ხარებავა პოლიტიკური ნიშნით იდევნება. თუმცა ზურაბ ნოღაიდელის ოპოზიციაში გადასვლის შემდეგ ნოღაიდელის მომხრეებზე ზეწოლა იყო და რამდენიმე ფაქტის შესახებ ინფორმაცია ადამიანის უფლებათა ცენტრსაც მიაწოდეს.

ზვიად ხარებავას ადვოკატი დიმიტრი ხაჩიძეც პოლიტიკური ნიშნით დევნაზე მიანიშნებს, რასაც ცენტრის ადვოკატი ეკა ქობესაშვილიც ადასტურებს. ის ამბობს, რომ „საქმეში არ არის მტკიცებულებები, თანაც ბრალდებები ეტაპობრივად წაუყენეს“.

**დიმიტრი ხაჩიძე საქმის დეტალებზე ყვება: „სისხლის სამართლის საქმეში წარმოდგენილი მასალებით არ დასტურდება ზვიად ხარებავას დანაშაული. პირველ ნაწილში, რომელიც თაღლითობას შეეხება, ბრალდების მხარეს სასამართლოზე არ წარმოუდგენია არც ერთი მტკიცებულება, რომელიც ირიბად მისცემდა ობიექტურ დამკვირვებელს ეჭვის საფუძველს. ეს ეხება 2007 წელს, როცა სახელმწიფომ პოლონურ კომპანიასთან გააფორმა ხელშეკრულება და 3 მილიონ 600 ათასი ლარი გადაუხადა ჰიდროპროექტების განსახორციელებლად. პოლონურმა კომპანიამ თავის მხრივ ქართველი სპეციალისტები გაბელია და ადამია დაიქირავა, რომელთაც ხელფასის სახით 18 ათასი დოლარის ოდენობის თანხა ეტაპობრივად გადაუხადა. ამ საკითხს ზვიად ხარებავა კურირებდა, რომელსაც ახლა ედავებიან, რომ ეს თანხა გაბელიამ და ადამიამ თაღლითური გზით მიიღეს, რომლებიც ასევე დაკავებულები არიან. 2007 წლის ამბები, რატომღაც ორი წლის შემდეგ გახდა აქტუალური.**

**რაც შეეხება მეორე ნაწილს – თანხის მითვისება და გაფლანგვა, აქაც არ იკვეთება მისი ბრალეულობა. ქეთევან წამებულის 71-ში მდებარე მიწის ნაკვეთი რამდენიმე ამორტიზებული შენობა-ნაგებობებით სახელმწიფომ არაბ ინვესტორს მიჰყიდა. კომპანიის ფინანსური დირექტორი ზვიად ხარებავა იყო. რვა შენობის დემონტაჟი რეალურად მოხდა, მაგრამ ვინაიდან ინვესტორმა აღებული ვალდებულებების შესრულება ვერ შეძლო, მიწა სახელმწიფომ უკანვე დაიბრუნა და შემდგომში სარფიანად გაყიდა. ხარებავას ედავებიან, რომ 31 შენობიდან 21 შენობის დემონტაჟი მოხდაო, რომელსაც აუდიტი მილიონ ლარამდე აფასებს. საგულისხმოა, რომ მეორედ გაყიდვის დროს სახელმწიფომ მიწასთან ერთად 15 შენობა გაყიდა, ამიტომ 21 არარეალური რიცხვია. დამოუკიდებელი ექსპერტების გათვლით, შენობის დემონტაჟის ღირებულება და ნარჩენებიდან მიღებული სარგებელი 100 ათასს არ გადააჭარბებდა. ამიტომ თანხა გაბერილია და ბრალდების მხარის მიერ მოთხოვნილი ზიანის ანაზღაურება: 929 741 ლარი რეალურად არ დასტურდება. საბოლოო ჯამში, ზვიად ხარებავას 180-ე მუხლით 7 წლით, 182-ე მუხლით 10 წლით და დამატებით სასჯელად ჯარიმა 50 ათასი ლარი განესაზღვრა.**

## 17-წლიანი სასჯელი ნოღაიდელთან თანამშრომლობის გამო



ზვიად ხარებავას საქმეს ადამიანის უფლებათა დაცვის ცენტრი გამოეხმაურა

განაჩენი უზენაეს სასამართლოშია გასაჩივრებული, მაგრამ ქართველი უფლებადამცველები გამამართლებელ ვერდიქტს არც აქედან ელოდებიან. ისინი ევროპის სასამართლოში გასაჩივრებას აპირებენ, თუმცა გუშინ ადამიანის უფლებათა ცენტრმა სპეციალური მიმართვა გაუგზავნა საქართველოში აკრედიტებულ საერთაშორისო ორგანიზაციებსა და დიპლომატიურ კორპუსს.

ზურაბ ნოღაიდელიც ამბობს, რომ ხარებავას დასაცავად ყველაფერს გააკეთებს: „მივმართავ საერთაშორისო ორგანიზაციებს, საელჩოებს, დავეხმარები ყველაფრით, რითაც შევძლებ... ძალიან მძიმეა, როცა ადამიანი შეთითხნილი ბრალდებით იხდის 17-წლიან სასჯელს, მკვლელებს კი 7-8 წელიწადში ათავისუფლებენ. როცა დაიჭირეს, მის ოჯახს დახმარება შევთავაზე, მაგრამ უარი მითხრეს იმ მოტივით, რომ ეგონათ, ქართული სასამართლოს მეშვეობით სიმართლეს იპოვნიდნენ, რაც, საბოლოოდ შეუძლებელი აღმოჩნდა“.

**ბრიფინგზე ზვიად ხარებავას ძმაც იმყოფებოდა. „ჩემი ძმა ღირსეული ადამიანია. იმის გამო ისჯება, რომ არ დათანხმდა პროკურატურასთან თანამშრომლობას და ნოღაიდელის წინააღმდეგ ყალბი ჩვენების მიცემას. მაგრამ ჩემი ოჯახი უსამართლობას არ შეეგუება და სიმართლის დასადგენად ბოლომდე ვიბრძოლებთ“, – განაცხადა გრიგოლ ხარებავამ.**

**ნია ფიფია**

ვარაუდი

# თუ „ოპოზიციური რვიანი“ უპრინციპო აღმოჩნდება, საზოგადოება იმაზე ბევრად უარეს საარჩევნო გარემოს მიიღებს, ვიდრე წინა არჩევნებზე იყო



**საარჩევნო გარემოზე, საარჩევნო კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანის მიზნით ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის მიმდინარე მოლაპარაკებებსა და სავარაუდო შედეგებზე, „ინტერპრესნიუსი“ საარჩევნო და პოლიტტექნოლოგიების კვლევის ცენტრის დირექტორს კახა კახიშვილს ესაუბრა.**

**– ბატონო კახა, საზოგადოების საკმაოდ დიდი ნაწილი საარჩევნო გარემოსა და საარჩევნო კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანის მიზნით ხელისუფლებისა ოპოზიციის მოლაპარაკებებისადმი სკეპტიკურად არის განწყობილი. რამდენადაც ვიცით, სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად თქვენ გაქვთ საშუალება, თვალი ადევნოთ მოლაპარაკებების პროცესს. როგორ შეაფასებდით მიმდინარე კონსულტაციებს და სავარაუდოდ რა შედეგით დასრულდება იგი?**

– პირველ რიგში, შედეგი დამოკიდებულია ხელისუფლების პოლიტიკურ ნებასა და ოპოზიციის მხრიდან პოზიციიების დაცვაზე. მესმის, რომ ამ ეტაპზე ხელისუფლება თავს მყარად გრძნობს, არ არის მზად, საარჩევნო ბერკეტები რეალურად დათმოს. მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ ამ პროცესში საერთაშორისო ორგანიზაციების, პარტნიორი ქვეყნების პოზიტიურ მოლოდინს, ამას თუ დავუმატებთ იმ ფაქტორსაც, რომ ხელისუფლებასაც სჭირდება 2012 და 2013 წლის არჩევნების დემოკრატიულ პირობებში ჩატარება, ხელისუფლების მხრიდან რიგი დათმობები შესაძლებელია. ეს იქნება ურთულესი პროცესი, რომელსაც ოპოზიციამ უნდა გაუძლოს და ბოლომდე შეინარჩუნოს პრინციპულობა, ერთიანი ხედვა.

არ უნდა განმეორდეს NDI-ის ფორმატში განხორციელებული ცვლილებები. იმ შემთხვევაშიც, თუ ამ მოლაპარაკებების მაგიდასთან ხელისუფლება დათმობს რიგ საკითხებს, საჭიროა მკაცრი კონტროლი, რომ რასაც დათმობს, ზუსტად ისე აისახოს საარჩევნო კოდექსში და გამოირიცხოს ორაზროვანი ინტერპრეტაციები. ამის მაგალითებიც არსებობს.

საარჩევნო გარემოს გაუმჯობესება მხოლოდ საარჩევნო კოდექსს არ უკავშირდება. ამ შემთხვევაში საარჩევნო კოდექსი არის ერთ-ერთი, მართალია მნიშვნელოვანი, მაგრამ მაინც არა ერთადერთი კომპონენტი. ცვლილებები უნდა შეეხოს მთელ რიგ კანონებს, რომელიც არეგულირებს სახელისუფლო მანქანის მუშაობას და რაც ძალიან მნიშვნელოვანია, მედიასივრცეს. უნდა შეიქმნას საზოგადოებრივი მონიტორინგის ჯგუფები, რომლებიც შეისწავლიან სხვადასხვა უწყებებისა და ცალკეული თანამდებობის პირების ჩართულობას საარჩევნო პროცესში. ჩინოვნიკები დარწმუნებული უნდა იყვნენ, რომ მათი მხრიდან საარჩევნო კანონის დარღვევის შემთხვევაში მკაცრი სანქციები იქნება გამოყენებული. მნიშვნელოვანია, რომ განსახორციელებელი სასჯელი დარღვევის ადეკვატური იყოს და მოქმედი სასაცილო სანქციებით არ შემოიფარგლოს.

**– ბევრი მიიჩნევს, რომ ხელისუფლება პრაქტიკულად არაფერს არ დათმობს და მხოლოდ დრო გაჰყავს... თქვენც ასე ფიქრობთ?**

– ვიმეორებ, მთავარია ოპოზიციის მხრიდან პრინციპულობისა და ერთიანი პოზიციის შენარჩუნება. ასევე, მნიშვნელოვანია, მოლაპარაკებების შედეგად ფასადური ცვლილებები არ მივიღოთ, რომელიც ვირტუალური დემოკრატიის ერთ-ერთი კომპონენტი იქნება.

იხ. 4 გვ.

მიზნობრივი ინიციატივა – საქართველოსთვის

# როგორ მოხდება ევროპიდან დაბრუნებულ არალეგალთა საზოგადოებაში ინტეგრაცია?

## ევროკავშირის 3 მილიონი ევრო მიგრანტებს პრობლემებს ვერ მოუგვარებს...

**საქართველოსა და ევროკავშირს შორის სავიზიო რეჟიმის გამარტივება, ფაქტობრივად დიდ პრობლემებს შეუქმნის ევროპაში მცხოვრებ საქართველოს არალეგალ მოქალაქეებს. ბენილუქსის ქვეყნებში შედარებით გამარტივებული გადაადგილება მხოლოდ ლეგალურად ჩასულთათვის არის ხელმისაწვდომი. 1 მარტიდან გამარტივებული რეჟიმი ოფიციალურად მოქმედებს და რამდენიმე არალეგალი უკვე დააბრუნეს საქართველოში.**



გუშინ ამ საკითხთან დაკავშირებით სასტუმრო „რედისონში" კონფერენცია გაიმართა ევროპიდან ჩამოსული სტუმრების მონაწილეობით. პროექტის განსახორციელებლად ევროკავშირმა 3 მილიონი ევრო გამოყო, რომელსაც ევროკავშირის წევრი 9 ქვეყანა ახორციელებს ჩეხეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს მეთვალყურეობით.

როგორც ევროკავშირის დელეგაციის ხელმძღვანელმა **ფილიპ დიმიტროვმა** აღნიშნა: **„სავიზო რეჟიმის გამარტივებისა და რეადმისის შესახებ ხელშეკრულება, ეს გახლავთ ერთი მედლის ორი მხარე. ერთი მეორეს გარეშე შეუძლებელია. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ აღმოვჩნდებით ევროპის დახურული კარის წინაშე. ეს ხელშეკრულება მყისიერად როდი მოუტანს ცვლილებებს საქართველოს მოქალაქეებს, მაგრამ ეტაპობრივად განხორციელდება რამდენიმე პროექტი. ევროკავშირმა 3 მილიონი ევრო იმისთვის გამოყო, რომ მდგომარეობა შეუმსუბუქოს მოქალაქეებს. არალეგალები იძულებულები გახდებიან, დაბრუნდნენ სამშობლოში, მაგრამ ჩვენთვის მთავარია, რომ ისინი ღირსეულად დაბრუნდნენ".**

მიგრანტების რეინტეგრაციასთან დაკავშირებით არაერთი პაქტი, ვალდებულება აქვს აღებული საქართველოს, დაიდო ხელშეკრულებები, დაიწერა პროექტები, თუმცა დღემდე მტკივნეულია საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა საკითხი. როგორ მოხდება სამშობლოში ჩამოსული თანამემამულეების საზოგადოებაში ინტეგრაცია, როცა დასაქმება კვლავ დიდი პრობლემაა ქვეყნისათვის? – ეს ჯერ კიდევ ხელისუფლების დიდი თავსატეხია.

მიგრაციის მართვა რამდენიმე სამინისტროს შორის გადანაწილდა. მათ შორის მთავარი მისია ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს აკისრია. მან უნდა უზრუნველყოს დაბრუნებული მიგრანტების „მობილობის ცენტრის" შექმნა: დროებითი თავშესაფრის მოძიება და სამედიცინო დახმარების აღმოჩენა, პროფესიული სწავლების კურსების განსაზღვრა და მათი ღირებულების დაფარვაც კი, ბიზნესგეგმის შემუშავება და ინდივიდუალურ შემთხვევაში მათი დაფინანსება და დასაქმება. ამის პირობა გუშინ შეხვედრაზე მისულმა მინისტრმა კობა სუბელიანმა საჯაროდ დადო, თუმცა როცა გადავხედეთ პროგრამას, თუ ვის და რამდენს შეიძლება აღმოუჩინონ ამგვარი დახმარებები, ციფრები მიზერული აღმოჩნდა. **პროექტის შედეგად, დაახლოებით 1800 მიგრანტი ისარგებლებს სამედიცინო დახმარებით, 600 გაივლის კონსულტაციას შესაძლო დასაქმების შესახებ, 700 ისარგებლებს სატრენინგო პროგრამით, 90-მდე დაბრუნებული მიგრანტი მიიღებს დახმარებას მცირე ბიზნესის დასაწყებად, 180-მდე – დროებით თავშესაფარს...** თუკი გავითვალისწინებთ, რომ პროექტი სამწლიან პერიოდს მოიცავს, ალბათ, მიხვდებით, თუ რაოდენ მწირია იმ დახმარებათა ნუსხა, რომელსაც ევროპიდან გამოყრილი არალეგალები მიიღებენ, რადგან მართალია, ოფიციალურად არავინ იცის, ასეთი რამდენი მოქალაქეა, თუმცა არაოფიციალურად მათი რიცხოვნობა ათი ათასებს სცდება...

თანაც, ყველას კარგად გვახსოვს პრეზიდენტის ხმამაღალი მოწოდება, დაბრუნებულიყვნენ მიგრანტები საქართველოში, რასაც მართლაც მოჰყვა მძაფრი რეაქციის ეტაპი. ბევრი დაბრუნდა, მაგრამ მალევე ისევ უცხოეთს მიაშურა, შეუსრულებელი დანაპირების გამო...

**ზოგადად, არალეგალთა მიგრაცია არ არის მხოლოდ საქართველოს პრობლემა, ის გლობალური ხასიათისაა, მაგრამ ვინაიდან ჩვენთან – სამშობლოში დარჩენილთა ბედი, მით უფრო დაუსაქმებლების, დღითი დღე მძიმდება, არავინ იცის, როგორ გააგრძელებენ დაბრუნებული მიგრანტები აქ არსებობას. ასე რომ, გამარტივებული სავიზო რეჟიმი ევროკავშირთან, რომელიც საქართველოს საგარეო პოლიტიკური კურსის ერთ-ერთ მიღწევად უნდა ჩაითვალოს, რეალურად ძალიან არასასურველ და პრობლემურ ფაქტორებს შექმნის საქართველოში.**

თეა მოსია

ვარაუდი



# დანაშაულებრივი უპასუხისმგებლობა საკუთარი ქვეყნისა და ხალხის მომავლის წინაშე

სამწუხაროდ, უკანასკნელ პერიოდში საკმაოდ გახშირდა მსხვერპლი ერაყსა და ავღანეთში მყოფ ქართველ სამხედროებს შორის. ამის მიუხედავად, მსოფლიოს ამ ყველაზე ცხელ წერტილებში ქართველი ჯარისკაცების ყოფნის მიზანშეწონილობის საკითხს ჯერ კიდევ ერთგვარი „ტაბუ" აქვს დადებული. საზოგადოება „დამუშავებულია" იმ აზრით, რომ ჩვენ რაღაც უზომო და გადაუხდელი „ვალი" გვმართებს დასავლელი „პარტნიორების" წინაშე, რომლის ფონზე უხერხულიც კი არის საერთოდ ამ თემაზე ლაპარაკი(?!ძ

ამჯერად არ ვაპირებ იმის განხილვას, თუ რა ვალია ასეთი, რომელიც აქამდე ვერ გადავიხადეთ და საერთოდ, ვის აქვს აღებული ეს „გადაუხდელი" ვალი. არც იმაზე შევაჩერებ მკითხველის ყურადღებას, რამდენად სამართლიანია ეს ომი და რამდენად მართებულია ჩვენი ბიჭების სიცოცხლე სასწორზე შევაგდოთ მეტად საეჭვო „დემოკრატიის გავრცელების" კამპანიისთვის, რომლისაც თვითონ ამერიკაში უკვე აღარავის სჯერა.

ამჯერად მინდა უბრალოდ საქმის კურსში ჩაგაყენოთ იმ ყველაზე საშიში საფრთხის შესახებ, რასთანაც შეიძლება მიგვიყვანოს ერაყ-ავღანეთის კამპანიაში მონაწილეობამ.

როგორც უნდა დამთავრდეს ავღანეთისა და ერაყის კამპანია, ერთი რამ ცხადია: ამ ქვეყნების ოკუპაციამ არა მარტო ვერ მოსპო ან შეამცირა მსოფლიო ტერორიზმის საფრთხე, არამედ პირიქით, ხელი შეუწყო ამ მოვლენის აქამდე არნახული მასშტაბით გაძლიერებას. დღეს მთელი მსოფლიო ხედავს, რომ ოკუპაციის შემდეგ რამდენჯერმე გაიზარდა ტერორისტული აქტების არა მარტო სიხშირე, არამედ გავრცელების გეოგრაფიაც.

ეს ყველაფერი კი ძალიან ადვილი გასათვლელი იყო: იგივე ავღანელი ფუნდამენტალისტები, რომელთაც დღეს აღარ აქვთ სახელმწიფო ძალაუფლება და შესაბამისად, არავითარ ვალდებულებას აღარ გრძნობენ მსოფლიო საზოგადოების წინაშე, აქტიურად იყენებენ ტერორს, როგორც ერთადერთ (და ყველაზე საშიშ შემორჩენილ ბრძოლის საშუალებას ნამდვილი და წარმოსახვითი მტრების წინააღმდეგ. თუმცა, ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ავღანური და ზოგადად ისლამური ფუნდამენტალიზმის წარმოშობა განუყოფელია იგივე დასავლური სპეცსამსახურებისგან, რომლებიც იყენებდნენ მათ არა მხოლოდ იმავე ავღანეთში საბჭოთა ჯარების წინააღმდეგ, არამედ სულ ცოტა ხნის წინათ სერბების წინააღმდეგ კოსოვოს კონფლიქტში.

ასეა თუ ისე, რა თამაშებიც არ უნდა მიმდინარეობდეს „კულუარებში", გარეგნულად „შექმნილი" მაინც დაუპირისპირდა „შემქმნელს" და დღეს გვაქვს ერთ მხრივ ანტიტერორისტული კოალიცია და მეორე მხრივ ანტიდასავლური ფუნდამენტალიზმი, რომელიც ყველა საშუალებით ცდილობს ამერიკისა და მისი მოკავშირეების დამარცხებას.

იხ. 4 გვ.

ინფორმაცია

## „რუსეთის მსო-ში გაწევრებაზე მიმდინარე მოლაპარაკებებზე პოლიტიკანობის ადგილი არ არის"

**მოსკოვი დარწმუნებულია, რომ „აშშ-ს შეუძლია, რუსეთის მსო-ში გაწევრებასთან დაკავშირებით საქართველოს პოზიციაზე გავლენა მოახდინოს".**

**ამის შესახებ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ სერგეი რიაბკოვმა განაცხადა.**

**„ექსვგარეშეა, რომ აშშ-ს შეუძლია, რუსეთის მსო-ში გაწევრებასთან დაკავშირებით საქართველოს პოზიციაზე გავლენა მოახდინოს. საკითხი იმაში მდგომარეობს, მოინდომებს თუ არა აშშ ამის გაკეთებას და თუ მოინდომებს – რა ხარისხით", – განაცხადა რიაბკოვმა.**

**მისივე თქმით, „რუსეთის მსო-ში გაწევრებასთან დაკავშირებით წმინდა სავაჭრო-ეკონომიკური საკითხები განიხილება".**

**„რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრების საკითხზე მიმდინარე მოლაპარაკებებზე პოლიტიკანობის ადგილი არ არის, რის თავსმოხვევასაც ჩვენთვის ბატონი სააკაშვილი ცდილობს", – აღნიშნა რიაბკოვმა და აქვე დასძინა, რომ „სავაჭრო რეჟიმის საკითხები განხილვას ექვემდებარება".**

**„ბორჯომი" ბევრს უყვარს. მოდით, შევთანხმდეთ ჩვენთვის მისაღებ პირობებზე, რომლითაც რუსეთი მსო-ში გაწევრიანდება, მერე კი გადავწყვიტოთ, რა ვუყოთ „ბორჯომს" და ყველაფერ დანარჩენს. თუმცა არ შეიძლება, მსო-ში გაწევრების საკითხი გამოვიყენოთ, როგორც ინსტრუმენტი შეუცვლელის შესაცვლელად და კავკასიაში ახალი პოლიტიკური რეალიების ცვლილებებს დასაქვემდებარებლად", – დასძინა მან.**

„პირველი"

## მიშას კიდევ უფლებების გაზრდა უნდა?

**საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილებება იზრდება. აღნიშნულთან დაკავშირებით ცვლილება შედის „სივრცითი მოწყობის და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" კანონში.**

**კანონპროექტის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტი იძენს სარეკრეაციო ტერიტორიებისა და განსაკუთრებული სამშენებლო რეგულირების ზონების გამოყენებასა და გაშენების რეგულირების, სარეკრაიციო ტერიტორიებზე და განსაკუთრებული სამშენებლო რეგულირების ზონებში მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და სარეკრეაციო ტერიტორიებზე და განსაკუთრებული სამშენებლო რეგულირების ზონებში განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების განსხვავებული წესების განსაზღვრის უფლებამოსილებას. ასევე საქართველოს პრეზიდენტს უფლება ექნება აღნიშნული უფლებამოსილებები განსაზღვრული ვადით, მოახდინოს დელეგირება სხვა სახელმწიფო ან თვითმმართველ ორგანოებზე. კანონპროექტის ინიციატორები დეპუტატები პავლე კუბლაშვილი, კახაბერ ანჯაფარიძე და ანდრო ალავიძე არიან.**

ХО-ЕОВ-ЕНО

ინფორმაცია

## საქართველო იაპონიიდან კვების პროდუქტების იმპორტს არ ახორციელებს

**„საქსტატის" პრესსამსახურის ინფორმაციით, მიმდინარე წლის იანვარში იაპონიიდან იმპორტის მოცულობამ 9,025 მლნ დოლარი შეადგინა, თუმცა კვების პროდუქტები იმპორტირებულ საქონელში არ შედის.**



**იმპორტში პირველ ადგილს – ავტომობილები, მეორეს - ავტონაწილები, მათ შორის საბურავები იკავებენ.**

**ამასთან, როგორც „საქსტატში" აღნიშნავენ, 2009-2010 წლებში საქართველომ იაპონიიდან თევზის იმპორტი განახორციელა, თუმცა – ძალიან მცირე რაოდენობით.**

პირველი

თვალსაზრისი

# დანაშაულებრივი უპასუხისმგებლობა საკუთარი ქვეყნისა და ხალხის მომავლის წინაშე

(მესამე გვერდიდან)

ამავე დროს, საქართველოში ცოტა ვინმე თუ აცნობიერებს, რომ ჩვენ ზუსტად ისეთივე ომის მდგომარეობაში ვიმყოფებით ისლამურ ფუნდამენტალიზმთან, როგორც კოალიციის სხვა ქვეყნები. ერთადერთი მიზეზი, რატომაც ჩვენ ეს ჯერ საკუთარ ტერიტორიაზე არ „გვაგრძნობინეს“, არის ის, რომ ქართველების ყოფნას იქ არ ჰქონდა გადამწყვეტი მნიშვნელობა და ისლამისტებიც დაკავებულნი იყვნენ „უფრო მსხვილი“ მოწინააღმდეგეებით. მაგრამ ეს ფაქტი ერთი წამითაც არ ცვლის იმ მოცემულობას, რომ საქართველო ანტიტერორისტული კოალიციის ერთ-ერთი წევრი ქვეყანაა, იმ კოალიციისა, რომელსაც ძალიან ბევრი ავღანელი და ერაყელი საოკუპაციო რეჟიმად განიხილავს!



დღეს კი, იმ ფონზე, როცა კოალიციის სხვა ქვეყნები ამცირებენ თავიანთ კონტინგენტს, ან საერთოდ გამოყავთ ისინი, ხოლო საქართველო პირიქით, ზრდის საკუთარი ჯარების რაოდენობას, რათა ნაწილობრივ მაინც მოახერხოს ამ დანაკლისის შევსება და „თავი მოიწონოს“ „მფარველის“ წინაშე, სულაც არ იქნება გასაკვირი, რომ ფუნდამენტალისტების თვალში საქართველო ამერიკის ერთადერთი (ან უმთავრესიძ მოკავშირე აღმოჩნდეს. თუ ეს მართლაც ასე მოხდება, მაშინ იმ სცენარის წარმოდგენაც კი ძნელია, რაც შეიძლება ფუნდამენტალისტებმა საქართველოსთვის „დაწერონ“.

საშუალოსტატისტიკური ისლამისტისთვის, რომლისთვისაც ამერიკა და მთელი მისი „კოალიცია“ ის დამპყრობელია, რომელიც ცდილობს მისი ქვეყნის კოლონიად გადაქცევას და ადგილობრივი წესჩვეულებების მოსპობას, ჩვენ ზუსტად ისეთივე დამპყრობლები ვართ, როგორც თვითონ ამერიკელები, და მისი გადასახედიდან ის აბსოლუტურად მართალი იქნება, დაიცვას თავისი სამშობლო ნებისმიერი მეთოდით.

ვიმეორებ - მისი გადასახედიდან, რატომ უნდა თქვას ამ ადამიანმა უარი, გააკეთოს საქართველოში იგივე, რასაც აკეთებს ბრიტანეთში ან ამერიკაში? და განა მარტო იქ? მით უმეტეს, როცა ამის გაკეთება საქართველოში გაცილებით ადვილია, ვიდრე ათასობით კილომეტრით დაშორებულ და უახლესი ტექნოლოგიებით დაცულ დასავლეთში.

თუ დავფიქრდებით, ძალიან ადვილად მივალთ იმ დასკვნამდე, რომ საქართველოს „აქტიურობამ“ ერაყ-ავღანეთის ოპერაციაში ძალიან ადვილად შეიძლება იგი აგრესიული ისლამისა და ტერორიზმის ერთ-ერთ სამიზნედ აქციოს, ხოლო თუ რა შეუძლია აგრესიულ ისლამს არა თუ ქართული, არამედ თვით ამერიკული თავდაცვისა და უშიშროების პირობებში, ეს 2001 წლის 11 სექტემბერს მთელმა მსოფლიომ პირდაპირ ეთერში იხილა.

არადა საქართველო, თავისი გეოგრაფიული (და კულტურულიძ რეალობიდან გამომდინარე, პირველ რიგში უნდა იყოს დაინტერესებული დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის დაძაბულობის შემცირებით. ცნობილია, რომ თუ „ცივილიზაციათა შეჯახება“ მართლაც მოხდება, ამით ყველაზე მეტად სწორედ ცივილიზაციათა „ზღვარზე“ მყოფი ქვეყნები დაზარალდებიან, მით უმეტეს, ისეთი პატარა და მცირერიცხოვანი ქვეყნები, როგორიც საქართველოა.

უზარმაზარი, მზარდი და გაძლიერების პროცესში მყოფი ისლამური სამყაროს გადამტერება, მით უმეტეს მაშინ, როცა „ამერიკამდე ძალიან შორია“, ხოლო ისლამურ სამყარომდე - ძალიან ახლო, არის საკუთარი ქვეყნისა და ხალხის მომავალის წინაშე დანაშაულებრივი უპასუხისმგებლობა, რომელიც შეიძლება ძალიან სავალალო შედეგით დასრულდეს.

აი ეს არის ყველაზე დიდი საფრთხე, რაც შეიძლება მოგვიტანოს ზედმეტმა აქტიურობამ და „დემოკრატიის ექსპორტის“ მცდელობამ იმ ქვეყნებში, რომლებშიც არავის დავუპატიჟნივართ ამის გასაკეთებლად.

**ზვიად ავალიანი**

ინფორმაცია

## რუსეთი და თურქეთი ლიბიაში შეჭრის წინააღმდეგნი არიან

**განცხადება ამის შესახებ რუსეთის შეიარაღებული ძალების გენშტაბის უფროსმა ნიკოლაი მაკაროვმა გააკეთა.**

**„არა, ეს გამორიცხულია“, — განაცხადა მაკაროვმა რუსულ მედიასთან საუბარში კითხვაზე პასუხის გაცემისას, მიიღებს თუ არა რუსეთის ნატოს წინააღმდეგ განხორციელებულ სამხედრო-საჰაერო ოპერაციაში მონაწილეობას.**

**აღსანიშნავია, რომ ლიბიაში შეჭრის წინააღმდეგია ასევე თურქეთი. ამის მიუხედავად, ნატოს ხელმძღვანელობა საგანგებო თათბირზე შეიკრიბა გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ ლიბიის შესახებ მიღებული ზომების რეალიზაციის საკითხების განსახილველად. ნატომ ლიბიის წინააღმდეგ საერთაშორისო სამხედრო-საჰაერო ოპერაციის ჩასატარებლად მზადყოფნა ოფიციალურად უკვე გამოაცხადა. განცხადება ამის შესახებ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ოან ლუნგესკუმ გუშინ გააკეთა.**

ჯი-ეიჩ-ენი

ვარაუდი

(მეორე გვერდიდან)

**— ცხადია, რომ ბიომეტრიული პასპორტები ამომრჩეველთა რეალური სიის შედგენისთვის საუკეთესო საშუალებაა, მაგრამ ხელისუფლებამ ოპოზიციას ბიომეტრიული პასპორტების შემოღება მხოლოდ თბილისში შესთავაზა. თქვენი აზრით, ამ საკითხში საბოლოოდ რა გადაწყვეტილება იქნება მიღებული?**

— ბიომეტრია არჩევნებში სიახლეა და პრაქტიკულად არც ერთ ქვეყანაში არ გამოიყენება. გამონაკლისია მხოლოდ ბოლივია, მაგრამ იქაც ბიოპარამეტრებით მხოლოდ სია შეადგინეს, ამომრჩევლისთვის ბიომეტრიული პირადობის მოწმობები არ გაუციათ და, რაც მთავარია, კენჭისყრის დღეს ამომრჩევლის ვერსიფიკაცია არ ვარგარეთის ძველ პასპორტზე და ასე შემდეგ.

ვფიქრობ, რომ დუბლირების პრობლემის მოგვარება, გარდა ზემოხსენებული ბერკეტებისა, შესაძლებელია სურათიანი ერთიანი სიის მომზადებით და ამომრჩევლების ხელახალი რეგისტრაციით. აღარავინ დაობს, რომ 2010 წლის თვითმმართველობის არჩევნების დროს სიის გადამოწმების მიზნით ცალკეული პარტიების დაფინანსებამ არ გაამართლა.

**— მაჟორიტარი დეპუტატების თემა ასევე დავების განხილვისა და საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების საკითხი კონსულტაციების საგანია. ამ საკითხებში რაზე შეიძლება შეჯერდნენ ხელისუფლებისა და ოპოზიციის წარმომადგენლები?**

თიან სიაში რეგისტრირებული ამომრჩევლების პროცენტიდან, მაშინ ალბათ საარჩევნო სიაშიც მივიღებთ გაცილებით ნაკლებ ამომრჩეველს.

რაც შეეხება მაჟორიტარი დეპუტატების არჩევას. მიმაჩნია, რომ ეს ძალიან სადაო საკითხია, ერთი მხრივ უსამართლოა ის გარემოება, რომ 20 000-იანი და 100 000-იანი საარჩევნო ოლქი ერთ დეპუტატს ირჩევს, მაგრამ გასათვალისწინებელია ჩვენი ქვეყნის ეთნიკური საკითხიც. მაჟორიტარულ სისტემაზე უარის თქმა უსამართლოდ მიმაჩნია, ვინაიდან გამოდის, რომ პიროვნებას ართმევ უფლებას, იყოს არჩეული, თუ არ გაწევრდება რომელიმე პარტიაში და მას არ ჩაწერენ პარტიულ სიაში. სხვათა შორის, საერთაშორისო ორგანიზაციები ითხოვენ, რომ უპარტიო კანდიდატს ჰქონდეს პასიური საარჩევნო უფლება.

# თუ „ოპოზიციური რვიანი“ უპრინციპო აღმოჩნდება, საზოგადოება იმაზე ბევრად უარეს საარჩევნო გარემოს მიიღებს, ვიდრე წინა არჩევნებზე იყო

მომხდარა. ეს არის ტექნიკურად ძალიან რთული პროცესი. იმისათვის, რომ ის დაინერგოს ჩვენს საარჩევნო სისტემაში და, რაც მთავარია, იმუშაოს ისე, როგორც უნდა იმუშაოს, ხელისუფლებას უნდა ჰქონდეს ამის მყარი ნება.

მიმაჩნია, რომ ერთი ხელის მოსმით მთელი ქვეყნის მასშტაბით ბიომეტრიული პასპორტების დანერგვა არ შეიძლება, ვინაიდან შესაძლებელია, მივიღოთ ისეთი ვითარება, რომ ზოგიერთ რაიონში, სხვადასხვა მიზეზის გამო, განზრახვით ან არცოდნით, საერთოდ ჩაიშალოს არჩევნები. ამ საქმეში ჩვენ გვაქვს პირველობის ამბიცია და ვიმედოვნებთ, რომ ბიომეტრია რეალურად მოგვცემს საშუალებას, აღმოვფხრათ ამომრჩევლების დუბლირება. მაგრამ მიმაჩნია, რომ პირველ ეტაპზე საჭიროა, ჩატარდეს ამ სისტემის შექმნისა და პრაქტიკული გამოყენების საპილოტე პროგრამა ერთი რომელიმე ოლქის საზღვრებში, რაც საშუალებას მოგვცემს, დავინახოთ პროგრამის დადებითი და უარყოფითი მხარე, საჭიროების შემთხვევაში კი — 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე კიდევ ერთხელ დავხვეწოთ.




რაც მთავარია, უნდა გავითვალისწინოთ, რომ 2012 წლის საპარლამენტო და 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში უნდა შევიმუშავოთ ერთიანი სისტემა და მხოლოდ ერთი პარამეტრით. ის, რომ ხელისუფლება გვთავაზობს მხოლოდ თბილისში ბიომეტრიული პასპორტების გაკეთებას, პრობლემას ვერ მოხსნის, პირიქით, შესაძლებელია, მივიღოთ კიდევ უფრო უარესი შედეგი, ვინაიდან სხვადასხვა ტიპის პირადობის დამადასტურებელი მოწმობებით არჩევნების ჩატარება სახიფათოა ამომრჩევლების დუბლირების თვალსაზრისით. არ უნდა მივიღოთ ისეთი ნორმა, რომელიც ამომრჩეველს კენჭისყრის დღეს საშუალებას მისცემს, რამდენიმე ტიპის პირადობის მოწმობა გამოიყენოს. საუბარია ახალ ბიომეტრიულ მოწმობაზე, პირადობის ძველ მოწმობაზე, ახალ ბიომეტრიულ პასპორტზე, საზღ-

— უნდა შეჯერდნენ ისეთ მექანიზმზე, რომლის ნდობა ექნება არა მხოლოდ არჩევნებში მონაწილე სუბიექტებს — პარტიებს ვგულისხმობ, არამედ მთელ საზოგადოებას. ეს მნიშვნელოვანია, ვინაიდან როგორც მოგეხსნებათ, მოსახლეობას არჩევნების მიმართ დიდი ნდობა აღარ აქვს.

საჭიროა საარჩევნო დავების მოწესრიგების ცალკე კორპუსი. შეიძლება მას დავარქვათ საარჩევნო დავების არბიტრჟი. მასში დასაქმებულ მოხელეებს საარჩევნო დავების განხილვის გამოცდილება ექნებათ. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია ამ ხალხის სათანადოდ მომზადება. ამასთან, ურიგო არ იქნება, თუ ამ მოხელეებს, თანამდებობის პირთა მხრიდან შესაძლო ზეწოლის პრევენციის მიზნით, შევუქმნით ქმედით ხელშეუხებლობის გარანტიებს. რაც მთავარია, ამ კორპუსის საქმიანობაში არ უნდა ჩაერიოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, რომელსაც მათ მიმართ დისციპლინური დევნის საშუალება ექნება.

ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია არჩევნების შედეგების შეჯამების წესი. მიმაჩნია, რომ მოქმედი წესი აუცილებლად შესაცვლელია. უნდა გადაიხედოს არჩევნების შეჯამების პრაქტიკა. არ არის სამართლიანი, როდესაც ხმების შეჯამება ხდება მხოლოდ მისული ამომრჩევლების ხმებით, თან არ არსებობს სისტემა ყველა კანდიდატის წინააღმდეგ მიცემული პოზიციის დაფიქსირებისა, აღარაფერს ვამბობ ისეთი შეჯამების პრინციპზე, სადაც გამარჯვებულს „მიაქვს“ ყველაფერი.

თუ დავნერგავთ პრინციპს, რომ არჩევნების შედეგები შეჯამდეს ერ-

რაც შეეხება მაჟორიტარულ კორპუსზე უარს იმ მოტივით, რომ ხელისუფლება ასეთი ტიპის არჩევნებში იყენებს მსხვილი ბიზნესმენების რესურსებს და გავლენას, არ მიმაჩნია სამართლიანად. მათი გამოყენება შესაძლებელია ასევე პარტიულ სიაში ჩაწერისას. მაგალითისთვის: პიროვნებას, რომელსაც აქვს დიდი ფინანსური რესურსი, სარგებლობს გარკვეული ავტორიტეტით, ჩაწერენ სიაში და შემდგომ დაავალებენ იმ კონკრეტული რაიონიდან, სადაც მისი გავლენა დიდია, პარტიული ხმების უზრუნველყოფას.

ჩემი აზრით, იმისთვის, რომ მოვაწესრიგოთ ეს საკითხი, შესაძლებელია სხვა მექანიზმების გამოყენება. მაგალითად, ბიზნესმენს, რომელსაც სურს მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში, თავისი ბიზნესის აქტივების მართვის უფლება და, რაც მთავარია, კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოში ყოფნის უფლება უნდა ჩამოერთვას.

**— „რესპუბლიკელი“ დავით ბერძენიშვილი მიიჩნევს, რომ ხელისუფლება საარჩევნო გარემოსა და საარჩევნო კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით დაახლოებით ასე ფიქრობს — „ბევრი დათმოს, თუ საერთოდ არაფერი არ დათმოს“. თქვენი აზრით, მოვლენათა განვითარების რომელ სცენარს აირჩევს ხელისუფლება?**

— ბატონი დავითი გამოცდილი პოლიტიკოსია და თუ ასე თვლის, უნდა ვიფიქროთ, რომ ამის თქმის საფუძველი აქვს. ხელისუფლებასთან მოლაპარაკებებში ყოფნა ნერვების თამაშია, რომელსაც ოპოზიციამ უნდა გაუძლოს და შეინარჩუნოს ერთობა.

თუ ოპოზიცია იქნება პრინციპული, გამოიყენებს ხელისუფლებაზე გარკვეული პრესინგის ბერკეტს, მიიღებს ბევრს. თუ „ოპოზიციური რვიანი“ უპრინციპო და დაქსაქსული აღმოჩნდება, საზოგადოება იმაზე ბევრად უარეს საარჩევნო კანონს, კოდექს და ბევრად უსამართლო საარჩევნო გარემოს მიიღებს, ვიდრე წინა არჩევნებზე იყო.

**კობა ბენდელიანი**

ქალად მაცხონე დემოკრატია

# თეთრი სახლის შავი ძაღლიშვილები

**ტუნისი, ეგვიპტე, იემენი, ბაჰრეინი, ალჟირი და ლიბია, ანუ სრულიად არაბული სამყარო, რომლისკენაც, უკანასკნელ პერიოდში მიპყრობილია მთელი მსოფლიოს ყურადღება. სადაც ე.წ. დომინოს პრინციპით განვითარდა მეტნაკლებად სისხლიანი ტრაგიკული მოვლენები. მეტნაკლებად, რადგან, ეგვიპტე-ტუნისში დაღუპულ ათეულობით მომიტინგესთან შედარებით, იემენ-ბაჰრეინ-ალჟირში „თითოოროლა“ მსხვერპლი, აბა, „რა სახსენებელია“? ესენი, ყველა ერთად აღებული კი, ლიბიის ათასობით დაღუპულთა მიმართ მოჩანს ბავშვურ ცელქობად.**

ვინ ან რა დგას ამ ყველაფრის (მოდით, თავი დავანებოთ ისეთი რბილი ტერმინების ხმარებას, როგორებიცაა ავტოკრატია, ან ტოტალიტარული მმართველობა და პირდაპირ ვთქვათ, კლასიკური სისხლიანი დიქტატორული რეჟიმების უკან? ვინ და, ზოგადად დასავლეთი და კონკრეტულად აშშ და მათი „პრაგმატული“ ინტერესები, რასაც დიდი ნავთობი ჰქვია! სწორედ აშშ-ს პრეზიდენტ ეიზენჰაუერს ეკუთვნის დღეს უკვე უზნეობის კლასიკად ქცეული ფრაზა – „დიახ, ის ძაღლიშვილია, მაგრამ ჩვენი ძაღლიშვილია“! ეს ფრაზა მან რომელიღაც სამხრეთამერიკელი დიქტატორის მიმართ იხმარა, ანუ, მერე რა, რომ საკუთარი ხალხის ჯალათი და მკვლელია, მთავარია აშშ-ს ინტერესებს იცავს რეგიონში, ხელი არ ახლოთ, იყოს პრეზიდენტის სავარძელშიო.

იგივე ვითარებაა აფრიკის ჩრდილოეთ, არაბულ ნაწილში და, რადგან აფრიკას შავ კონტინენტსაც ეძახიან, ამიტომ ვიხმარე წერილის სათაურში სიტყვა შავი, და არა იმიტომ, რომ იქაური „ძაღლიშვილი“ შავგვრემანი დიქტატორების სახის ფერი არ მომწონს. ბენ ალი იქნება, ჰოსნი მუბარაქი თუ მუამარ კადაფი, ამ „ძაღლიშვილების“ გადარჩენას, უკანასკნელ მომენტამდე ცდილობდნენ ევროკავშირი და პირველ რიგში, აშშ-ს ადმინისტრაცია. სწორედ ამერიკის ყოველწლიური მრავალმილიარდიანი ინექციების „დამსახურებაა“, რომ ეს ჯალათები ათეულობით წელი რჩებოდნენ დიქტატორის სავარძლებში. ხოლო კადაფიმ, ამ ცოფიანმა ძაღლმა (მისთვის დიდი პატივი მგონია, „ძაღლიშვილი“ უწოდოძ, ზუსტად 42 წელი მოათავა პრაქტიკულად ლიბიის მეფის ტახტზე. რომელმაც იმითი დაამთავრა (დაამთავრა როო?ძ, რომ საკუთარი ხალხი ავიაციით დაბომბა! მხოლოდ ამის შემდეგ შეიცვალა აშშ-ს დიპლომატიური ტონი ადეკვატურით. რომ არა ავიაცია და ისე, მხოლოდ „კალაშნიკოვებით“ ეხვრიტა ხალხი, ვინძლო ახლაც არავის ამოეღო ხმა...

თავის დროზე, „დიდმა“ ლენინმა რუსეთის იმპერიას მსოფლიოს ჟანდარმი უწოდა. არ ვიცი, რამდენად ამართლებდა რომანოვების რუსეთი ამ თიკუნს, მაგრამ თუ ამართლებდა, დღეს აშშ-მა დაიკავა ეს „საპატიო“ ადგილი, რაც უდავო ფაქტი მგონია. დღეს ამერიკული ფინანსური იმპერია (თუმცა არც ბირთვული ქობინები აკლიათძ განაგებს მსოფლიო პოლიტეკონომიკას. დემოკრატიის ყალბი დროშით ყველგან ცხვირს ჰყოფს და ყველას ასწავლის, როგორ უნდა იცხოვროს. ამ დროს, იქნება ვინმემ დამისახელოს ამერიკის აშენებულ-გაბედნიერებული ქვეყანა, საკუთარის გარდა? მთელი თავისი ხანმოკლე ისტორიის მანძილზე ცდილობდა და ცდილობს, რომ იტყვიან, სხვის უბედურებაზე საკუთარი ბედნიერების აგებას და არცთუ წარუმატებლად. საკუთარ ტერიტორიაზე ომი არასოდეს უნახავთ (სამოქალაქოს გარდაძ, ხოლო პირველი თუ მეორე მსოფლიო ომების დროს, როდესაც ევროპა სისხლსა და ცრემლში იხრჩობოდა, ამერიკა მდიდრდებოდა. მსოფლიო ომების, განსაკუთრებით მეორის შემდეგ, არა მხოლოდ ალაფში დაიდეს ლომის წილი მუქთად, არამედ მთელი დასავლეთ ევროპის პოლიტიკურ მბრძანებლებადაც იქცნენ. დიახაც მუქთად, რადგანაც, აბა, მაგათი მსხვერპლი რა სახსენებელია, როცა საბჭოეთის შემადგენელმა პატარა საქართველომაც კი ამერიკელებზე მეტი ჯარისკაცი დაკარგა!

იგივე გრძელდება დღესაც; საკუთარი საზღვრებიდან ათასობით მილის დაშორებით იცავენ „ეროვნულ ინტერესებს“, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ნავთობის ფასი აკონტროლონ. პარადოქსია, რომ აშშ-ში, ნავთობის უმსხვილეს იმპორტიორ ქვეყანაში, ევროპიდან ტრანსპორტირებული ბენზინი, ევროპულ ფასზე იაფი ღირს! ისე, ნავთობი თავისიც ბევრი აქვთ, მაგრამ სიმბოლურად, ლიმიტირებულად ეწევიან რეწვას. ძირითადი საბადოები დაკონსერვებული აქვთ (???ძ იმ დრომდე, როცა მსოფლიოში ამოიწურება ნავთობი და მერე ნახეთ მაგათი დიქტატი!

ამის გამო შევარდნენ ერაყში, სადაც, რომ იტყვიან, საკუთარ სახლში ამოხოცეს მამა-შვილი ჰუსეინები. რადგანაც ვერც ატომური ბომბი იპოვეს, და ვერც ქიმიური იარაღი, სადამი დემოკრატიის დროშით ჩამოახრჩვეს, ხოლო მისი შვილები იმ დროშის ტარზე



„გასვეს“ დემოკრატიის ტრიუმფის ნიშნად. თანაც ეს (სადამის ჩამოხრჩობაძ საეჭვოდ სწრაფად გააკეთეს. – იმიტომ ხომ არა, რომ თავის დროზე ამერიკელების შექმნილ და დასმულ-ნაპატივებ სადამ ჰუსეინს რამე „ისეთი“ არ წამოსცდენოდა?.. იგივეს თქმა, კიდევ ერთ „ამერიკულ პროდუქტზე“ – უსამა ბინ ლადენზეც შეიძლება – მაგასაც საეჭვოდ დიდი ხანია, „ვერ პოულობენ“. არადა კაცის პოვნა კი არა, აშშ-ს „სპეცებმა“, ილიკო ჩიგოგიძის და კუტუზოვის არ იყოს, დედამიწის გულში რაი დევს, იგი იციან!

ამ ყბადაღებული ე.წ. სომალიელი მეკობრეებისაც გამკვირვებია. რა გახდა, ამისთანა რა გაუჭირდა აშშ-ს ძლევამოსილ მე-6 ფლოტს, რომ სომალის ნაპირებთან ერთი კრეისერი იდგეს მუდმივ რეიდზე? მაგრამ არა! ბინ ლადენის დაჭერის არ იყოს, ეტყობა, არც სომალიელი მეკობრეების ალაგმვა აწყობთ ვილაც-ვილაცებს დასავლეთში! მაგრამ ამერიკელების რეალური სახის წარმოჩენის უმადურ საქმეში მგონი „კალამი გამექცა“ და ახლა ისევ მთავარს, მაგათ მსოფლიო დემოკრატიულ მისიას დავუბრუნდეთ.

ამას წინათ მიშას ცოდვით სავსე ვალოდია პუტინს რომელიღაც დასავლელმა ჟურნალისტმა „ჩამჭრელი“ შეკითხვა დაუსვა რუსეთში დემოკრატიის ნაკლებობის შესახებ, რაზედაც ვლადიმერ ვლადიმეროვიჩმა ჯერ ირონიით უპასუხა როგორი დემოკრატია გინდათ გვქონდეს, ერაყში რომ დაამყარესო? და შემდეგ სრულიად სერიოზულად უპასუხა – ჩვენ სუვერენული დემოკრატია გვინდა და გვაქვს კიდეცო! რაც ქართული სამთავრობო მედიის ქილიკის საგანი გახდა. არადა, სულ ტყუილად, რადგანაც,დიახაც, ბატონებო! ასეთ ტერმინს, მინიმუმ, არსებობის უფლება აქვს და აი, რატომ:

რამდენი ქვეყანაცაა, ლამის იმდენი განმარტება არსებობს დემოკრატიისა. თვით დემოკრატიის კლასიკად აღიარებული აშშ-დან, დემოკრატიის ექსპორტისას, სულაც არ დაგიდევენ, რომ „საექსპორტო საქონელი“ იმავე პარამეტრების, გნებავთ, ხარისხის ვერ არის, როგორც თავად ამერიკაშია მიღებული. უფრო მეტიც, თუ „საქმეს სჭირდება“, რბილად რომ ვთქვათ, აშკარად „კოჭლზე“ იტყვიან, დემოკრატიის შუქურააო... არსებობს სხვა მომენტებიც, რაც დემოკრატიის იმპორტ-ექსპორტზე არ არის დამოკიდებული, ანუ ყველა ერი თუ ხალხი ცდილობს, იმ დოზით გადემოკრატიულდეს, რაც მას, როგორც ეთნოსს, ტრადიციულ ყოფით თუ რელიგიურ ღირებულებებზე უარს არ ათქმევინებს... არ ვიცი, რას გულისხმობდა რუსეთის პრემიერი, მაგრამ „სუვერენული დემოკრატია“ მე სწორედ ასე გავიგე!!!

ახლა ისევ სისხლმდინარე არაბეთის და იმ ილუზიის შესახებ, რომ იქ დემოკრატიზაციის პროცესები იწყება. იქნება მოზეზრდათ კიდეც ჩადრებით სიარული, მაგრამ თუ ამ რეგიონის ირანიზაციას ავცდით, სწორედ „სუვერენული დოზით“ მიიღებენ დემოკრატიას და არა ისეთ აღვირახსნილს, გახდილ-ჩახდილს, როგორსაც გლობალისტები „ტენიან“ მთელს მსოფლიოს.

**დავით მხეიძე**

*P. S. წერილზე მუშაობისას, იმდენად სწრაფად განვითარდა მოვლენები, რომ საჭიროდ ვცანი ამ ვრცელი მინაწერის გაკეთება.*

*ეგვიპტესა და ტუნისში სიტუაცია ასე თუ ისე დასტაბილურდა და ჰილარი კლინტონიც უმალ ეწვია რეგიონს. კაიროში აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა ყველანაირი დახმარება აღუთქვა „დემოკრატიის რელსებზე შემდგარ“ ეგვიპტეს. ამასობაში კი იემენ-ბაჰრეინში კიდევ უფრო დაიძაბა ვითარება. პირველში ალი აბდალა სალეჰი დაერია საკუთარ მოსახლეობას და მეორეში ბაჰრეინის მონარქი შედგა საკუთარ ხალხს ტანკებით.*

*რაც შეეხება მოამარ კადაფის, ამ მართლაც გაცოფებულმა შეშლილმა, რომ იტყვიან, სულ აიწყვიტა. ერთი მეორის მიყოლებით დაიბრუნა მეამბოხე ქალაქები. მძიმე ტექნიკითა და ავიაციის მეშვეობით აღადგინა კონტროლი. იმ ავიაციით, რომლის დაბლოკვის გადაწყვეტილების მიღებას ევროკავშირმა არ დააყენა საშველი. ერთადერთ ბენღაზსლა აკონტროლებენ სასოწარკვეთილი აჯანყებულები და სანამ ეს წერილი მკითხველამდე მივა, ალბათ იქაც ყველაფერი დამთავრდება. თუმცა არა. კი არ დამთავრდება, დაიწყება შურისძიება მათ მიმართ, ვინც ვერ გაასწრებს ქვეყნიდან პარანოიკ მოამარ კადაფის.*

*ამ ყველაფერში დამნაშავენი კი აშშ და ევროკავშირი იქნებიან, რომლებიც უკანასკნელ მომენტამდე აგულიანებდნენ, ფუჭი დაპირებებით აიმედებდნენ სრულიად არაბებს. საფრანგეთის პრეზიდენტმა „კოლია“ სარკოზიმ, ლიბიის ერთადერთ ლეგიტიმურ ხელისუფლებად ბენღაზის დროებითი საბჭო აღიარა, რასაც – ამ აჩქარებას – ახლა უეჭველად ნანობს. რადგანაც ამის პასუხად კადაფის შვილი იმ დოკუმენტების „აფრიალებით“ დაიმუქრა, რომლითაც ის დამტკიცდება, რომ სარკოზის საპრეზიდენტო კამპანიას მოამარ კადაფი აფინანსებდა, რაც ყველა შემთხვევაში სარკოზის პოლიტიკური კარიერის დასასრულის დასაწყისი იქნება!*

*აშშ-მ ავიამზიდიც კი შეიყვანა ხმელთაშუა ზღვაში, ლიბიასთან ახლოს. ბედის ირონიით ეს სწორედ ის ავიამზიდი აღმოჩნდა, რომელზედაც ამას წინათ ჰომოსექსუალური სკანდალი გასკდა. ჰოდა, აბა პედერასტების იმედზე ყოფნა შეიძლებოდა?*

*ყოველივე ზემოთქმულის, ზოგადად დასავლეთის და კონკრეტულად აშშ-ს უზნეო პრაგმატიზმის თავი და თავი იმაშია, თუ რა ეღირება ბარელი ნავთობი. ეს ფასი განაპირობებდა აქამდეც, თუ ვინ რამდენი ათეული წელი იჯდა დიქტატორის ტახტზე და დღესაც განაპირობებს იმას, თუ რომელი „ძაღლიშვილი“ შეინარჩუნებს პრეზიდენტობას და რომელი ახალი „ძაღლიშვილით“ შეიცვლება.*

*თუ ამ ყველაფერს საქართველოსთან მიმართებაში განვიხილავთ, გამოვა, რომ ჩვენი „ნავთობის ფასი“ ჩვენი ბიჭების დაღვრილი სისხლია ავღანეთში. და სანამ ეს სისხლი იჩუხჩუხებს, გააგრილებს ავღანეთის ცხელ უდაბნოს, მანამდე იბოგინებენ საქართველოში ამ შემთხვევაში თეთრი სახლის თეთრი „ძაღლიშვილები“. მაგრამ ფერს რა მნიშვნელობა აქვს? „ძაღლიშვილი ძაღლიშვილია“!!!*

*ეს რომ ასეა, ამას ახლახან მორიგ, ავღანეთიდან ჩამოსვენებულ ქართულ კუბოსთან აშშ-ს ელჩის ჯონ ბასის დაღვრილი ნიანგის ცრემლებიც მოწმობს. ასე რომ, საარჩევნო გარემოში თუ რევოლუციაში დასავლეთის მხარდაჭერის მოიმედენო, გაითვალისწინეთ, რომ არავინ ჩვენი დამხმარე და გულშემატკივარი არ იქნება მთელს დუნიაზე. ნავთობსაც რომ თავი დავანებოთ, უნათესავო, ობოლი ერი ვართ და მხოლოდ უფლისა და საკუთარი თავის იმედი უნდა გვქონდეს ამ ქვეყანაზე!..*

***დ. მ.***

შეგონება

# რევოლუცია წერასატანილ ხელისუფლებათა ხელში ხვდება



**საქართველოში რევოლუციების თავისებურებებზე, დაანონსებული რევოლუციის ალბათობასა და სავარაუდო შედეგებზე „ინტერპრესნიუსი“ ფილოსოფოსს, სამხედრო ექსპერტსა და პოლიტოლოგს კახა კაციტაძეს ესაუბრა.**

**– ბატონო კახა, რას შეიძლება ნიშნავდეს ქართულ საზოგადოებასა და პოლიტიკურ ჯგუფებში რევოლუციაზე პერმანენტული საუბარი? დემოკრატიის ქართულ გაგებას, თუ იმას, რომ ოპოზიციურ ძალებს ქვეყანაში საქმიანობისთვის არასაკმარისი ასპარეზი აქვთ?**

– იმ ტენდენციების გათვალისწინებით, რაც ჩვენთან ხდება, საქართველოს ისტორიული განვითარების ამ ეტაპზე რევოლუციური გზა, ანუ მასობრივი გამოსვლების შედეგად ხელისუფლების ცვლა გამორიცხული არ არის. სადღაც ნორვეგიაში ან ისლანდიაში რამდენიც უნდა ილაპარაკონ რევოლუციაზე, ამას სერიოზულად არავინ არ აღიქვამს. ამაზე რომ ჩვენთან სერიოზული საუბარია, უკვე თავისთავად ნიშნავს შემდეგს – სიტუაცია ბუნებრივი არ არის; ვექტორი, საითკენაც მივყავართ არსებულ ტენდენციებს, აშკარად არ არის ნორმალური.

**– რევოლუციებისადმი მიდრეკილების მიზეზი იმასაც ხომ არ უკავშირდება, რომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ 20 წელიწადში საქართველოში ხელისუფლება ორჯერ რევოლუციითა და გადატრიალებით შეიცვალა?**

– არა, ამას არ უკავშირდება. მოდით, ასე ვთქვათ - თუკი ხელისუფლება ვერ სწავლობს, როგორ მართოს პროცესები, ყოველთვის ილებს რევოლუციას. ამაში ქართველების თითქოს განსაკუთრებული ავზნიანობა არაფერ შუაშია. საფრანგეთში რევოლუციები 1789, 1830, 1848, 1871 წლებში მოხდა. საფრანგეთში რევოლუციების სერია მანამდე გაგრძელდა, ვიდრე ხელისუფლებამ ვითარების ნორმალურად მართვა ვერ ისწავლა. საფრანგეთში სხვა არა ერთი კრიზისი მომხდარა, მაგრამ საქმე ყოველთვის რევოლუციამდე არ მისულა. რევოლუციის თემა საფრანგეთის თავზე დამოკლეს მახვილივით ყოველთვის ეკიდა. ახლა 21-ე საუკუნეა, მაგრამ მაინც ვერ ვიტყვით, რომ 21-ე საუკუნის საქართველო განვითარების დონით ბევრად წინ არის, ვიდრე – მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის საფრანგეთი.

იხ. 6 გვ.

## შეგონება

**(მეხუთე გვერდიდან)**

# რევოლუცია წერასატანილ ხელისუფლებათა ხელში ხვდება



საერთოდ, რევოლუციურ სიტუაციას ოპოზიცია ვერასდროს ვერა ქმნის. რევოლუციური სიტუაცია ყოველთვის ხელისუფლების მოქმედების ან უმოქმედობის შედეგად იქმნება. თავისთავად, პროცესების რევოლუციურად განვითარებაში პირადად მე და, არა მგონია ბევრი ნორმალური ადამიანი, ხედავდეს მაინცადამაინც დადებით და სასურველ ცვლილებას. მაგრამ, ვიმეორებ – საქმე რევოლუციამდე ხელისუფლების უაზრო და არაადეკვატურ ქმედებებს მიჰყავს და შემდეგ რევოლუცია ამ ქმედებების ლოგიკურ გაგრძელებად გვევლინება. არსებობს აზროვნების კანონი, რომელსაც „საკმაო საფუძვლის კანონს“ უწოდებენ. ეს ისეთივე ლოგიკური კანონია, როგორც ვთქვათ, „ყველა საგანი თავისი თავის იგივეობრივია“. „საკმაო საფუძვლის კანონი“ ასე ამბობს – არაფერი არ ხდება „საკმაო საფუძვლის“ გარეშე. თუ საქართველოში რევოლუცია მოხდება, მაშინ გვექნება საშუალება ვთქვათ, რომ ამის „საკმაო საფუძველი“ არსებობდა და ეს საკმაო საფუძველი სწორედ ხელისუფლების შექმნილია.

**– რამდენად მისაღებია თქვენთვის მტკიცება, რომ პოლიტიკურ ძალთა შორის ისეთი მკვეთრი დაპირისპირება როგორიც ჩვენთან არის, შესაძლოა, იმითაც იყოს განპირობებული, რომ საქართველომ ფუნდამენტურ ფასეულობებზე გააკეთა არჩევანი, საზოგადოება კი მათ მისაღებად მზად არ აღმოჩნდა...**

– თუ რაღაცისთვის საზოგადოება მზად არ არის, იმაზე არჩევანი არც უნდა გაკეთდეს. ამგვარი მტკიცებით გამოდის, რომ დასახულია მიზანი, რომლისთვისაც საზოგადოება მზად არ იყო. როდესაც ასეთი რამ ხდება, ყოველთვის ვიღებთ გარღვევას მიზანსა და მისი მიღწევის საშუალებას შორის. ასეთ სიტუაციას ჰეგელი „უბედური ცნობიერების ვითარებას“ უწოდებდა. დასახულია მიზანი, რომლის მიუღწევლობა წინასწარ იცი. ასეთ ვითარებაში, არა მარტო ქართული, არამედ ნებისმიერი საზოგადოება დეპრესიაში ჩავარდებოდა. ერთი რამ ნათელია, მიზანი უნდა იყოს საზოგადოების მოცემული დონის შესაბამისი. ადამიანებმა მიზნად უკვდავება რომ დავისახოთ, ეს რეალისტური მიზანი არ იქნება და დეპრესიაში ჩავვარდებით. მიზანი, რომლისთვისაც საზოგადოების უმრავლესობა მზად არ არის, რეალისტურ მიზნად ვერ ჩაითვლება. ასეთი მიზნის დასახვას გაცილებით მოკრძალებული, მაგრამ რეალისტურად მიღწევადი მიზნის დასახვა სჯობს.

**– ხშირად გაიგონებთ შეფასებას, რომ ქართულ პოლიტიკურ სპექტრში ქაოტურ მოძრაობებს მსოფლმხედველობრივი დეფიციტი განაპირობებს. თქვენ თუ ეთანხმებით ამგვარ მტკიცებას?**

– არა მგონია, ხელისუფლებასა და ოპოზიციაში ისეთი პრინციპული ადამიანები იყვნენ, რომ მსოფლმხედველობრივი მოსაზრებებისა და მაღალი იდეალების გამო მზად იყვნენ თავის გასაწირად. ასეთი ადამიანები ორივე ჯგუფებში თუ არიან, მათი რაოდენობა ძალიან მცირე იქნება. ასეთ ადამიანებს საზოგადოებაში უფრო მოძებნი, ვიდრე – პოლიტიკაში. სამწუხაროდ, ვერ ვიტყოდი, რომ ხელისუფლება და ოპოზიცია კომპეტენტურობით, პრინციპულობით, უბრალოდ, ადამიანური ღირსებითა და სინდისით გამოირჩევა. ეს არის პრობლემა და არა ის, თითქოს ვიღაცებს შორის ტრაგიკული მსოფლმხედველობრივი ჭიდილი იყოს.

**– ოპოზიცია ხელისუფლებას ხშირად ავტორიტარიზმში ადანაშაულებს. ხელისუფლების დამკვიდრებულ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების წესში ბევრი რამ რომ აშკარად დასალაგებელია, უდავოა, მაგრამ მეორეც არის – რამდენად სამართლიანია ოპოზიციურ ლიდერთა ბრალდებები, ანუ რამდენად არის ხელისუფლება ავტორიტარული?**

– თუ ავტორიტარიზმს ჩვეულებრივ გავრცელებული მნიშვნელობით მივიღებთ, რაც პოლიტიკური გადაწყვეტილებების ერთპიროვნულად, საზოგადოებასთან კონსულტაციებისა და არასაჯაროდ მიღებას გულისხმობს, რასაკვირველია, ამ ჩვენს ხელისუფლებას ავტორიტარიზმი ახასიათებს. პრაქტიკულად, არც ერთი საზოგადოებისთვის უმნიშვნელოვანეს საკითხზე, რაზეც გადაწყვეტილებები იქნა მიღებული, არავითარი საჯარო დისკუსია და საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინება არ ყოფილა. თუ საუბარია იმაზე, რომ ჩვენთან კლასიკური, მე-19 საუკუნის ლათინურ-ამერიკულ სახელმწიფოებში არსებული დიქტატურაა, ასეთი დიქტატურა ეგვიპტესა და ტუნისშიც აღარ არსებობდა. ასეთი კლასიკური დიქტატურა დღეს უგანდაშია, სადაც პრეზიდენტმა, რომელმაც თავისი თავი არჩევნებში გამარჯვებულად მეხუთედ გამოაცხადა, არჩევნებში მეხუთედ დამარცხებულ ოპოზიციის ლიდერს შეჭმით დაემუქრა.

**– თქვენი აზრით, ის პოლიტიკური ჯგუფები, რომლებიც რევოლუციაზე ხშირად საუბრებენ, აღიქმებიან თუ არა საზოგადოებაში ხელისუფლების ალტერნატივად?**

– რევოლუცია არ არის რაციონალური პროცესი. რევოლუცია მასზე მხოლოდ გაუთავებელი საუბრის გამო არ ხდება. თავისთავად, რევოლუციაზე საუბარი, რაც არ უნდა გინდოდეს იგი, ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ ხელისუფლების ალტერნატივა ხარ. ასეთი რამ ნებისმიერი რევოლუციის დროს არ ხდება. ძალიან ძნელია, რევოლუცია დაანონსებულად და წინასწარ გააზრებულ პროცესად წარმოვიდგინოთ. არაბულ ქვეყნებში განვითარებულმა მოვლენებმაც გვიჩვენა, რომ იმიტომ კი არ უნდა იყოს რევოლუციაზე მოლაპარაკე ძალა ალტერნატივა, რომ რევოლუციაზე საუბრობს, არამედ პირიქით, თუ რევოლუცია მოხდა, ალტერნატიული ძალა სწორედ ამ რევოლუციის სათავეში აღმოჩნდება.

**– თუ პროცესები მაინც რევოლუციური სცენარით განვითარდა, თქვენი აზრით, რა ვითარება შეიქმნება ქვეყანაში?**

– ჩვეულებრივ, რევოლუციური სცენარით პროცესების განვითარებას კარგი არაფერი მოაქვს. მაგრამ, პრობლემა ის კი არ არის, რომ რევოლუცია ქვეყანას კარგს მოუტანს თუ ცუდს, არამედ ის, რომ იქმნება ვითარება, როცა პროცესების სხვა სცენარით განვითარების პერსპექტივა არ რჩება. ისტორიულად თუ ავიღებთ, ერთადერთი ვითარება, როდესაც დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ რევოლუციამ წინ წაიყვანა ქვეყნის განვითარება, ეს იყო ე.წ. დიდებული და შესანიშნავი რევოლუცია, რომელიც მე-17 საუკუნის ბოლოს დიდ ბრიტანეთში მოხდა. ამის გარდა, წინ წამყვანი და მაპროგრესირებელი რევოლუცია მე არ გამიგია. მაგრამ საქმე იმაშიც არის, რომ ვითარების იმ სტადიაში დატოვება, რომელშიც ახლა ვართ, ზუსტად ისეთი სახის ჩამორჩენამდე მიგვიყვანს, რომელიც რევოლუციას გამოიწვევს.

საფრანგეთის მე-18 საუკუნის და მე-19 საუკუნის რევოლუციებიც განაპირობა იმ პოლიტიკურმა კურსმა, რომელსაც ჯერ კიდევ ლუი XIV ატარებდა. მან იმდენად გამოფიტა ქვეყნის რესურსები, რომ მთელი საუკუნის განმავლობაში შეფერხდა ქვეყნის ნორმალური განვითარება და საფრანგეთს ოთხი რევოლუციის გადატანა მოუწია. კოლიზია ეს არის და არა ის, რომ რევოლუცია კარგია თუ ცუდი.

**– თქვენი აზრით, გაცნობიერებული აქვს თუ არა ხელისუფლებას, რომ საარჩევნო გარემოსა და საარჩევნო კანონმდებლობაში ცვლილებებზე მომუშავე, კონსულტაციებში მყოფ „ოპოზიციურ რვიანთან“ გარკვეულ დათმობებზე უნდა წავიდეს და არ მიიღოს ისეთი უსასუხისმგებლო გადაწყვეტილებები, რომელიც რევოლუციის გამომწვევი საბაბი აღმოჩნდეს?**

– რატომ ფიქრობთ, რომ ხელისუფლებას უნდა ესმოდეს? რა შეატყვეთ ჩვენს ხელისუფლებას ასეთი გონივრული, რომ ეგ დაინახოს, რასაც თქვენ ამბობთ. ჩვენ რატომღაც გვგონია, რომ არა მარტო საქართველოს, არამედ მსოფლიო ისტორიაში, ზოგადად, ხელისუფლება გონივრული გადაწყვეტილებებით ხელმძღვანელობს. 1830 წელს ნათელი იყო, რომ საფრანგეთში რევოლუცია მოხდებოდა. მაშინ ხელისუფლებას ძალაუფლება ოპოზიციისთვის რომ დაეთმო, რევოლუცია არ მოხდებოდა. ამ ნაბიჯზე საფრანგეთის ხელისუფლება არც 1848 წელს არ წავიდა. რუსეთის ხელისუფლება 1917 წლის მარტში დათმობებზე რომ წასულიყო, 1917 წლის ოქტომბრის გადატრიალება არ მოხდებოდა. ირანის შაჰი რომ დათმობაზე დროულად წასულიყო, ირანში რევოლუცია არ მოხდებოდა. შაჰმა ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი შაბურ ბახტიარი პრემიერ-მინისტრად დანიშნა კიდეც, მაგრამ რევოლუციის ტალღა ისეთი დიდი იყო, რომ ძალაუფლების ოპოზიციისთვის გადაცემამ საქმეს ვერ უშველა. ეს პრობლემა მარტო საქართველოს ხელისუფლების პრობლემა არ არის. რევოლუცია წერას ატანილ ხელისუფლებათა ხელში ხდება. სამწუხაროდ, ვერ ვხედავ, რომ საქართველოს ხელისუფლება პრობლემებს ადეკვატურად აფასებს. ისტორიული გამოცდილება და ჩვენი ხელისუფლების ქმედების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ჩვენი ხელისუფლება ელემენტარული ინსტინქტების დონეზე მოქმედებს და ცდილობს, რაც შეიძლება მეტი ძალაუფლება ჰქონდეს და არავითარ დათმობაზე წასვლას არ აპირებს. პრობლემა სწორედ ეს არის.

ხელისუფლებას საქმე იქითკენ მიჰყავს, რომ საზოგადოების პასუხისმგებლობის მქონე ნაწილს რევოლუციის არსებობა-არარსებობაზე კი არ მოუწიოს საუბარი, არამედ იმაზე, რომ რევოლუციის ნეგატიური შედეგები მინიმუმამდე დავიდეს.

**კობა ბენდელიანი**

## ფესვები

# თხირიშიდან მსოფლიოს გზა-შარამდე

მდინარე ინწირას თვალწარმტაც ხეობას მივუყვებოდით და ფირუზისფერ მორევებში ლივლივებდნენ ხალებხარჩხალა კალმახები. ბილიკი მაღლა და მაღლა მიიწევდა. თხირიშიდან და ბედიანაჩენიდან პეშვზე დატეულ სიანკარედ ჩამუქებულიყო მიდამო. სულში მამულის სიმშვენიერე ილვრებოდა! მაგრამ ელდა გვეცა! – ინწირული გზის ნაქებ კორომებს სიყვითლე შეპარვოდა აქა-იქ!

– რა არის ეს?.. რამ გააყვითლა აქაური გზა?

– არავინ იცის, ჩემო კარგო!.. ალბათ, უყურადღებობამ!.. იმდენი თქმულა, იმდენი დაწერილა ინწირაზე და მის ცნობილ გზის კორომებზე, მაგრამ ვინაა პატრონი? – თქვა გენო „ჯიჯიმ“, ჩვენმა მეგზურმა.

– კი, მაგრამ...

– „კი, მაგრამ“ არ უნდა მაგას!... ადამიანებმა, ხანდახან, ხელი უნდა შევაშველოთ ბუნებას!.. ხესაც უნდა მოფერება!.. გარემოს დაცვის სამინისტროც კი გვაქვს, მაგრამ... გიტარით და „საფსტვენით“ ვერ ვუშველით გარემოს! გზა კი არა, ხომ ხედავთ, კრიკინაც სანთლით საძებარი გაგვხდომია დღეს!.. საკადრისად მისთვის ვერც მოგვიხედია თანამედროვე ქართველებს! გარეული ვაზი კი, უძვირფასესი საძირეა ნამყენი ვაზისათვის...

– მახსოვს, სამეგრელოს ლაკადა მოფენილი იყო ამ საძირეებით!..

– კი, ასე იყო!.. ახლა კი, სანთლით დავეძებთ კრიკინას!

– საქართველში არც სხვაგან არის „გადასარევად“ საქმე!.. გახსოვს, ალბათ, ვაზი რომ აჩეხეს ქართლ-კახეთში და საზამთრო რომ გააშენეს? ამ ბოლო ხანებში კი, გაჩნდა „ამის ვენახებიო“, „იმის ვენახებიო“, მაგრამ გლეხის ვენახებს რა ეშველება?.. არადა, ვაზი ხომ საქართველოა?!

...მთელი დღის ხეტიალის შემდეგ, ულრანში ცისკარივით გამოანათა დალოცვილმა! უზარმაზარ კაკლის ხეს ობოლი ბავშვივით ჩახვეოდა გარეული ვაზი! სამეცნიერო ექსპედიციამ შვებით ამოისუნთქა და ფრთხილად, სათუთად შეივსო ძვირფასი ჰერბარიუმი!

– გახსოვს, „ჯარისკაცის მამა“?... „აქ რამ მოგიყვანა შე, მადლიანო?“...

– მახსოვს, აბა!

– რა ხნის იქნება ეს ძირი, ახლა? – იკითხა გენომ.

– ალბათ, ასი, ან იქნებ მეტიც!.. რა ლადად გაუშლია ამ დალოცვილს მხრები!..

– ბაბუაჩემი იტყოდა, – იქ, მაღლა, თხირიშში, გარეული ვაზი რომ ამოსულა ახლა, ადრე უფრო ბევრი ხარობდაო, ამბობდაო ჩემი პაპუ, ბაბუაჩემის მამა, თავისი პაპუს ნათქვამს.

– ე. ი. ასისაც ყოფილა და, ორასისაც... ნახე რამსისხოა, ბოძივითაა, დალოცვილი!

– არა! ეს ძირი, შეიძლება ამდენისა არ იყოს, მარა, ეტყობა, აქ უძველესი დროიდან ხარობდა გარეული ვაზი და ესაა მთავარი!

– დიდი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე ნიკო კეცხოველი ამბობდა: – ქართველებს, მართლა შვილივით გამოუზრდია ვაზი და მისი ბიოლოგიური თვისებებიც ზედმიწევნით ცოდნიათ. ამიტომაც ათქმევინა ჩვენმა ზეპირსიტყვიერებამ ვაზს: „ვაზს უთქვამს, ნეტავი მე რომ ყვავილობაში შევალ, ჩემი პატრონი ავად გახდეს, რომ ვერც თვითონ შემოვიდეს ვენახში და ვერც სხვა შემოიყვანოსო!“

– საქმე ის არის, რომ ვაზის ყვავილობის დროს ვაზის რქა მეტად ადვილად იმტვრევა და ზედმეტი შეხებისგან მტევანიც ზიანდება!..

– ჰო, აბა!.. ქართველებს ვაზის ღმერთიც ჰყავდათ, „აგუნას“, ანუ ანგურას“ ეძახდნენ, თურმე... „ანგურაში ქობალსაც“ აცხობდნენ მის საპატივცემულოდ და ღმერთის სახელზე ქართველი კაცი ზედაშესაც ასხამდა ქვევრში!.. გაგიგონია „ანგურას პური“?

– გამიგონია!.. „ანგურაზე აცხობდა ბაბუაჩემი პურს და ეს პური მუდამ წმინდა პურად ითვლებოდა ჩემს ბავშვობაშიც!..

– ჰოდა, ეს ტრადიციებიც ამტკიცებენ, რომ ვაზი საქართველოშია დაბადებული!..

– ლეგენდებიც ამას მიგვანიშნებენ, კი!.. აკადემიკოსი გიორგი ჩიტაია წერდა: – „1933 წელს პრუსის სახელმწიფო ბიბლიოთეკამ ბერლინში შეიძინა ომარ ხაიამის ერთი, მანამდე უცნობი ნაწარმოები „ნავრუზნამე“. ამ ნაშრომის ცალკე თავში განხილულია ღვინო და ღვინის თვისებები. ამ თავში ომარ ხაიამს შეუტანია ერთი ირანული, ძველი გადმოცემა ვაზსა და ღვინის წარმოების შესახებ ირანში. ავტორი აღნიშნავს, რომ ეს გადმოცემა დამყარებულია ისტორიული წყაროების მონაცემებზე. – სახელგანთქმული მეფის შირამის შვილმა, უფლისწულმა ბადამმა სიკვდილს გადაარჩინა ფასკუნჯი, რომელსაც უზარმაზარი გველი ახრჩობდა. მადლიერი ფასკუნჯი, სამაგიეროდ, მეფეს ყურძნის წიპწას მოუტანს. მეფის ბრძანებით წიპწას დათესავენ, აღმოცენდება ვაზი. იგი მოისხამს ყურძენს. მას დაწურავენ და დადგება სასმელი, რომელსაც აღიარებენ სიტკბოების მომნიჭებელ წყაროდ. მეფე ბრძანებს გააშენონ ზვრები მთელს ქვეყანაში ადამიანების საკეთილდღეოდ. გადმოცემა აღნიშნავს, რომ ფასკუნჯი, რომელმაც წიპწები მოიტანა, ჩრდილოეთის მხარიდან მოფრინდა... დასახელებულ ჩრდილოეთის მხარეს, საიდანაც ფასკუნჯმა წიპწები მოიტანა ირანში, – ირანისთვის და მის სამხრეთით მდებარე ქვეყნებისათვის – „ქუსტი პარტაპის“ – კავკასია და მასში შემავალი ქვეყნებია. ამიტომ ვაზის სამშობლოდ ლეგენდების მიხედვით კავკასია, კერძოდ ამიერკავკასია ივარაუდება!“

– ქართულ შუშხუნა ღვინოზე არისტოტელეც წერდა!..

– ჰოდა ამიტომაც ვთქვი, ვაზი საქართველოში დაიბადა-მეთქი!...

– შენ კი, ამბობ, ჩემო გენო, მაგრამ ისეთებიც ბევრნი არიან, რომლებიც სხვანაირად ფიქრობენ!.. ამიტომაა, რომ ამჟამად„ დნმ“-ის დონეზე სწავლობენ ვაზის წარმოშობის საკითხებს ქართველი მეცნიერები!

– გაგახაროთ ღმერთმა!.. როგორია შედეგები?

– შედეგები... შედეგები, აუცილებლად, „ქართული იქნება“... თუმცა, წინასწარ არ უყვართ მეცნიერებს საუბარი!.. სულ ახლო ხანებში ვნახავთ!.. და ეს შედეგები „ მსოფლიოს ჩააჩუმებს!..“

გენომ ჩაიხითხითა.

– ჩემი მოკლე ჭკუით, ეს ამბავი ნამდვილია, აღმოჩენა იქნება ვიღაც-ვიღაცებისთვის!..

– მართალია, მეცნიერებისთვის ეს პატარა საქმე არ იქნება, გენო ბატონო! თუმცა, ზოგადად, ჩვენს თანამემამულეებს საეჭვოდ არ მიაჩნიათ ვაზის ქართველობა, მაგრამ...

– ამიტომ ვამბობ, ბუნებას მოფერება უნდა-მეთქი!.. იცით, რამდენი უნიკალური მცენარეული ფორმაა ყვირას ქედზე?.. აი, ჩვენებური გზა!.. ცნობილმა ბოტანიკოსმა და მოგზაურმა ალბოვმა კი, სწორედ ყვირას მთაზე აღმოაჩინა მაჩიტას უნიკალური სახეობა!.. ალბოვმა მას ჩქვალერელი გოგონას, ძაკუს, სახელი უწოდა – „ძაკუს მაჩიტა“!.. ცნობილი მეცნიერისა და ჟურნალისტის არნოლდ გეგეჭკორის ნათქვამიც მახსოვს, – ყვირაზე გვირილაც კი გამორჩეული არისო!

– ჰოდა, ამ ტყეებს და კალთებს მოჭრა და მუსვრა კი არ უნდა... მოვლა და შენახვა უნდა!.. აი, ახლა კი კრიკინა მთელი ერის, ქვეყნის ისტორიას ინახავს! ჩვენ კი, გარემოს დაცვის სამსახურებს ვაუქმებთ და რაღაც აბდაუბდას ვარქმევთ!.. ჩვენს ტყეებს სხვას ვუთმობთ!.. რა დაგიმალო და ამანაა, რომ დამაფიქრა!..

შარაზე „ფერარმა“ ჩამოიარა. ჩვენებური ბიჭი მიჯდომოდა საჭეს. მასში ოთხი თუ ხუთი უცხოელი იჯდა. გენოს არაფერი უთქვამს, მხოლოდ განზე დაიწყო ცქერა!

ყვირას ქედს უზარმაზარი შავი ღრუბელი წამოდგომოდა, მაგრამ მზე, ჯერ ისევ, გაგანიად ენთო დედამიწაზე.

– სათუთად შეფუთული კრიკინას ფოთლები თხირიშიდან მსოფლიოს სამეცნიერო ცენტრებისკენ მიმავალ ბილიკს შედგომოდა!

გენო „ჯიჯის“ კი, იმედი ჩაღვროდა თვალებში!

**ზაურ ფიფია**

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

**უძრავი ქონების ამერიკული დეველოპერული კომპანიის მფლობელი დონალდ ტრამპი ყოფილ საბჭოთა კავშირში პირველ საქმეს იწყებს და დიდმასშტაბიანი ფეშენებელური ბინათმშენებლობის პროექტის ფარგლებში თავის სამარკო ნიშანს საქართველოს გადასცემს. თბილისი იმედოვნებს, რომ ტრამპის ვარსკვლავური ძალა ქვეყანაში ინვესტორებს მოიზიდავს, თუმცა, ანალიტიკოსების აზრით, დონალდ ტრამპის ეფექტი შესაძლოა უსაზღვრო არ გამოდგეს.**

# საქართველო დონალდთან ერთად

პირველად ის, რომ ტრამპმა საქართველოში საქმიანობა გადაწყვიტა, საჯაროდ ცნობილი გასულ სექტემბერს გახდა. პირველი პროექტი შავი ზღვის საკურორტო ქალაქ ბათუმში მრავალსართულიანი ნაგებობების კომპლექსს უკავშირდებოდა. ამას მოჰყვა შემდეგი პროექტი თბილისში და მთავრობამ ამ ფაქტს ისეთი რეკლამა გაუწია, როგორც უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ხანგრძლივ პროცესში მომხდარ გარღვევას.

10 მარტს ნიუ-იორკში ტრამპის კოშკში შეთანხმების შესახებ განცხადება ერთობლივ პრესკონფერენციაზე გაკეთდა.

პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, რომელიც სიამაყით ბრწყინავდა, აშკარა პიეტეტს (პიეტიზმი ლათინურად ღვთისმოსაობას ნიშნავს – რედ.) გამოხატავდა ტრამპისადმი, მას „ძვირფას დონალდს" უწოდებდა და მოვლენას იმ მომენტად აღწერდა, რომელმაც მისი ქვეყნის წარმატება განსაზღვრა. 2010 წლის პირველ სამ კვარტალში უცხოური ინვესტიციები საქართველოში წინა წლებთან შედარებით, 6.6%-ით შემცირდა და 4433 მილიონს გაუტოლდა. არსებობს იმედი, რომ ტრამპის საერთაშორისო რეპუტაცია, როგორც უძრავი ქონების ცნობილი დეველოპერისა, ამ ტენდენციის სასიკეთოდ შემობრუნებას დაეხმარება.

მაგრამ დააბანდებს თუ არა თავად ტრამპი ფულს პროექტში, რომელსაც სამშენებლო კომპანია Silk Road Group-ი განახორციელებს, უცნობია. მაიკლ კოჰენმა, The Trump Organization-ის აღმასრულებელმა ვიცე-პრეზიდენტმა და ტრამპის სპეციალურმა მრჩეველმა EurasiaNet.org-ს განუცხადა, რომ გარიგება სალიცენზიო შეთანხმებაზე შედგა. მას არ გამოუმჟღავნებია დაფინანსების დეტალები.

Silk Road Group-ის ხელმძღვანელებმა შეთანხმებასთან დაკავშირებულ კომენტარზე უარი განაცხადეს. აშშ-ს საინფორმაციო საშუალებებში ითქვა, რომ ბათუმის და თბილისის პროექტები $250 მილიონიდან $300 მილიონამდე ელირება, მაგრამ არც კოჰენს და არც Silk Road Group-ს არ დაუდასტურებიათ ეს რიცხვები.

იანვარში ტრამპმა ხელი მოაწერა ასეთსავე შეთანხმებას დეველოპერთან, Rohan Lifescapes-თან, რომელიც ინდოეთში მუმბაიში მუშაობს. ამ შეთანხმების ჩარჩოებში ტრამპმა პროექტს გადასცა თავისი საფირმო სახელწოდება და ნოუ-ჰაუ, ხოლო დაფინანსება ძირითადად დეველოპერს დაევალა, უთხრა EurasiaNet.org-ს კომპანიის დირექტორმა კალპეშ მესამ (Kalpesh Mehtad EurasiaNet.org-ს.

მაგრამ ზოგიერთი ანალიტიკოსის აზრით, მხოლოდ საფირმო სახელი, მაშინაც კი, როდესაც ის ისეთი ცნობილი სახელია, როგორიც ტრამპისაა, ვერ შესძლებს ძალიან ბევრის გაკეთებას უცხოური ინვესტიციებისთვის საქართველოში. მართალია, ეს დაეხმარება საქართველოს, რომ კიდევ ერთხელ მოიზიდოს ინვესტორების ყურადღება საკუთარ პოტენციურ შესაძლებლობებზე, მაგრამ ის ვერ დაავიწყებს კომპანიებს რეალურ რისკებს, ისეთებს, როგორებიცაა, მაგალითად, უშიშროების საკითხები სეპარატისტულ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში – ამბობს ალის მამერი, The Economist Intelligence Unit-ის ეკონომიკური ანალიტიკოსი.

„ისეთი ცნობილი უცხოელი ინვესტორის, როგორიც ტრამპია, გადაწყვეტილება, ინვესტიცია დააბანდოს საქართველოს უძრავი ქონების ბაზარზე, რა თქმა უნდა, მიიქცევს უცხოელი ინვესტორების ყურადღებას პოტენციურად მიმზიდველ სხვა სექტორებთან დაკავშირებით საქართველოში", – წერდა მამერი ინტერვიუში, რომელიც ელექტრონული მიმოწერის საშუალებით მოეწყო.

„მაგრამ არა მგონია, ამ გარიგებამ ინვესტორების ნდობაზე აუცილებლად ისეთი ზემოქმედება იქონიოს, როგორც ამას სააკაშვილი და მისი მთავრობა ელის".

მაგრამ 10 მარტს, როდესაც შეთანხმების შესახებ განცხადება გაკეთდა, განწყობილება ამაღლებული იყო. ისინი იდგნენ დიდი პლაკატის ქვეშ, რომელზეც ეწერა „ტრამპი საქართველოში ინვესტირებას ახორციელებს", ხუმრობდნენ, კომპლიმენტებს ცვლიდნენ და ტრამპმა 43 წლის პრეზიდენტი ისე წარადგინა, როგორც „მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ლიდერი".

„პატარა ქვეყანა ძალიან ძლიერია ეკონომიკურად და ეს აჩვენებს იმას, თუ რა შეიძლება გაკეთდეს მართლაც კარგი ხელმძღვანელობით".

სააკაშვილმა საპასუხოდ ივარაუდა, რომ ტრამპი, რომელსაც პოლიტიკური ამბიციები აქვს, საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნებს მოიგებდა, თუ მონაწილეობას ინებებდა. 2013 წელს სააკაშვილს საპრეზიდენტო ვადა ეწურება.

კოტე გაბრიჩიძე კი, საქართველოს სოციოლოგიური კვლევებისა და მარკეტინგის ინსტიტუტის ანალიტიკოსი, დაჟინებით ამტკიცებს, რომ ტრამპის გარიგება სხვა არაფერია, თუ არა სალიცენზიო შეთანხმება. „შერატონი", „რედისონი" და „მარიოტი" – ისინი ყველა ასევეა წარმოდგენილი საქართველოში, – შენიშნავს ის.

ტრამპის საფირმო სახელი ბათუმსა და თბილისში ვერ გახდება იმის მიზეზი, რომ ინვესტორებმა ქართულ ბაზარს სასწრაფოდ მოაშურონ, – ამბობს გაბრიჩიძე. ამავე დროს გაბრიჩიძე აღიარებს, რომ ტრამპის სახელს აქვს ის ძალა, რომ პოტენციურ ინვესტორებს პოზიტიური სიგნალი გაუგზავნოს.

შეთანხმება იმ გეგმას დაემთხვა დროში, რომლის მიზანიც ბათუმში MTV-ის ეგიდით მუსიკალური ფესტივალის გამართვაა. ამ ფაქტმა შეიძლება ის გლობალური ყურადღება გამოიწვიოს, რასაც მხოლოდ ტრამპის სახელი ვერ უზრუნველყოფს. როდესაც იყნოსა, რომ შესაძლებლობა მიეცა გაეკეთებინა რეკლამა, მანამდე მიულოცა MTV-ის ბათუმის არჩევის გამო შოუსათვის და დასძინა, რომ ტრამპი პირველი იყო, „ვინც დაინახა, როგორი განსაკუთრებულია ბათუმი".

კოჰენმა ასეთივე, ტრამპის მსგავსი ოპტიმიზმი გამოხატა ახალი უცხოელი ინვესტორების მოზიდვის საქმეში ბათუმის პოტენციალთან დაკავშირებით. „ფაქტია, რომ, როგორც კი ტრამპი ახალ ბაზარზე შედის, აქ თუ რომელიმე სხვა ქვეყანაში, მის მაგალითს უამრავი სხვა კომპანია მისდევს", – განაცხადა მან.

EURASIANET.org

# საქართველოს უძრავი ქონების ბაზარი: ბუმია თუ ბუშტი?

**გასულ კვირას სამშენებლო მაგნატმა დონალდ ტრამპმა საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან ხელი მოაწერა ხელშეკრულებას ორი ცათამბჯენის მშენებლობის შესახებ, რომელთა ღირებულებაც 300 მილიონი დოლარია. როგორ აისახება ეს ქვეყნის საინვესტიციო მიმზიდველობაზე? – ასეთ შეკითხვას სვამს ჩვენი გამოცემა.**

რუსეთსა და საქართველოს შორის 2008 წლის ომის შემდეგ ორივე ქვეყნიდან მოხდა კაპიტალის გადინება. ინვესტორები რომ დაბრუნდნენ, საჭიროა „დარწმუნება, რომ ამჯერად კაპიტალდაბანდებანი მოცემულ რეგიონში სხვაგვარად წარიმართება", – წერს თავის ბლოგში გამოცემის საიტზე კორტნი უივარი. ბილიანა პერსონის აზრით, ასეთები შეიძლება იყვნენ, უძრავი ქონების დეპარტამენტის East Capital ხელმძღვანელი, „გამჭვირვალობის დონის ამაღლება... და ობიექტური, ადგილობრივი კანონმდებლობის თანმიმდევრული გამოყენება".

„მთელს მსოფლიოში უძრავი ქონების დიდი ბაზრების უმრავლესობაში ინტენსიურად მიმდინარეობს აღდგენითი პროცესები. ლიზინგურმა საქმიანობამ და ბრუნვებმა უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში უმაღლეს მაჩვენებლებს მიაღწიეს, თავისუფალ მოედანთა წილი იწყებს სტაბილიზებას ანდა შემცირებას, საიჯარო გადასახადები სტაბილური ხდება, ანდა (ყველაზე პრესტიჟულ რაიონებში) ზრდის ნიშნებსაც კი ავლენენ", – იტყობინება პერსონი. მას მიაჩნია, რომ განვითარებულ ბაზრებზე გაჯერების შესაბამისად მოთხოვნაც ასევე დაიწყებს ზრდას ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში. კერძოდ, რუსეთის ბაზარზე მოთხოვნის გაზრდას შეიძლება ველოდოთ 2011 წლის მეორე ნახევარში, აკეთებენ პროგნოზს ანალიტიკოსები.

FINANCIAL TIMES

## დედამიწის ზურგზე



**ჩიკაგოში იაპონიიდან ჩაფრინდა რადიოაქტიური თვითმფრინავი მგზავრებით**

რადიაციის კვალი აღმოაჩინეს თვითმფრინავის ჰაერის გამწმენდ სისტემაში. რადიაციით დაზიანება აღმოაჩინეს აგრეთვე ზოგიერთი მგზავრის ტანსაცმელსა და ტვირთში. ყველა თვითმფრინავი, რომლებიც იაპონიიდან მიფრინავს ამერიკის შეერთებულ შტატებში, რუსეთსა და სხვა ქვეყნებში, მოწმდება რადიოაქტიურობაზე.

* * *



**ბრიტანელებმა შეადგინეს „ფუკუსიმაზე" მიმდინარე პროცესის მოდელი: მთავარი საფრთხე მოდის ატომური ელექტროსადგურის მეოთხე სადგურიდან**

ამ დროს იაპონელი სპეციალისტების ძირითადი ძალისხმევა უკანასკნელი 24 საათის განმავლობაში თავმოყრილი იყო ატომური ელექტროსადგურის მესამე ბლოკის საცავზე. იქ არის არა მხოლოდ გადამუშავებული ურანი, არამედ პლუტონიუმიც.

* * *

**ატომურ ელექტროსადგურ „ფუკუსიმას" რეაქტორების გაცივებისთვის ბრძოლაში მონაწილეობს 50 უსახელო გმირი. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები: უკვე ხუთი კაცი დაიღუპა**



მეორე, მესამე და მეოთხე რეაქტორებზე პარასკევს აღიმართა თეთრი კვამლი, რომლის გაჩენის მიზეზი ჯერჯერობით დადგენილი არ არის. ყველაზე სახიფათო სიტუაცია მესამე რეაქტორზეა. ცნობები დაღუპულთა შესახებ ჯერჯერობით დაზუსტებული არ არის, 21 კაცი დაზარალდა, ორი მუშა დაიკარგა უგზო-უკვლოდ.

* * *

**კოსმოსურმა ზონდმა პირველად ისტორიაში მერკურის ორბიტას მიაღწია – მან შეიძლება ამოხსნას პლანეტის გამოცანა**



მოგზაურობას დასჭირდა ექვსწელიწადნახევარი. ამ ხნის განმავლობაში ზონდმა გაიარა 7,8 მილიარდი კილომეტრი. „მესინჯერის" დახმარებით, ამერიკელი მეცნიერები ვარაუდობენ, შეაღწიონ მერკურის მაგნიტური ველის საიდუმლოებაში, აგრეთვე ამოხსნან, არის თუ არა ყინული კრატერებში და ორმოებში, რომლებიც ახლოს არიან მზესთან პლანეტაზე.

* * *



**აშშ-ს კონგრესმა უარყო რეზოლუციის პროექტი მოთხოვნით ავღანეთიდან ჯარების გამოყვანის შესახებ**

ადრე დენის კუსინიჩი უკვე აყენებდა ამგვარ ინიციატივას, მაგრამ ეს ინიციატივა ვერ პოულობდა კონგრესის წევრთა უმრავლესობის მხარდაჭერას. ამჯერად მას კენჭისყრაზე მხარი დაუჭირა 93 კონგრესმენმა, უმთავრესად დემოკრატებმა, რომლებიც პარტიის მემარცხენე ფრთას წარმოადგენენ. წინააღმდეგ ხმა მისცა ქვედა პალატის 321 წევრმა.

* * *

**გაეროს რეზოლუციამ ხელ-ფეხი გაუხსნა ნატოს. ჩარევა ლიბიაში შეიძლება დაიწყოს უახლოეს საათებში**



პირველი რეიდები, შეიძლება უპილოტო ავიაციის გამოყენებით, დაიწყოს უკვე რამდენიმე საათის შემდეგ, თუ კადაფი შეასრულებს თავის მუქარას ბენგაზში „გადამწყვეტ ბრძოლებთან" დაკავშირებით. იტალიამ გამოჰყო თავისი ბაზები. გერმანიამ უარი თქვა ლიბიაში სამხედრო ოპერაციებში მონაწილეობაზე, მას მიაჩნია, რომ ეს სახიფათოა.



ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი №179

# „მე თითოეული ქართველის ელჩი ვარ“

*არასოდეს დამავიწყდება პირველი შეხვედრა საქართველოს ელჩთან გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გაბრიელა ფონ ჰაბსბურგთან და განსაკუთრებული ინტონაციით წარმოთქმული მისი სიტყვები:* ***„ჩვენ, ქართველები, ერთ მუშტად უნდა შევიკრათ და ვემსახუროთ საქართველოს“...*** *იგი პროფესიით მხატვარია, სამხატვრო აკადემიის პროფესორი.*

*თუ რას ნიშნავს აქ „ჩვენ ქართველები“ ანუ რატომ თვლის ეს ავსტრიული წარმოშობის არისტოკრატი ქალი თავის მეორე სამშობლოდ საქართველოს, ამაზე ქვემოთ:*

**გაბრიელა ფონ ჰაბსბურგი: დარწმუნებული ვარ, თითოეული ქართველისათვის მეტად მნიშვნელოვანია ემსახურებოდეს თავის ერს, თავის ქვეყანას, თავის ხალხს. ჩემთვის დიდი პატივია საქართველოს სამსახურში ყოფნა. იმ ქვეყნის სამსახურში, რომელსაც უძველესი კულტურა, უძველესი ისტორია აქვს. მსოფლიოს უძველესი ევროპელის ჩონჩხი საქართველოს ტერიტორიაზეა აღმოჩენილი. არ შეიძლება ქართული სტუმართმოყვარეობით არ აღფრთოვანდე, რომელსაც ბადალი არ მოეპოვება მსოფლიოში. ქართველებს უსაზღვროდ შეუძლიათ სითბოს გაცემა. რა გაჭირვება არ გადაიტანა ქართველმა ერმა, მაგრამ მაინც არ დაკარგა თავისი ინდივიდუალობა. ჩვენი უწმინდესის ილია მეორის სიტყვები მახსენდება. იგი ქართველ ერს მიმართავდა: — ნუ შეშინდებით, ჩვენ, როგორც ეთნოსმა რამდენი ჭექა-ქუხილი გადავიტანეთ და არ დავკარგულვართ. ჩვენ ღმერთს ვუყვარვართ!“**

**მე ისევე როგორც თითოეული ქართველი, დიდი სიამაყით, დიდი ძალისხმევით წარმოვაჩენ და დავიცავ საქართველოს, ქართველი ერის ინტერესებს, არა მარტო გერმანიაში, არამედ ყველგან.**

*— ქალბატონო გაბრიელა, როდესაც პირველად საქართველოში ჩამოხვედით, უპირველესად რა მოგხვდათ თვალში, ქართველთა რომელ თვისებებს გამოარჩევდით. მხედველობაში მაქვს დადებითი და უარყოფითი თვისებები.*

**— დადებით თვისებებზე ზემოთ უკვე ვთქვი და სიამოვნებით კიდევ აღვნიშნავ ქართულ სტუმართმოყვარეობას, გულწრფელობას, თავდადებას, როგორც მეგობრისათვის, ისე უცხოსათვის. ქართველს არასოდეს სხვისი დაჩაგვრა არ სჩვევია. ქართველ კაცს აქვს არაჩვეულებრივი უნარი შენდობისა. ქართველები ნიჭიერი ერია. მათი მუსიკალურობა საოცარია. ყველა მღერის და უკრავს. თითოეულ ქართველში დიდი ხელოვანი ცხოვრობს. მე თვითონ მუსიკალური განათლებაც მაქვს მიღებული და მათ მუსიკალურ ტალანტს დიდად ვაფასებ. თქვენ უარყოფით თვისებებზეც მკითხეთ. როდესაც ადამიანებს ერთმანეთი უყვართ, ერთმანეთს პატივს სცემენ, ერთმანეთს უფრთხილდებიან, სტუმარს გულწრფელი თავაზიანობით ხვდებიან, ამდენი სიკეთის უნარი რომ გაქვს, ეს უკვე ფარავს უარყოფით თვისებებს. ქართველებს უნდა გვახსოვდეს ილია ჭავჭავაძის დანაბარები: — სხვა ვერაფერი გვიხსნის სიღარიბისაგან, თუ არა ის ხერხი, ის უნარი, ის ძალ-ღონე, რომელსაც მარტო ცოდნა და სწავლა-განათლება იძლევა.**

**საქართველოში 1999 წელს ჩამოვედი მეგობართან ერთად. მაშინ არაფერი არ ფუნქციონირებდა. არ იყო შუქი, წყალი. ცხოვრების ელემენტარული პირობები არ არსებობდა. ქვეყანა ქაოსში და კორუფციაში იყო ჩაფლული. იყო უმუშევრობა. პატიოსანი შრომით წარმოუდგენელი იყო თავის გატანა. ხალხი გადარჩენისათვის იბრძოდა. მიუხედავად ამ ყველაფრისა, საოცარი იყო ადამიანების ოპტიმიზმი, სიცოცხლის სიყვარული, სტუმრის პატივისცემა. ერთ საღამოს გამოფენას ვესწრებოდი. გამოფენის დამთავრების შემდეგ მეგობარმა თავის ახლობლის ოჯახში დამპატიჟა. მე უარზე დავდექი. ასე გვიან უხერხული მეჩვენა სტუმრობა. ჩემს განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა, როგორ გულწრფელად გაიხარეს ჩვენმა მასპინძლებმა ჩვენი დანახვით. დიდებული სუფრა გაიშალა.**



გაბრიელა ფონ ჰაბსბურგი

*— უკვე ერთი წელია, საქართველოს ელჩი ბრძანდებით გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. ამ ხნის განმავლობაში რა იყო თქვენთვის ყველაზე დიდი მიღწევა. რა შეიცვალა გერმანია-საქართველოს ურთიერთობაში?*

**— ჩემს დიპლომატიურ საქმიანობაში კარიერა არ თამაშობს გადამწყვეტ როლს, ანუ კარიერის მოწყობა არ არის ჩემი მიზანი. ამაღელვებელი იყო ის მომენტი, როცა გერმანიის მაშინდელ პრეზიდენტს, ბატონ ჰორსტ კოელერს რწმუნებათა სიგელი გადავეცი. გერმანიას სტრატეგიული, ისტორიული, კულტურული, პოლიტიკური თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოსათვის. ისტორიას თუ გადავხედავთ, გერმანიას ჰქონდა ინტენსიური დიპლომატიური და კულტურული ურთიერთობები საქართველოსთან. 20-ე საუკუნის 20-იან წლებში საფრანგეთის შემდეგ ყველაზე მეტი ქართველი ემიგრანტი გერმანიაში ცხოვრობდა. გერმანული კულტურით მუდამ იყვნენ ქართველები დაინტერესებულნი. დღეს ჩვენს საელჩოში ყველა თანამშრომელი გამართულად მეტყველებს გერმანულ ენაზე.**

**მე, როგორც საქართველოს წარმომადგენელმა გერმანიაში როგორც ელჩმა, მინდა ხელი შევუწყო გერმანია-საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული ურთიერთობების გაღრმავებას, გაძლიერებას, საქართველოს იმიჯის ამაღლებას. ჩვენ უნდა გავაგებინოთ დასავლეთს, რომ საქართველო დიდი პოტენციის მქონე ქვეყანაა, დიდი ევროპული ოჯახის წევრია. ჩვენ უნდა გავაცნოთ ევროპას ჩვენი ისტორია, თანამედროვეობა. გერმანული საზოგადოების ფართო წრე არ იცნობს, ან ცუდად იცნობს ძირძველ ქართულ კულტურას. ზოგისთვის საქართველო ასოცირდება 2008 წლის რუსეთ-საქართველოს საშინელ ომთან. სინამდვილეში, ჩვენ ბევრი რამ გვაქვს სათქმელი და ბევრიც უკვე ვთქვით. ამ თვალსაზრისით, ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ საქართველო დაიმკვიდრებს თავის ადგილს დიდ ევროპულ ოჯახში. ჩვენ ამ ცოტა ხანში უამრავ საქმეს დავადგით თავი, შედგა საქმიანი კონტაქტები. ბევრი რამ შეიცვალა საქართველოს სასარგებლოდ.**

*— თქვენ ერთხელ საუბარში თქვით, რომ სვანეთში წახვედით ავღანეთში დაღუპული ქართველი ჯარისკაცის ოჯახისათვის სამძიმრის სათქმელად. პირადად იცნობდით ამ ოჯახს თუ ამით ადამიანური მოვალეობა მოიხადეთ?*

**— საქართველოს, ქართველს ვერავინ ასწავლის რას ნიშნავს თავისუფლება. ქართველი ერის სულიერი მამა, ილია ჭავჭავაძე ასე გამოხატავდა თავისუფლებისადმი დამოკიდებულებას: „თავისუფლებავ, შენ ხარ მშვიდობა და სიმართლე ამა ქვეყნისა...“ ეს ქართველი ახალგაზრდები ავღანეთში ტერორის წინააღმდეგ, თავისუფლებისათვის იბრძვიან. საქართველოს, დასავლეთის ინტერესებისათვის. მათი იდეოლოგიისათვის, ჭეშმარიტი ღირებულებებისათვის, უკეთესი მომავლისათვის. ეს ადამიანები ნამდვილი გმირები არიან.**

**იმ სვან ახალგაზრდას პირადად არ ვიცნობდი. ეს საზარელი ამბავი რომ გავიგე , თბილისში ვიყავი. შევხვდი მის ოჯახს და მათთან ერთად წავედი სვანეთში. ჩემთვის მორალური ვალდებულება იყო, ავღანეთში დაღუპული ჯარისკაცის ოჯახის გვერდით დგომა, მათი გამხნევება.**

**ამას წინათ, გერმანიაში სამკურნალოდ გადმოიყვანეს ოთხი მძიმედ დაჭრილი ქართველი ჯარისკაცი. რასაკვირველია, მე მოვინახულე ისინი. ახალგაზრდა ბიჭები, რომლებიც დაინვალიდებულები გადმოიყვანეს ავღანეთიდან... გამაოცა მათმა ოპტიმიზმმა, ცხოვრებისადმი დადებითმა დამოკიდებულებამ. ქედი უნდა მოვუხაროთ ასეთ ახალგაზრდებს!**

*— საქართველოს საელჩო გერმანიაში განსაკუთრებულად აქტიურია. თქვენ მთელ რიგ კულტურულ (და არა მარტო კულტურულ) ღონისძიებებს მასპინძლობთ ცნობილი მწერლისა და ფილოსოფოსის გივი მარგველაშვილის საიუბილეო საღამო, ჰელგა კურცხალიას წიგნის — ლამარას წერილების“ პრეზენტაცია, ახალგაზრდა სკულპტორის ზურაბ ბეროშვილის ნამუშევრების გამოფენა, რეჟისორ გელა კანდელაკის ფილმის ჩვენება, ახალგაზრდა მწერლის ნინო ხარატიშვილის შემოქმედების საღამო და ა. შ. ეს ღონისძიებები გასული წლის დეკემბერში შედგა...*

**— ჩვენ ბედმა გაგვიღიმა, ღმერთის წყალობაა ნამდვილად, ამდენი ნიჭიერი ხელოვანი რომ გვყავს გერმანიაში. ქართული ხელოვნება, სულერთია, კინო, თეატრი, ფერწერული ტილო, სკულპტურა, თუ სიმღერა სულს გვიფორიაქებს, გვაფიქრებს საკუთარი ცხოვრების წესზე, გვამხნევებს, ნაკლზეც მიგვითითებს. ქართულ ხელოვნებას საოცარი იდუმალება აქვს. სხვაგვარი გრძნობა-აღქმა სჭირდება.**

**ჩვენი საელჩო მარტო ამით არ შემოიფარგლება. 4 აპრილს საქართველოს საელჩოს სტუმრები იქნებიან გამოჩენილი ფრანგი მსახიობი პიერ რიშარი და ჩვენი საამაყო, საყვარელი რეჟისორი ნანა ჯორჯაძე თავისი ფილმით. ცნობილი ქართველი მომღერალი ლადო ათანელი, გარდა სიმღერისა, რეჟისორის ამპლუაში წარმოგვიდგება. იგი თავის გადაღებულ ფილმს გვიჩვენებს.**

**ხელოვნება აახლოებს სხვადასხვა ეროვნების, სხვადასხვა კულტურის ადამიანებს. ხელოვნება გასაღებია, რომელიც ძნელად გასაღები კარის გაღებას გვიიოლებს. ხელოვნება შესანიშნავი ფორმაა ხალხებს შორის ხიდის ასაგებად.**

**უზომოდ ბედნიერი ვარ, რომ საშუალება მაქვს ქართული კულტურა, ქართული ხელოვნება ვაჩვენო გერმანელებს. მადლობა მინდა ვუთხრა, ჩვენი საელჩოს თითოეულ თანამშრომელს დახმარებისათვის, აქტიური მხარდაჭერისათვის ჩვენი ქვეყნის ღირსეულად წარმოჩენაში.**

*— „მე ყოველი ქართველის ელჩი ვარ!“ — ეს თქვენი სიტყვებია, რომელიც ბევრის მთქმელია.*

**— მე თითოეული ქართველის ელჩი ვარ, განურჩევლად სოციალური ფენისა, მდგომარეობისა, მსოფლმხედველობისა, ოპოზიციისა და პოზიციისა და ბედნიერად ვთვლი თავს, რომ ვემსახურები ამ მშვენიერ ქვეყანას, ამ ღირსეულ ხალხს, რომელსაც მიუხედავად სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულებებისა უსაზღვროდ უყვარს თავისი სამშობლო. მე მზად ვარ ყველა ქართველის ჭირი და ლხინი გავიზიარო, დავეხმარო მათ პრობლემების გადაჭრაში. მე ლუქსემბურგში ვარ დაბადებული, გერმანიაში გაზრდილი. ჩემი ფესვები ავსტრიაშია. წარმოშობით ავსტრიელი ვარ. პირველად ფეხი რომ დავდგი საქართველოში, თავი საკუთარ სახლში ვიგრძენი.აქ ყველაფერი მშობლიური იყო ჩემთვის. შევიგრძენი ჭეშმარიტად ევროპული, ქრისტიანული კულტურა, შევხვდი უძველესი ტრადიციების მქონე ერს, რომელსაც საკუთარი ანბანი და დამწერლობა აქვს. რომელსაც პირველი ჩვენთვის ცნობილი ლიტერატურული ძეგლი მეხუთე საუკუნეში აქვს შექმნილი, მეთორმეტე საუკუნეში მეცნიერებათა აკადემია ჰქონდა და რუსთაველი ჰყავდა. ბევრ ქვეყანაში ვარ ნამყოფი, მაგრამ საქართველოს მაინც სხვა ხიბლი აქვს, სხვა ადგილი აქვს.**

**ეს ყველაფერი მინდა სხვებსაც ვაჩვენო, გავუზიარო, განვაცდევინო. მინდა ყველას გავაგებინო, რა დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს ევროპისათვის, მისი მომავლისათვის. საქართველო ევროპის ღირსეული წევრი უნდა გახდეს. ამის მიღწევა არის ჩემი დიდი სურვილი და მიზანიც...**

ესაუბრა
ლია ციცაგი-ვიტეკი.
ბერლინი.



შანდორ პეტეფი

# ცენზურა საუკუნე-ნახევრის შემდეგაც...

ლეგენდარული პოეტის **შანდორ პეტეფის და უნგრეთის 1848-49 წლების თავისუფლებისათვის ბრძოლის, რევოლუციისადმი** მიძღვნილ საღამოზე, რომელიც 15 მარტს უნგრეთის რესპუბლიკის საელჩომ გამართა თბილისში, ქართულ-უნგრული მეგობრობის ინტონაციები ისმოდა. ითქვა, რომ უნგრეთის ეროვნული პოეტი **გრიგოლ აბაშიძისეული** თარგმანებით ქართველი ერისთვის ნამდვილ ფასეულობად იქცა. ორ ენაზე ჟღერდა სტრიქონები სიყვარულსა და თავისუფლებაზე. სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის ბარიკადებზე დაღუპული 26 წლის ჭაბუკი პოეტის სახელი და ბიოგრაფია, სიმბოლოსავით განზოგადდა და პოეზიის დღესასწაულად იქცა.

საღამო მიჰყავდა **რატი ამაღლობელს.** შესავალი სიტყვით გამოვიდა უნგრეთის რესპუბლიკის ელჩი საქართველოში **გაბონ შაგი.** შანდორ პეტეფის ლექსების თარგმანებს კითხულობდნენ **გურამ საღარაძე** და **ელდინო საღარაძე.**

**დალი ფანჯიკიძემ** პროფესიული წიაღსვლებით ისაუბრა ზოგადად თარგმანის მნიშვნელობაზე და იმ კონკრეტულ ტექსტებზე, რომელიც გრიგოლ აბაშიძეს ეკუთვნის.

**დავით აბაშიძემ** უნგრელი და ქართველი ხალხის ისტორიული მსგავსების შესახებ გააკეთა პარალელები და საინტერესო ექსკურსი წარმოადგინა.

შანდორ პეტეფისა და მისი პოეზიის თარგმანზე ნიუანსური ლიტერატურული აქცენტებით, ემოციურად ისაუბრა **ლია სტურუამ.**

საზოგადოებამ განსაკუთრებული ტაშით დააჯილდოვა უნგრელი ბიჭუნა **გერგეი ჰალასი,** რომელმაც მშობლიურ ენაზე წაიკითხა პეტეფის **„ეროვნული სიმღერა“** და გოგონა **ჩენგე კოვაჩი,** რომელმაც პოეტის ლექსი „ვარდი ხარ?!“ ქართულენოვანი თარგმანით ააჟღერა...

* * *

და მაშინ, როცა საქართველოში პეტეფის პოეზიის და უნგრეთის თავისუფლებისთვის ბრძოლის დღეს აღნიშნავდნენ, იმავე საათებში ბუდაპეშტში ფრიად საგულისხმო და მრავალი ფიქრის აღმძვრელი ამბავი მოხდა: ბუდაპეშტის მთავრობის ტრიბუნიდან, უნგრეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ვიქტორ ორბანმა ოფიციალურად გამოხატა თავისი ნეგატიური დამოკიდებულება შანდორ პეტეფის ერთ-ერთი, 1848 წლის რევოლუციისადმი მიძღვნილ ლექსისადმი და რამდენიმე სტრიქონი, რომელშიც პრესის თავისუფლებაზეა საუბარი, მკაცრი ცენზურის ქვეშ გაატარა.

საქმე ის გახლავთ, რომ უნგრეთის მთავრობამ რამდენიმე წელია მიიღო პრესის ახალი კანონი, რაც პრესის თავისუფლების ერთგვარ შეზღუდვებსაც გულისხმობს. ამაზე უკვე იმსჯელა ევროკავშირმა და თავისი უარყოფითი აზრი გამოხატა. იგივე ევროკავშირის ზეწოლით ეს შეზღუდვები და აკრძალვები უნგრეთში გამომავალ უცხოურ პრესას არ ეხება. ადგილობრივი ჟურნალისტები კი მედიის კანონს იძულებით ემორჩილებიან, წინააღმდეგ შემთხვევაში ისჯებიან ან სოლიდური თანხით აჯარიმებენ.



ბუდაპეშტის მთავრობის ტრიბუნიდან პრემიერ-მინისტრი ვიქტორ ორბანი

დასავლეთ გერმანიის მაუწყებლობის (WDR) ინტერნეტ-საიტმა გამოაქვეყნა მასალა, სადაც აღნიშნულია, რომ უნგრეთის მედიის კანონი ამ დარგის სპეციალისტების და სამართლის მცოდნეთა აზრით, პრესის თავისუფლებას მნიშვნელოვნად აზარალებს. სპეციალური უწყება, რომელიც ამგვარ აკრძალვებს წარმართავს, ერთმნიშვნელოვნად დაქვემდებარებულია მმართველი პარტიის პოლიტიკურ ინტერესებს.

* * *

პარადოქსია და 15 მარტს, როცა საქართველოში უნგრეთის რევოლუციის დღეს ზეიმობდნენ და როცა ბუდაპეშტში ასევე თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის თარიღს აღნიშნავდნენ, **უნგრული ლიტერატურის კლასიკოსის, რომანტიკოსი პოეტის შანდორ პეტეფის ლექსებს ცენზურა უკეთდებოდა.** იმ დღეს, ეროვნულ დღესასწაულზე, როცა ცნობილმა უნგრელმა მსახიობმა რევოლუციისადმი მიძღვნილი პეტეფის ლექსი წაიკითხა, **ტექსტს უკვე ექვსი სტრიქონი აკლდა..** სწორედ ის სტრიქონები, რომელშიც მოწოდებაა ახალგაზრდობისადმი – გაუფრთხილდნენ და იბრძოლონ პრესის თავისუფლებისათვის. იმ ე. წ. მიჩქმალულ სტრიქონებში წერია, რომ უნ-



და გავუფრთხილდეთ სიტყვის და პრესის თავისუფლებას, რომელსაც „უღმერთო ხელებმა ბორკილები დაადეს“...

აი, როგორი ძალა აქვს კლასიკას – მარადიულ ღირებულებას! საუკუნენახევარზე მეტი ხნის წინათ დაწერილ სტრიქონებს დღეს უკეთდება ცენზურა და... ეს ხდება თანამედროვე პოლიტიკური თეატრის ინტერიერში.



# ჩვენი მოძღვარი

ყოველ აღდგომის ღამეს, იერუსალიმიდან, უკვე მერამდენეჯერ, ჩვენს მოძღვარს მამა გიორგის (საბიაშვილს) ეკლესიაში ანთებული ცეცხლი შემოჰქონდა. სიცოცხლისა და იმედის სუნთქვით ავსებდა იმ წუთებში ჩვენი უწმინდესის სულს ეს ცეცხლი. სურათიც არსებობს, იგი ამ ცეცხლს მთელ საქართველოს რომ უწვდის... უბედნიერესი იყო ეს წუთები თვით მამა გიორგისთვისაც... იერუსალიმშიც კი, ქრისტეს საფლავის ეკლესიაში მღელვარებით იდგა იგი მუდამ იმ გაბზარული კედლის გვერდით, სადაც ქართული ასომთავრული წარწერა ეგულებოდა. მადლობას სწირავდა უფალს. „არც კი ვიცი, მე ასეთი სუსტი და უფერული რისთვის გამომარჩია ღმერთმაო“ – ამბობდა, მაგრამ ეს არ იყო სწორი. იგი არც სუსტი ყოფილა და არც უფერული... ეს მხოლოდ წმინდა და მდაბალი კაცის გულწრფელი სიტყვები იყო და ეს იცის ყველამ, ვინც კი მას იცნობდა; იცნობდა კი ბევრი, უყვარდა ბევრს...



ადამიანები, განსაკუთრებით ახალგაზრდები, მუდამ მიიწევდნენ მისკენ... ესწრაფებოდნენ მასთან საუბარს, სჯეროდათ და სწამდათ მისი... საქართველო და ქართული ეკლესია იყო დეკანოზ მამა გიორგის მთავარი სალოცავი და ეს იცოდნენ მათ. „უვერცხლო მკურნალი“ უწოდეს... არასოდეს, არავის სატკივარს არ უგულვებელყოფდა... უყვარდა ყველა... სახელებით მიმართავდა მათ და ვისი მოძღვარიც იგი იყო, უზარმაზარი ტკივილით დაუბრუნდა ეს სიყვარული...

მახსენდება ის წუთები, როცა მითხრეს, მამა გიორგი აღარ გვყავსო... მაშინვე ნეველის ეკლესიაში გავიქეცი და საკუთარი თვალით ვნახე, საოცრება... ბიჭები, მთელი ხმით ტიროდნენ და გაიძახოდნენ, ახლა რაღა უნდა ვქნათო... ცხადია, ასევე ფიქრობდა და განიცდიდა მთელი მრევლი... და მე მჯერა, რომ ამას ყველაფერს თქვენ ხედავთ, მამა გიორგი, ხედავთ თქვენი სულით და ისიც მჯერა, თქვენ, ვალმოხდილი რომ წარუდგებით ჩვენს წინაპრებს, ჩვენი ქვეყნის აშლილ ბედზეც უამბობთ... თქვენ მარადის ილოცებთ საქართველოსათვის, ქართული ეკლესიისათვის. სამშობლო თქვენი ყველაზე დიდი ტკივილი იყო... ამ ტკივილით ბევრი მოდიოდა თქვენთან. მაინც გწამდათ საქართველოს მომავალი...

თინათინ კოზალაძე

# „იტალია-საქართველოს ათასწლოვანი დიალოგი“

**ქართული საზოგადოების უამრავი წარმომადგენელი შეიკრიბა ევროპის სახლში, რათა ნამდვილ ზეიმად ექციათ იტალიის გაერთიანების 150-ე წლისთავი, რომელიც საქართველოში იტალიის საელჩოსა და საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის ერთობლივი ძალისხმევით მოეწყო სახელწოდებით „იტალია-საქართველოს ათასწლოვანი დიალოგი“ და რომლის გვირგვინი იყო იტალიისა და საქართველოს მრავალწლიანი კულტურული ურთიერთობის მდიდარი კოლექციის გამოფენა. მასზე წარმოდგენილი იყო 151 ექსპონატი, რაზეც ამომწურავად ისაუბრა მუზეუმის დირექტორმა გიორგი კალანდაძემ. მისი თქმით, ასეთი მდიდარი კოლექცია არავის აქვს. ის კი საქართველოში პირველად იფინება. აქ წარმოდგენილია ფოტოები, დეკორაციები, ესკიზები, კოსტიუმები და სხვ.**

შეკრებილთ მიესალმა და ჩვენი ორი ქვეყნის საუკუნოვანი ურთიერთობის დიდ მნიშვნელობაზე ისაუბრა იტალიის ელჩმა ვიტორიო სანდალიმ. შემდეგ კი მან იტალიის პრეზიდენტის ჯორჯო ნაპოლატნოს მიერ მინიჭებული იტალიის მაღალი ჯილდო – სოლიდარობის ვარსკვლავის ორდენი გადასცა ქართული ბალეტის ვარსკვლავს, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის საბალეტო დასის ხელმძღვანელს **ნინო ანანიაშვილს.**

აღინიშნა, რომ ეს ორდენი ენიჭებათ იმ ადამიანებს, რომლებსაც ღირსეული წვლილი შეუტანიათ და შეაქვთ ხალხების და კულტურათა შორის ურთიერთობების გაღრმავებასა და გაძლიერებაში. იტალიაში სწორედ ასეთ პიროვნებად მიიჩნიეს ნინო ანანიაშვილი, რომელიც ძალღონესა და გამოცდილებას არ იშურებს იტალიელ და ქართველ ხალხებს შორის არსებული კავშირების გასაერთიანებლად და გასძლიერებლად.



**სურათზე: იტალიის ელჩმა ვიტორიო სანდალიმ იტალიის პრეზიდენტის ჯილდო გადასცა ნინო ანანიაშვილს.**

**ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.**

**ჩანართზე მუშაობდნენ ნინო ხოფერია და კახა ქორიძე**

# შეაჩერეთ!..



## კითხული კაცის აზრი

**ბატონო რედაქტორო!**

**როგორც წერილში წაიკითხავთ, თქვენს გაზეთთან კარგი ურთიერთობის გარდა არაფერი მაკავშირებს, მაგრამ ბატონი გელა ზედელაშვილის წერილზე გამოხმაურების დაწერა მაიძულა ჩემმა პროფესიამ და ახალგაზრდებთან მუშაობის გამოცდილებამ — მათი თუნდაც მცირედი ნიჭი აუცილებლად უნდა წახალისდეს და არა, პირიქით, როგორც კრიტიკოსი იქცევა.**

**სტატიის გამოქვეყნებას, რომ თქვენს გაზეთში მოვითხოვ, ამასაც აქვს გამართლება: დაამტკიცეთ, რომ თავისუფალი გაზეთი ხართ და კრიტიკასაც არ უფრთხით, მით უფრო, რომ ასეთ ქმედებას გავალდებულებთ საქ. სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტი.**

**თუ წერილს დამიბეჭდავთ, ჩემთან შეუთანხმებლად არაფერი შეცვალოთ.**

**პატივისცემით — ალ. ფოცხიშვილი**

**24.02.2011 წელი**

***P. S.* *ამ წერილის რედაქციაში მოტანამდე ზედელაშვილმა მომდევნო ორ ნომერში არა ნაკლები მოცულობის „კრიტიკული" წერილები გამოაქვეყნა. მეორე წერილში კვლავ ახალგაზრდა პოეტებს განიხილავდა და პირველი წერილის შთაბეჭდილების მქონემ, აღარ წავიკითხე. მესამეში — გამოჩენილი პოეტის ჭანტურიას ფოტოს მოვკარი თვალი და თავი ველარ შევიკავე.***

***კრიტიკოსმა ტარიელ ჭანტურიასაც დაუწუნა ლექსის წერის ტექნიკა! ეს კი მეტისმეტია!***

***შეაჩერეთ ზედელაშვილი, თორემ საქმეს იქამდე მიიყვანს, რომ „ვეფხის ტყაოსანსაც" დაგვიწუნებს!***

***ა. ფ.***

***01.03.2011წ.***

# „მკვახე შექახილი" „ქრონიკის" რედაქციას!

რადგან ჩემი უმწეო ეკონომიკური მდგომარეობის მიუხედავად (110-ლარიან პენსიაზე ვზივარ ‚ჩარეცხილი" პროფესორი), თქვენი გაზეთის მუდმივი მყიდველი ვარ, მაშასადამე, მუდმივი მკითხველიც, ანუ გთვლით ახლობლებად, მოყვრებად.

ჰოდა, „მოყვარეს პირში უძრახეო", რომ ვამბობთ, მეც იმ გზას დავადექი.

უნდა შევეკამათო, უფრო სწორად, დავუწუნო „თავგამოდება" ჩემს ერთ-ერთ აქტიურ ჟურნალისტს – გელა ზედელაშვილს – იმ სფეროში ჩარევის გამო, რაც, როგორც გამოჩნდა, მისი შესაძლებლობების ფარგლებს სცილდება. მხედველობაში მაქვს თქვენი გაზეთის (14-20 თებერვლის 2011 წ.ძ №7 (477ძ-ში გამოქვეყნებული წერილი: **„თქვენ იცოდით, რომ ირაკლი წერეთელიც პოეტია და დიდ მგოსნებს შორისაც მოხვდა?"** (გვ.38-39ძ.

გელა ზედელაშვილი ნიჭიერი ჟურნალისტია, მაგრამ, როგორც ჩანს, იგი შორსაა, ძალიან შორსაა ლიტერატურათმცოდნეობის, ლიტერატურული კრიტიკის საფუძვლიანი ცოდნისაგან, რაც ასე აუცილებელია იმისათვის, რომ პოეზიაზე იმსჯელო, ლექსის ავ-კარგი შეიცნო – უბრალო ჭეშმარიტება მაინც იცოდე: ლექსი ღვთიური ნიჭის ნაყოფია, ღმერთთან ლაპარაკის შედეგია (აკი ამბობდა დიდი ილია: „ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობო..."ძ და მისი სწორად აღქმისათვის განსაკუთრებული მომზადება და სულიერი საგზალია საჭირო.

მე ამჟამად ვერ განვიხილავ „ეროვნული მწერლობის" მიერ გამოცემულ „უახლოესი ქართული პოეზიის არცთუ ბევრი რამით მართლაც უნაკლოსა და არცთუ ძვირფასად შედგენილ ანთოლოგიას" მთლიანად, საიდანაც ამოუწერია განსახილველი ლექსები ბატონ გელა ზედელაშვილს. ეს ძალიან დიდ დროსა და დიდ ადგილს მოითხოვს. რა თქმა უნდა, ხსენებულ „ანთოლოგიაში", როგორც მოსალოდნელიც იყო, სამწუხაროდ არის ბევრი სუსტი ლექსიც. მაგრამ იმ ლექსებიდან, რომლებსაც ასე ხელაღებით აკრიტიკებს ზედელაშვილი, ზოგიერთი ნამდვილად არ არის სალანძღავი და, იქნებ სჯობდა, ამ საქმისათვის ხელი არ მოეკიდა.

დავიწყებ იმ ლექსების განხილვით, რომლებიც უპირველესად განიხილა გელამ.

ვერიკო ზამთარაძის ქვემოთ მოყვანილი ლექსი „არც სხვებს მოსწონთო", ამბობს კრიტიკოსი, თუმცა არ ასახელებს, ვის არ მოსწონს და რა არ მოსწონს.

აი, ეს ლექსიც:

**„მწერ, რომ წლებივით დაიგვიანე**
**და ჩემში წუთის ხმაურს მოჰყევი...**
**და რომ გჯეროდა, უკვე ინანე.**
**ჩაბარდა წარსულს აწმყო მოწყენით.**

**წამები საათს რჩება ნაოჭად**
**შენ სიყვარული ლექსში დაღალე,**
**მე რომ მიყვარხარ, ასე საოცრად**
**ვერ ეყვარები, მჯერა, სხვა ქალებს."**

ახალა ვნახოთ კრიტიკოსის მოსაზრებები: „მოდით, ძალიან რომ არ გაგვიჭირდეს ვერიკო ზამთარაძის ფილოსოფიური აზრების გაგება, ლექსი გავარჩიოთ ნაწილ-ნაწილ, კი, ბატონო, „ რომ წლებივით დაიგვიანე", ეს გასაგებია, მაგრამ „ჩემში წუთის ხმაურს მოჰყევი"... რას ნიშნავს! ანუ კაცმა წლებივით დაიგვიანა და მერე წუთის ხმაურს მოჰყვა? ალბათ, დამეთანხმებით, აქ რაღაც ვერაა კარგად. **იქნებ სჯობდა, ვერიკოს დაეწერა: ჩემში წუთიერ ხმაურს მოჰყევიო"** (ხაზი ჩემია, – **ა.ფ.**ძ.

როგორც ხედავთ, საქმე იქამდე მიდის, რომ კრიტიკოსი ასწავლის პოეტს, როგორ უნდა დაეწერა! – ეს კი ჩემთვის სრულიად გაუგონარი სიახლეა. ჯერ არსად წამიკითხავს და არც გამიგონია, დაწუნებული სტრიქონის „უკეთეს" ვარიანტს კრიტიკოსი გვთავაზობდეს!

ზედელაშვილი განაგრძობს:

„არანაირ პოეტურ მიგნებაში არ ჯდება ეს სტრიქონი: „წამები საათს რჩება ნაოჭად"... **მე პირადად ბევჯერ შევამოწმე ჩემი საათი და ნამდვილად ვერსად ვერ აღმოვაჩინე ნაოჭები"** (ხაზი ჩემია, – **ა.ფ.**ძ

აი, ასე კითხულობს პოეტურ ნაწარმოებს ჟურნალისტი, ლიტერატურული კრიტიკოსის მანტიაში გახვეული. და რომ დაგვარწმუნოს თავის სიმართლეში, გვიხსნის: „შეიძლება პოეტმა თქვას რაღაც უცნაური, მაგრამ, ეს უნდა იყოს გასაგები". ანუ პოეტური ნათქვამი მაშინ იქნებოდა ხელოვნების ნიმუში, თუ კრიტიკოსი „ნაოჭებს" ნამდვილად აღმოაჩენდა თავისი საათის ციფერბლატზე. და, რადგან მისმა თვალებმა წუთებისა და წამების მიმნიშნებელი (ხან წერტილებით, ხან მოკლე-მოკლე სწორი ხაზებით ციფერბლატზე მიბეჭდილიძ ნიშნები კი დაინახა, მაგრამ



დანახულს იქეთ წარმოდგენით ვერ გაიხადა და ეს დაწინწკლული ციფერბლატი ნაოჭებად ვერ გადასახა, ხელოვნების ნიმუში არ მოსწონს (ეს დაახლოებით იგივეა, რომ ბეთჰოვენის „მთვარის სონატის" მოსმენისას შენ გარშემო მთვარეს დაუწყო ძებნა!ძ".

ხელოვნება კი, როგორც პოეტების მეფე გალაკტიონი ამბობს: ...**„ვთქვი, რას აქვს ფასი ქვეყნად, რომ არ იყოს ხელოვნება"! მაგრამ ჩემში საუბრობდა მეორე ხმა, ხმა ფარული – ხელოვნება. ეს ოქროა მიწის გულში დამარხული.**

**ხელოვნება მარგალიტს ჰგავს, მას ზღვა ფარავს შეუცვლელი, რას იშვიათ თუ მისწვდება, კაცის გული, კაცის ხელი!!..**

კრიტიკოსს არც რითმა მოსწონს პოეტისა, მაგრამ ეს არაფერია. მას არ მოსწონს ეს სტრიქონებიც:

**„ვნებას ჩამოთლის ჰანგებად ასო,**
**ვეძლევი ლექსებს, როგორც სარეცელს,**
**და მონატრება დაეძებს ნაცნობს,**
**რომ სამუდამო ლოდინს გაექცეს".**

ბოდიშს ვიხდი, რომ კრიტიკოსის ტექსტს ვამოკლებ, მაგრამ რა ვქნა, ყველაფერი რომ ამოვწერო, ძალიან ბევრი გამოვა. თუმცა, ვცდილობ, ისე შევამოკლო, აზრი მაინც გასაგები დარჩეს.

კრიტიკოსი გაკვირვებულია: „ვნებას ჩამოთლის ჰანგებად ასო",აბა გაიგეთ რამე? ვერც გაიგებთ, რადგან ასო ვერ ჩამოთლის ვნებას ჰანგებად. ახლა **„ლექსებს , როგორც სარეცელსო"**, ამაზე აღარაფერს ვამბობ".

თქვენ არაფერს ამბობთ ხომ, ჩემო გელა?!

მაშინ მე გეტყვით: – **ბრწყინვალე პოეტური ხილვაა,** კერძოდ, ნათქვამია: – ლექსები ჩემთვის ისეთივე სანუკვარი და დამატკბობელია, როგორც სარეცელი, ანუ მამაკაცთან ერთად გატარებული დრო! არ ვარგა? – ამაზე უფრო მხატვრულად და გრძნობით რა უნდა თქვას სექსუალურ ურთიერთობაზე პოეტმა ქალმა?!

კრიტიკოსს არ მოსწონს ამავე ლექსის შემდეგი სტრიქონებიც:

**„რომ შერჩა შესანდობარებს**
**წუთები ... ცრემლი ადამიანთა".**

„ეს სტრიქონებიც ნამეტანი ფილოსოფოსურადაა დაწერილი" – ამბობს კრიტიკოსი – „მით უმეტეს, მარადისობის თვალებს რომ მოსტაცეს, მაგალითად რა? ადამიანთა ცრემლი? წუთები? დავანებოთ ამას თავი. **თქვენ სადმე გაგიგონიათ, ვინმეს ეთქვას, „შესანდობარები" დავლიოთო** (ხაზი ისევ ჩემია, – **ა.ფ.**ძ არსებობს სიტყვა „შესანდობარი". ზამთარაძეს შეეძლო ეს სიტყვა გამოეყენებინა უკეთესად, თუკი ცოტას წაიმუშავებდა. აი, ასე, ჩემო მკითხველო, შეიძლება, ქალბატონი ვერიკო მშვენიერი არსებაა პიროვნულად და თავის ლექსებსაც კარგად კითხულობს სუფრასთან, მაგრამ „ანთოლოგიისთვის" ნამეტანია."

გესმით, რას უწუნებს კრიტიკოსი პოეტს? – **შესანდობარები** რატომ თქვიო!

ამასთან დაკავშირებით უნდა ვუთხრა ჩემს ძვირფას გელას, რომ მე ვარ ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ათეული წლების განმავლობაში ქართული ენის გრამატიკის კურსს ვკითხულობდი სამ (თ.ს.უ.-ს თბილისისა და თელავის პედინსტიტუტებშიძ უმაღლეს სასწავლებელში. ადრე ხშირად (ახლაც ხანდახანძ მიხდება თამადობა და, როცა მიცვალებულების სადღეგრძელოზე მიდგება საქმე, სწორედ ასე ვამბობ: „უნდა ვთქვათ **შესანდობარები! ვახსენოთ ისინი, ვინც ჩვენს შორის აღარ არიან, ვინც გვიყვარდა და ვისმა წასვლამაც გული დაგვწყვიტა!**

**გელა ზედელაშვილი უნარიანი ჟურნალისტია, მაგრამ, როგორც ჩანს, იგი შორსაა, ძალიან შორსაა ლიტერატურათმცოდნეობის, ლიტერატურული კრიტიკის საფუძვლიანი ცოდნისაგან**

ზოგჯერ – ცალ-ცალკე ვადღეგრძელებ ხოლმე გარდაცვლილ მშობლებსა თუ ნათესავ-მეგობრებს.

ბატონო გელა, რას გადამიწყვეტთ? ჩამომართმევთ წოდებასა და ხარისხს, თან ქართული გრამატიკის საკითხებშიც გამწვრთნით, თუ მაპატიებთ ამ „უვიცობას"?!

კრიტიკოსს არც ნონა გიორგაძის ლექსი მოსწონს:

**„დღეს უცაბედად დამტოვა ქარმა,**
**გადაუქროლა ცისფერ სანახებს.**
**შენს სიყვარულში თუ დღემდე ბრმა ვარ,**
**დღეს ავდგები და — თვალებს გავახელ...**
**თვალგახელილი გავყვები მზისფერს,**
**საითაც მიძევს უცხო სამანი.**
**ჩემს სტრიქონებს კი აუხსნის სიზმრებს,**
**შენგან მოძღვნილი იასამანი."**

– ახლა არ გამაგიჟო, ნონა, დღეს რომ უცაბედად არ დაეტოვებინე ქარს, თუ არ გადაიქროლებდა ცისფერ სანახებს, არ უნდა ამდგარიყავი და არ უნდა გაგეხილა თვალები? ეგრე უნდა გევლო ბრმად? კი, ბატონო, ახლა კი გაჰყვები თვალებგახელილი მზისფერს, საითაც გიძევს უცხო სამანი, მაგრამ ეს ვერ გავიგე: შენ სტრიქონებს რატომ ან რანაირად უნდა აუხსნას სიზმრები იმისგან მოძღვნილმა იასამანმა? ნუ მეტყვი ახლა, ეს პოეზიაა და აქ ყველაფერი მოსულა, ანუ შესაძლებელია, იასამანმაც აუხსნას შენს სტრიქონებს სიზმრები. კი, ზოგიერთებისათვის პოეზიაში ყველაფერი მოსულა, მაგრამ არა **მგონია სისულელეები ჭკვიანმა მკითხველმა ჭამოს** (ხაზი ჩემია – **ა.ფ.**ძ, სხვათა შორის, როგორც ვატყობ, აბდაუბდა სტილი კარგა გვარიანად შემოსულა ქართულ პოეზიაში... მაგალითად, აი, რას წერს ჭაბუკი ქოიავა:

**„შენი სიშორე ცრემლისფერია**
**და მონატრება მაფორიაქებს,**
**სხვების შაშები როცა მღერიან,**
**მაშინ ზლუქუნებს ჩემი იაქე".**

აქ პირველ ორ სტრიქონს თითქოს არა უშავს რა, კაცს მონატრება აფორიაქებს, მაგრამ სხვების შაშების სიმღერა და მისი იაქეს ზლუქუნი რა პოეტური მოგონებაა, საერთოდ რისი თქმა უნდა, გაუგებარია. როდესაც მე ამ საშუალო დონის პოეტების ნამუშევრებს განვიხილავ (კიდევ კარგი, ყოველგვარი დონის ქვემოთ მყოფები რომ არ უწოდეთ! – **ა.ფ.**ძ სრულებითაც არ ვუყენებ მათ გალაკტიონისა და გოგლა ლეონიძის ოსტატურ მოთხოვნებს („გალაკტიონისა და გოგლა ლეონიძის ოტატურ მოთხოვნებს" კი არა, ჩემო გელა, „გალაკტიონისა და გოგლა ლეონიძის პოეტური ოსტატების მსგავს მოთხოვნებს" – **ა.ფ.**ძ, მე ვითხოვ, ანუ მკითხველი ითხოვს, უფრო მეტ სინათლეს, სილაღეს და სიმარტივეს. არა, ეს ყველაფერი რომ შეძლო, ალბათ, მართლაც, ლეონიძე უნდა იყო და, როგორც გალაკტიონი იტყოდა: ნიჭია საჭირო, ძამიკო, ნიჭი! თუმცა, კიდევ ვიმეორებ, საშუალო დონის პოეტსაც შეუძლია თავი სათქმელი მარტივად და სადად გადმოგვცეს. არადა, როცა იგივე „მგოსანი" ამბობს, ნეკნებს ვთვლი და გული მწყდება, რომ არ მაკლიაო, იმას რაღაზე უნდა ელაპარაკო?

**„კვირის დღესავით ვითვლი ჩემს ნეკნებს**
**და გული მწყდება რომ არ მაკლია,**
**შენა ხარ ყველა ტკივილის მეკვლე,**
**ყველა სიამის ტკბილი ნათლია.**
**გზები სავსეა შამბით და ეკლით,**
**ამაოდ ეძებს ვარდების აჩრდილს,**
**რომ არ მაკლია არც ერთი ნეკნი,**
**ნეტავ ამ ქვეყნად როგორღა გაჩნდი?"**

ამ სტრიქონების კრიტიკოსისეული კომენტარების მთლიანად მოტანით არ დაგღლით... იგი ასკვნის: „ეს პოეტი **ანთოლოგიაში კი არა, გინესის რეკორდების წიგნში უნდა შევიტანოთ, პირველი კაცია მსოფლიოში, რომელსაც ნეკნი არ აკლია და ამას ნანობს".**

... არა, ბატონო გელა, უფრო მკაცრად არ გეტყვით, მაგრამ ქოიავა არაა პირველი კაცი, რომელსაც ნეკნი აკლია. პირველი კაცი ადამი იყო, რომლის ნეკნიდანაც ევა გამოძერწა ღმერთმა.

კარგი, ბატონო, ბიბლია არ წაგიკითხავთ, მაგრამ ევას გაჩენის ისტორია როგორ არ გაგიგონიათ?! არადა, თქვენ რომ ეს ჭეშმარიტება გცოდნოდათ, მშვენიერ პოეტურ მიგნებას არ დაუწუნებდით ახალგაზრდა პოეტს.

ანდა, ჩემო ძვირფასო, ნარდის თამაში მაინც არ იცით? კერძოდ, ის, რომ შაშის გამგორებელი ყოველთვის გახარებულია, იაქეს გამგორებელი კი – ნაწყენი და ამ სინამდვილის პოეტურად, თანაც მეტად ლამაზად, გარდასახვა როგორ არ მოგწონთ?!

ცალკე უნდა შევჩერდე იმაზე, რომ კრიტიკოსს არ მოსწონს არც ირაკლი წერეთლის პოეზია და ერთი ლექსის „გულდასმით" განხილვის შემდეგ მიღებული შთაბეჭდილებებით „გულდამძიმებული" გაოცებულა: **„თქვენ იცოდით, რომ ირაკლი წერეთელიც პოეტია და დიდ მგოსნებს შორისაც მოხვდა?"**

ეს სიტყვები წერილის სათაურადაც ზის და რატომღაც წინწკლებშია ჩასმული: – გაუგებარია. ზედელაშვილს ეკუთვნის, თუ ვინმე – სხვას. მაგრამ, როგორც არ უნდა იყოს, ამჯერად მე მადლობას მოვახსენებ პატივცემულ კრიტიკოსს, ვისმა წერილმაც გამაცნო მშვენიერი პოეტი – ირაკლი წერეთელი. თუმცა სხვა მხრიდან მას მე ძალიან კარგად ვიცნობდი, როგორც ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთ აქტიურ მონაწილეს.

აი ირაკლის ლექსიც:

**„წუთისოფელი ჰქვია ცხოვრებას**
**მხოლოდ და მხოლოდ ქართულ ენაზე,**
**წუთისოფელში ხშირად ვყოფილვართ**
**ტანჯვის ძლებასა და მოთმენაზე.**
**სამყაროს აღქმის ღრმა აზროვნება**
**სულში განცდების არის ამშლელი,**
**მხოლოდ ქართველმა ერმა დაარქვა,**
**უტყუარი და ნალდი სახელი.**
**კაცთა წარმავალ ყოფა-ცხოვრებას**
**ცვალებადობას ამადროების,**
**მე ვარ მგმობელი მსწრაფლმდინარების,**
**ჟამთა სიმუხთლის საწუთროების,**

**მადიდებელი ღმერთის და ზეცის,**

**ქვეყნიერების უარმყოფელი,
მიყვარს ნათელი მარადისობა
და მძულს მზაკვარი წუთისოფელი.“**

კრიტიკოსი ჩივის: „ირაკლი წერეთელს კი უგერს გული სამშობლოსათვის, მაგრამ ლექსის წერის ტექნიკა იმდენად სუსტი აქვს, მომენტებში ცოტა უცნაურ ფრაზებს „წამოაწვენს“ ხოლმე... მაგალითად, გაუგებარია, რას ნიშნავს: „სამყაროს აღქმის ღრმა აზროვნება სულში განცდების არის ამშლელი?“

მე გეტყვით, ბატონო გელა, რას ნიშნავს ეს ფრაზა!

ეს ფრაზა ამბობს: თუ ღრმად აზროვნებ, სამყაროში მომხდარი ყველაფერი სულში განცდებს აღგიძრავსო, ხოლო, თუ ღრმად ვერ აზროვნებ – პოეზიასა და ლოგიკური მსჯელობის შედეგად მიღებულ დასკვნებს შორის განსხვავებას ვერ შეამჩნევო!

თანაც ირაკლი წერეთელს იმასაც საყვედურობს კრიტიკოსი, რომ, თუ ჟამთა სიმუხთლის სწრაფლმდინარების მგმობელია, **„რატომ არ აცალა ზვიად გამსახურდიას სულ რაღაც ერთი წლით პრეზიდენტობაო?“**

მაპატიოს მკითხველმა, თემას ოდნავ თუ გადავუხვიე. საქმე ის არის, რომ ასეთი საყვედური, ალბათ, მეც მერგება, მეც მათ შორს ვიყავი, ვინც ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობა არ მოიწონა, რა თქმა უნდა, თოფი არ მისვრია, მაგრამ გაზ. „დრონში“ გამოვაქვეყნე ღია წერილი, რომელშიც აღვწერდი პრეზიდენტის მოღვაწეობის ნაკლოვანებას და ვასკვნიდი: **„თუ ასე გააგრძელებ, დაღუპავ საკუთარ თავსაც და საქართველოსაც-მეთქი“** და ყველაფერი კარგად აგიხდეთ, როგორც ეს წინასწარმეტყველება, სამწუხაროდ, ახდა.

დიახ, მე გავილაშქრე პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ზოგი გაუაზრებელ მოქმედებათა წინააღმდეგ, როცა იგი პრეზიდენტი იყო, თუმცა მას და მერაბ კოსტავას გვერდით ვედექი, როცა ეროვნულ მოძრაობას იწყებდნენ. ეს ძალიან საინტერესო და დიდი ისტორიაა, რასაც აქ ვერ მოვყვები.

ახლა მეც არ მითხრა, ბატონო გელა – შენ ზვიადის მოწინააღმდეგე ყოფილხარ და რა უფლება გაქვს, მე მეკამათებიო?!

გეკამათები, ჩემო გელა, იმიტომ, რომ მოყვარედ გთვლი და ვერ გაპატიებ შეცდომებს, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე ახალგაზრდა პოეტების შემოქმედების შეფასებას ეხება.

მთელი ცხოვრება ახალგაზრდების აღზრდის საქმეს შევალიე და კარგად ვიცი, რაა საჭირო იმისათვის, რომ მათში არსებული თუნდაც მცირედი ნიჭი გააღვივო და სახელოვან კაცად აქციო. თქვენს წერილში კი ამ ახალგაზრდების ნიჭიერება, სამწუხაროდ, შექების მაგიერ უარყოფილი და დამცირებულია, რაც არ გეკადრებათ.

მკითხველს ვთხოვ, მაპატიოს, ცოტა სიტყვა გამიგრძელდა, მაგრამ არ შემიძლია არ ვაჩვენო, რამდენიმე მაგალითი იმისა, როგორ წერენ ლექსებს პოეზიის მეფე გალაკტიონი და დედოფალი – ანა.

**„ატირდნენ მთები და... ლამის მეც ავტირდე,
ნაძვები დაღონდნენ და მეც...მეც ვღონდები...
ხეთ ხელი აღმართეს და ღმერთი ადიდეს,
მაგრამ... უჩვეულოდ კვნესით და გოდებით
მოსწყდნენ და გაფრინდნენ, გაფრინდნენ,
ფოთლები.“**

ანას ამ ლექსზე, ალბათ, ასე იტყოდა პატივცემული გელა: ეს რა „წამოუწვენია“ ანას! – „ ფოთლებმა ღმერთები ადიდესო“?! მაგრამ, რა იცის, რომ პოეზიის მეფესთან „უარესი“ ელოდება:

**„დგება თეთრი დღეები,
რიდეების სეზონი,
გაჩნდნენ ორხიდეები
ყოვლად უმიზეზონი
ლაჟვარდების კიდეო.
დაბურულო ზმანებით,
ლურჯი მონტევიდეო
ვიწრო ხელთათმანებით“**
ან
**„მიჰქრის დალალ გადაყრილი
დოვინ, დოვენ, დოვლი....
თოვლი, ფიფქი და აპრილი
ვარდისფერი თოვლი“.**

ვერ გეტყვით, რას დაარქმევდა“ლურჯ მონტევიდეოს(ურუგვაის დედაქალაქიაძ ვიწრო ხელთათმანებით“ ან „ დოვინ, დოვენ, დოვლი“-ის გამოჩენას ამ მეტად უბრალო ლირიკულ ლექსებში, ბატონი გელა?! ამისთვის, ალბათ, იმის ცოდნაა საჭირო, ზემოთ მოტანილ მოსაზრებაში – ხელოვნების საიდუმლოების შესახებ – უკვე რომ გვითხრა გალაკტიონმა!

**ალექსანდრე ფოცხიშვილი,**
**ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ჩარეცხილი პროფესორი, ქართული ენათმეცნიერების ისტორიის საზოგადოების დამფუძნებელი პრეზიდენტი (ამჟამად საპატიო), ენათმეცნიერების ისტორიკოსთა საერთაშორისო ასოციაციის ნამდვილი წევრი.**
**24.02.2011წ.**

**ყოფა**

# „გამარჯობა, სოფელო და ქალაქო, რეესტრი ვარ შენი სამოქალაქო“...

## რას შეახსენებს და ავალებს მოსახლეობას ეს ამონარიდი სამოქალაქო რეესტრის სარეკლამო რგოლიდან

**სამოქალაქო რეესტრის სააგენტო მოქალაქეებს ფაქტობრივ საცხოვრებელ მისამართზე დარეგისტრირებისკენ მოუწოდებს. მოქალაქეები, რომლებიც ბოლო 6 თვეა, კონკრეტულ საცხოვრებელ მისამართზე ცხოვრობენ, ვალდებულნი არიან, რეგისტრაცია ამ მისამართის მიხედვით გაიარონ.**

რეგისტრაცია იმის მიუხედავად უნდა მოხდეს, არის თუ არა მოქალაქე იქ ჩაწერილი. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა, პირადობის მოწმობა გაუუქმდეს. სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილე გიორგი გაბრიელაშვილმა სიახლესთან დაკავშირებით განმარტებები გააკეთა. მისი თქმით, ხელისუფლებამ უნდა იცოდეს, რა მისამართზე იმყოფება და, საჭიროების შემთხვევაში, სად მოძებნოს მოქალაქე.

**„სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს ინფორმაცია, სად ცხოვრობს მისი მოქალაქე. ელემენტარულად, საგადასახადოდან შეიძლება მოგივიდეთ შეტყობინება, შესაძლოა, სასამართლოს დასჭირდეს მოქალაქესთან დაკავშირება. ეს შეეხება არჩევნებს თუ სხვა საკითხებს. სად მოგძებნოთ, სად გეკონტაქტოთ, სად გამოგიგზავნოთ წერილი, ხელისუფლებამ ეს უნდა იცოდეს. ეს ლეგიტიმური მოთხოვნაა – სადაც ცხოვრობ, იქ უნდა იყო რეგისტრირებული, იმის მიუხედავად, შენი საკუთრებაა თუ არა საცხოვრებელი“,** – განაცხადა გაბრიელაშვილმა.

მისივე განმარტებით, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ბაზაზე წვდომა სულ უფრო მეტ დაწესებულებას, საჯარო თუ კერძო სექტორს აქვს, შესაბამისად, მოქალაქეების რეგისტრაციის გაუქმების ფაქტს მეტი დაწესებულება გაიგებს, აქედან გამომდინარე, ბანკებში ან სხვა დაწესებულებებში მომსახურების მიღებაზე პრობლემები შეიქმნება, ვინაიდან აღმოჩნდება, რომ მათი პირადობის მოწმობა გაუქმებულია. **„თუ რეგისტრირებული ხართ იქ, სადაც წლებია არ ცხოვრობთ, შეიძლება, ისე მოიხსნათ რეგისტრაციიდან და პირადობის მოწმობაც ისე გაგიუქმდეთ, რომ ვერც გაიგოთ“,** – აღნიშნა გაბრიელაშვილმა.

რაც შეეხება ბინის მესაკუთრეებს, გაბრიელაშვილი განმარტავს, რომ მათ საკუთრებასთან დაკავშირებით პრობლემები არ შეექმნებათ. **„მესაკუთრეებს ხშირად ეშინიათ ნათესავის ან მეგობრისთვის ნებართვის მიცემა, რომ ბინაში დარეგისტრირდეს, ვინაიდან ჰგონიათ, ეს ქონებრივ უფლებებს წარმოშობს. მისამართზე რეგისტრაცია ქონებრივ უფლებებს არ წარმოშობს. ასე რომ, თუ ნაქირავებ ბინაში ვინმე ცხოვრობს, ეს მესაკუთრეებს პრობლემას საკუთრებაზე არ შეუქმნის. მესაკუთრეს არ ეკისრება პირდაპირი ვალდებულება, კანონით ვინმე დაარეგისტრიროს, მაგრამ ეს ნიშნავს, რომ გადასახადს არიდებს თავს. ადამიანი თუ ცხოვრობს, წყალს მოიხმარს, შესაბამისად, გადასახადი უნდა გადაიხადოს. რეგისტრაცია ნიშნავს, უბრალოდ, მისამართის დაფიქსირებას და მატერიალური შედეგი, რაც ამას უკავშირდება, კომუნალური გადასახადებია“,** – განაცხადა გიორგი გაბრიელაშვილმა.

მისივე განმარტებით, ახალი პირადობის მოწმობის აღება 10-დღიან ვადაში უფასოა, გარდა ფოტოსურათის გადასახადისა. პირადობა, როგორც პიროვნების დამადასტურებელი, ასევე, მისამართის დადგენის დოკუმენტია და როცა მისამართი არაფაქტობრივია, პირადობა უქმდება.

აქამდე პირი რეგისტრაციიდან მხოლოდ მესაკუთრის განცხადების საფუძველზე შეიძლებოდა მოხსნილიყო. მესაკუთრეს კი ამისთვის საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი უნდა წარედგინა სამოქალაქო რეესტრისთვის. ახლა სხვა ადამიანებს, დაინტერესებულ პირებს, მათ, ვისაც ამის მოტივაცია აქვთ, შეუძლიათ, განცხადება შეიტანონ და რეესტრი ვალდებულია დაიწყოს წარმოება რეგისტრაციის მოხსნის თაობაზე. დაინტერესებული შეიძლება წყლის მიმწოდებელი ან სხვა კომპანია აღმოჩნდეს, რომელსაც ზიანი ადგება.

**„ამოსავალი პრინციპი სიმართლეა – ვინ სად ცხოვრობს. ვისი განცხადების საფუძველზე დადგინდება ეს სიმართლე, მნიშვნელობა არ აქვს. ამასთან, სამოქალაქო რეესტრის სააგენტომ გაითვალისწინა მოქალაქეთა გარკვეული ნაწილის ინტერესები, რომლებიც უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ მათ საკუთრებაში ძველი მფლობელების რეგისტრირების გამო. მათ ზედმეტი კომუნალური გადასახადების გადახდა უწევდათ, რეგისტრაციას კი ვერ ხსნიდნენ, რადგან არ ჰქონდათ საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი. სააგენტომ სამართლებრივი ცვლილებები განახორციელა – დღეს ბინის მფლობელებს, იმის მიუხედავად, აქვთ თუ არა საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტები, განცხადების დაწერა შეუძლიათ. ასეთივე განცხადების დაწერა შეუძლია ნებისმიერ დაინტერესებულ პირს“,** – აცხადებს გაბრიელაშვილი.

სამოქალაქო რეესტრის დიდუბე-ჩუღურეთის განყოფილების უფროსი მეგი კაციტაძე განმარტავს, რომ რეგისტრაციიდან მოხსნის საკითხის გადასაწყვეტად ორი მოწმეა საჭირო, რომ-



ლებიც დაადასტურებენ, რომ პირი რეგისტრირებულ მისამართზე არ ცხოვრობს.

**„მოქალაქის რეგისტრირების გაუქმების საფუძველია მესაკუთრის ან სხვა დაინტერესებული პირის განცხადება, რომ მოქალაქე მითითებულ მისამართზე ბოლო ექვსი თვის განმავლობაში არ ცხოვრობს. მისი განცხადება დადასტურებული უნდა იყოს ორი სრულწლოვანი მოქალაქის ჩვენებით. ამის შემდეგ რეესტრი 15 დღის ვადაში უუქმებს რეგისტრაციას. შესაბამისად უქმდება მისი პირადობაც და ის ძალადაკარგულად ითვლება“,** – განაცხადა კაციტაძემ.

მოქალაქეები ამ სიახლეს კრიტიკულად შეხვდნენ. ისინი ამბობენ, რომ მდგომარეობა გაურთულდებათ და დამატებითი პრობლემები შეექმნებათ. ჩვენ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ ოფისში მყოფ მოქალაქეებს გავესაუბრეთ. მათი პოზიცია ასეთია: **„ეს სიახლე არ არის მისაღები. 6 თვის მერე ისევ ხელახლა ჩავეწერო ჩემს სახლში? უნდა ვიწვალო, შეიძლება დროებით შვილთან, ნათესავთან წავიდე, რაღაც პრობლემის გამო და უნდა მომხსნან რეგისტრაციიდან? მაწვალონ? თანახმა ვარ, იქ გადავიხადო გადასახადი, სადაც ვარ ჩაწერილი, ესა არაა ხალხის სასიკეთოდ“.**

**„არაა მისაღები. ვთქვათ, ადამიანი 6 თვით საზღვარგარეთ არის წასული მივლინებით. რომ ჩამოვა და ნახავს, რომ არ არის რეგისტრირებული, ეს ხომ პრობლემაა მისთვის? ცვლილება ბიუჯეტის შესავსებად კეთდება“.**

**„ვფიქრობ განსაკუთრებით სტუდენტებს და თბილისში დასაქმებულებს პრობლემები შეექმნებათ. ისინი თბილისში ქირით ცხოვრობენ. მესაკუთრეებს შეეშინდებათ, რომ საკუთრებასთან დაკავშირებით რამე სახის პრობლემები არ შეექმნათ და მოერიდებიან ბინაში სხვა პირის ჩაწერას. შესაბამისად, ბინების დაქირავება გართულდება“.**

იურისტებსა და ექსპერტებში აზრი ორად გაიყო. არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანის უფლებათა ცენტრის“ დირექტორი უჩა ნანუაშვილი ამ სიახლეში პოლიტიკურ ელფერს ხედავს და ხელისუფლების მხრიდან მოქალაქეების გაკონტროლებას უკავშირებს.

**„მოქალაქეების დროის თვალსაზრისით და ფინანსური კუთხით, რა თქმა უნდა, არის პრობლემები, თუმცა, მთავარი ამაში ის არის, რომ ბრუნდება ძველი, საბჭოთა დრო – როდესაც ყველაფერი გაკონტროლებული უნდა ყოფილიყო და ხელისუფლებას ამომწურავი ინფორმაცია ჰქონოდა, ვინ სად იმყოფება. განსაკუთრებით ახლა ამ თემის წამოწევა მიზანმიმართულად ხდება და პოლიტიკურია. გადასახადების ამოღების და ადამიანის მოძებნის მექანიზმი სახელმწიფოს ისედაც აქვს. უბრალოდ, ამას ამარტივებენ. უნდათ, ადამიანი გამუდმებით შიშის ქვეშ იყოს, რომ რაღაცაზე ვალდებულია და პასუხისგება მოუწევს. როგორც საგადასახადოს, ისე შს ორგანოებს ყველა ინფორმაცია აქვთ ნებისმიერ მოქალაქეზე და არ უჭირთ ადამიანების მოძებნა“,** – აცხადებს ნანუაშვილი.

ორგანიზაცია „კანონი ხალხისათვის“ ხელმძღვანელი ზაქარია ქუცნაშვილი კი სიახლის დადებით ასპექტებზე ამახვილებს ყურადღებას.

**„ამ წინადადებას მხარს ვუჭერ იქიდან გამომდინარე, რომ რეგისტრაციის სიზუსტე მთავარი წყაროა ამომრჩეველთა სიის სიზუსტისთვის. რეგისტრაციის სიზუსტე ნიშნავს, რომ ფაქტობრივი და იურიდიული მისამართი იყოს იდენტური. კანონში განსაზღვრულია, როდის არ მოითხოვება რეგისტრაცია. ეს არის სამხედრო სავალდებულო სამსახური, საზღვარგარეთ გრძელვადიანი მივლინება, დანარჩენ შემთხვევაში 6 თვეზე მეტი ვადა არის საფუძველი, რომ მოქალაქე ვალდებული იყოს, გაიაროს რეგისტრაცია საცხოვრებლის მიხედვით. რეგისტრაცია ამომრჩეველთა იდენტიფიკაციის მთავარი სამართლებრივი წყაროა. უნდა დავავალდებულოთ, რომ ფაქტობრივი საცხოვრებელი მისამართი რეალურს შეესაბამებოდეს. ვთქვათ, მე დედაქალაქში ჩამოვედი, მაგრამ ნათესავები არ მყავს, ან თანახმა არ არიან, მათთან დავრეგისტრირდე, ასეთ შემთხვევაში რეგისტრაცია ხდება მისამართის გარეშე. გადასახადების გადახდის საფუძველი საცხოვრებელ სადგომზე აბონენტის მონაცემებია, აბონენტს თავისი ნომერი აქვს და ამის მიხედვით მოხდება გადახდა“,** – განაცხადა ქუცნაშვილმა.

აღნიშნული სიახლე უკვე ძალაშია. რეგისტრაციის ახალი წესი იუსტიციის მინისტრის შესაბამისი ბრძანების საფუძველზე ამოქმედდა.

**ბელა ზაქაიძე,**
**„ინტერპრესნიუსი“**

**ინფორმაცია**

## საბავშვო ბაღი, თუ სამინისტრო?!

**საქართველოში პირველად ჩამოსული ადამიანები უმეტესობა გაკვირვებულია ჩვენი მინისტრებისა და უმაღლესი სამთავრობო მოხელეების ასაკით. ფაქტობრივად ჩვენს ქვეყანას 30 წლის ასაკის ადამიანები მართავენ. ზოგიერთ შემთხვევაში უფრო ახალგაზრდებიც. განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა აშშ-ში ბრუკინგსის ინსტიტუტში სიტყვით გამოსვლისას.**

**– ეს ერთდროულად შედეგი და ძირითადი მამოძრავებელი ძალაა იმისა, რომ ჟურნალმა „ეკონომისტმა“ ცოტა ხნის წინათ საქართველოს მენტალური რევოლუცია უწოდა. ჩვენი პირველი ყოვლისმომცველი რეფორმა ჩვენი სამართალდამცავი ორგანოების სრული ტრანსფორმაცია იყო და დავიწყეთ იმით, რომ მთელი საგზაო პოლიციის შემადგენლობა დავითხოვეთ. მოგვიანებით ეს ტრანსფორმაცია საბაჟო და საგადასახადო სისტემებსაც შეეხო, –განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა და აღნიშნა, რომ 2003 წლიდან მსოფლიოს ყველა ქვეყანასთან შედარებით ტრანსფერანს ინტერნეშენელის მაჩვენებლით მეტი წინსვლა გვაქვს, ეს იმის დამსახურებაა, რომ პოლიციასა და ყველა სხვა ბიუროკრატიულ სტრუქტურაში განხორციელდა რადიკალური ცვლილებები და ასევე იმის, რომ ხალხში ფართოდ იყო გავრცელებული განცდა, რომ ეს ცვლილებები მათვე ეკუთვნოდათ.**

ჯი-ეიჩ-ენი

## ◎ ძმათამკვლელ ომს შეწირული

დათო ბოლქვაძე როდესაც ჯარში გაიწვიეს, მე და ის, ერთი წუთითაც არ დავშორებულვართ ერთმანეთს. ყოველ სამ დღეში მომდიოდა მისგან წერილები, ასევე ვუგზავნიდი მეც. ჩვენი დედაშვილური ურთიერთობა გარდაუვალ ტრაგედიას ქვეცნობიერად გრძნობდა თითქოს. ამიტომაც ჯარში ყოფნის ორი წელიც არ გაგვიცდენია. ამაში წერილები ძალიან გვეხმარებოდა. ამ საინტერესო ბიჭზე, ძალიან საინტერესო ეპიზოდები გულით მინდა ავსახო ჩემს მომდევნო წიგნში. თუ უფალი ინებებს და დათოს გარდაცვალების 20 წლისთავს ამიერქვეყანაში შევხვდები, მეორე წიგნსაც იხილავს მკითხველი. 18-19 წლის ბიჭი, თუ როგორი მოაზროვნე და თავის ქვეყანაზე შეყვარებული იყო, ამას ჯარიდან გამოგზავნილი წერილებიდანაც შეიტყობთ. ჩემგან წერილები მისი გარდაცვალების შემდეგაც იწერება... როდესაც ძალიან მომენატრება, მასზე ფიქრი ქაღალდზე გადამაქვს და შვებას ვგრძნობ. მათ მე „გაუგზავნელ წერილებს“ ვარქმევ.

მოთქმა-ტირილს ეს წერილები ცვლიდნენ. ისინი მრავლადაა დათოს არქივში. ჩემს შვილს სიცოცხლე კი დაათმობინეს, მაგრამ მისი სული დღემდე არ თმობს დედას... ჩვენი დედაშვილობის ჯაჭვი სიკვდილმაც ვერ გაწყვიტა... მადლობას იმით მეუბნება, რომ ყოველთვის მოდის ჩემთან. ეს ისეთი გამოუთქმელი გრძნობაა, რომ რაც უფრო ხშირად მოდის, მით კარგად და მხნედ ვარ. მან ყველაფერი იცის ჩვენს ყოველდღიურობაზე. სული ხომ ყველაფერს ხედავს! დათოს ჩემთან მოსვლის სიხშირეზე რომ ვილაპარაკო, მეშინია, ვინმემ ფსიქიკურ გადახრაში არ ჩამითვალოს, არა და, კარგად ვარ!..

დღეს თქვენს გაზეთს ვანდობ ორ მათგანს: დათოს ფრთიან გამოთქმაზე შექმნილ წერილს – „ჩემი პატარა ლანჩხუთი პლანეტისხელა მგონია“ და მეორე წერილს – „ჩემო საყვარელო შვილო, დათო!“

# გაუგზავნელი წერილები

### „ჩემი პატარა ლანჩხუთი პლანეტისხელა მგონია“

ავადსახსენებელი 1993 წლის აგვისტოში, ჯერ კიდევ ბედნიერი იყო ჩვენი ოჯახი. სამივე შვილმა და ერთმა შვილიშვილმა ერთად მოიყარა თავი გურიაში, დიდი ბაბუის – ალიოშა ბოლქვაძის ტრადიციულ ოჯახში. ტყუპი ბიძაშვილები ლალი და დალი ეწვივნენ ჩვენს ტყუპ ქალ-ვაჟს – ნინიკოს და დათოს. სუფრაზე „კუთხე-მუხურის“ სადღეგრძელო შეისვა. მესიამოვნა და დამამახსოვრდა დათოს მიერ



თქმული ფრაზა: „ჩემი პატარა ლანჩხუთი პლანეტისხელა მგონია“.

ამ სიტყვებმა მე და ჩემი მეუღლე, ოთარ ბოლქვაძე დაგვარწმუნა, რომ ისევე როგორც ჩვენ არ გავაციეთ ალიოშა ბოლქვაძის კერა, არც ჩვენი გარდაცვალების შემდეგ გამოიკეტებოდა ძირ-ძველი ფუძე. ჩვენი ვაჟიშვილის ამ ფრაზაში დიდი ავკარგიანობა გვეიმედებოდა და გურიის ის განსაკუთრებული სიყვარული, რასაც დათო ყველაფერში ავლენდა.

დათოს ხშირად ეკითხებოდნენ კოლეგები – რა ხშირად გარბიხარ გურიაში, იქ შეყვარებული ხომ არ გყავსო...

– მყავს და სახელად „ჯუნა“ ჰქვია გვარად „ეწერი-ო“... მეორე გამოთქმაც ჰქონდა: ლანჩხუთი მომენატრა, „ადგილის ნენა“ მეძახისო... ამ ფრთიან ხუმრობაში რა დიდი სიყვარული იდო, ეს მე და მამამისმა ვიცოდით.

კაცი, რომელიც სოფელში არ დაბადებულა და გაზრდილა, ჩამოსვლისთანავე დაიკაპიწებდა ხელებს, ბარავდა, თოხნიდა, ცელავდა, შეშას ჩეხდა, ხის კენწეროს მოევლებოდა და ადესას კრეფდა... მეც სიყვარულით მაქილიკებდა: – ბიჭოს, როგორ გაზრდილა „ვარდენის ქალიშვილი“, ეს რა ბოსტნის კეთება უსწავლიაო! საღამოს დაჯდებოდა ჩვენს მხარგაშლილ ეზოში აპულიასთან და აბელასთან ერთად და სადღეგრძელოში ლოცავდა ჩვენს ეზო-კარზე გადმომყურე ულამაზეს სამების მთას. ამ დროს რომელი უფრო უხდებოდა ერთმანეთს – ჩვენი ეზო დათოს, თუ დათო – ეზოს, ძნელი სათქმელია. დააბიჯებდა ვეება ნაბიჯებით ოქროს ბუნების ბიჭი ჯუნეწრის შუკებში, რომელიც პლანეტის სიყვარულს იტევდა გულში და...

ხედავთ, ჩემო მკითხველო, მე მისი მშობელი, გამზრდელი და აღმზრდელი, ყოველივე ამას უკვე წარსულ დროში მოგითხრობთ... უკვე აღარ დადის ის თბილისის ქუჩებში, ტელევიზიის დერეფნებში, მტრედის გუნდივით აღარ დასდევენ თაყვანისმცემელი გოგონები, აღარ აცილებს სახლამდე თავის პირმშვენიერ სატრფოს. მე, გვიან ღამემდე, ჯიუტად მის მომლოდინეს, აღარც იმ ნაბიჯების ხმა მესმის, კიბეზე რომ ამორბოდა და მეოთხე სართულზე კარს ღიას ვახვედრებდი, აღარც თავის საყვარელ ლანჩხუთში ჩამოვა ამიერიდან, რადგანაც სულის უკვდავებაში შეაბიჯა და ანდერძად დაგვიტოვა – „ადამიანებო, გიყვარდეთ ერთმანეთი!“, „არა კაც ჰკლა!“

### შვილო ჩემო, დათო!

*ეს წერილი დაიწერა 19.03.94 წ.*

19 მარტს შენ 25 წელი შეგისრულდებოდა, მაგრამ მარად 24 წლის დარჩი...

გახსოვს, ჯარში რომ იყავი, როგორ ვესაუბრებოდით ერთმანეთს წერილობით. ახლაც ხომ ვაგრძელებთ წერილობით საუბარს, ოღონდ შენ ლვოვიდან კი არა, ვირტუალური სივრციდან მწერ და მე გულის თვალებით ვკითხულობ მათ. ოჰ, როგორ მამაგრებ!.. რა სიტყვა გამოხატავს იმ სიმძიმილს, რასაც უშენობა ჰქვია. ვისაც შენ სიზმარში ეწვიე, ყველას აბარებ ჩემთან – დედა მომიკითხეთ და უთხარით, მაგრად იყოსო...

– ნუ გეშინია, შვილო! რადგან უშენოდ სიცოცხლე მომისაჯეს არაკაცებმა, შენს სათუთ სულს არ დაგიმძიმებ, ვიცოცხლებ და მოვუვლი შენი სიკვდილით გულგახეთქილ მამას, დებს და უსაყვარლეს დისშვილს, გიორგის... გახსოვს, პატარა ასაკიდანვე რომ მოგატარეთ მთელი საქართველო: გურია, სამეგრელო, რაჭა, ლეჩხუმი, იმერეთი, კახეთი... სამცხე-ჯავახეთი და ფშავხევსურეთი კი, როცა წამოიზარდე, თავად მოინახულე. რა ბედნიერი იყავი – შთაბეჭდილებებს რომ მიზიარებდი ხევსურეთზე, საფარაზე, ბანაზე და ფარავნის ტბაზე. რამდენი სიყვარული იყო შენს გულში. სვანეთი და აჭარა დამრჩაო, ამბობდი, მაგრამ, არ დაგაცალეს!..

დათო, გახსოვს, დიდმა მამულიშვილმა რეზო თაბუკაშვილმა იტალიიდან მიხეილ თამარაშვილის ნეშტი რომ ჩამოასვენა, სულ 10 წლის ბიჭი იყავი მაშინ. რა ცოცხლად მახსოვს შენი ბავშვური შთაბეჭდილებები:

– დედა, კორნოლატო კურციო რა დიდი ადამიანი ყოფილა, ქართველებს მიხეილ თამარაშვილის ნეშტი რომ შეგვინახაო...

– დედა, გურამ რჩეულიშვილმაც ხომ თამარაშვილივით სხვის გადარჩენას შესწირა თავიო...

– დე, ცოტნე დადიანმა როგორ გასწირა თავი მეგობრების გადასარჩენად, აუ, რა ვაჟკაცი ყოფილაო...

– დედა, თევდორე მღვდელს, იმ ჩია მოხუცს, საიდან ჰქონდა ამხელა ძალაო...

– ჰო, შვილო, ღმერთმა ნუ გამოულიოს შენს სამშობლოს ასეთი კაცები, შენც ხომ ერთი მათგანი ხარ... არც შენ შეუშინდი ტყვიების წვიმას და როგორც თვითმხილველებმა გვითხრეს, მაინც განაგრძობდი მამხილებელი მასალების გადაღებას... სამოქალაქო ომის საშინელ „ექსკლუზივს“ ზედ დაგაკლეს სისხლით დაბრმავებულმა ჯალათებმა, უცხოეთის ტელეკომპანიის ჟურნალისტობამაც ვერ დაგიფარა... ჩემი ცხოვრებაც იქ დამთავრდა, მაგრამ არ გაწბილებ, შვილო! სხვანაირად ვერ მოიქცეოდი, ასეთი გაიზარდე – გულმართალი, უანგარო, კაცობის მტკიცე შიგაგანი კონსტიტუციით და საკუთარ საქმეზე უსაზღვროდ შეყვარებული... და როცა საკუთარი თავი იპოვე, სწორედ მაშინ მოგისწრაფეს სიცოცხლე...

...დედის ტკბილ-მწარე ფიქრები, ქცეული წერილებად, ალბათ, გაგრძელდება, რადგან დაღუპულ შვილზე ფიქრს არა აქვს დასასრული...

**ლია ისიანი-ბოლქვაძე**

## ◎ პატივმიგება

# თემურ მეტრეველი სიცოცხლეს განაგრძობს...

**საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის დარბაზში ცნობილი ჟურნალისტის, რედაქტორისა და საზოგადო მოღვაწის თეიმურაზ მეტრეველის ხსოვნის საღამო გაიმართა, რომელსაც თეიმურაზ მეტრეველის მეუღლე ლია მეტრეველი, მწერლები, პოეტები, ჟურნალისტები, მუსიკოსები, სასულიერო პირები ესწრებოდნენ.**



საღამოს პოეტი ერეკლე საღლიანი უძღვებოდა.

ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ რედაქტორმა, მწერალმა როსტომ ჩხეიძემ აღნიშნა, რომ თემურ მეტრეველის მოღვაწეობა გზამკვლევია ქართულ ჟურნალისტიკაში. იგი იყო ნამდვილი საზოგადო მოღვაწე, ამ სიტყვის ჭეშმარიტი გაგებით.

ბატონმა ჯანსულ ჩარკვიანმა თემურ მეტრეველს უდახვეწილესი პიროვნება უწოდა, ვინც განსაკუთრებულად იცოდა სიტყვის ფასი. „სიყვარულის ფასი იცოდა, ჭეშმარიტების გზით დადიოდა. იბრძოდა სიმართლისათვის, სამშობლოს სიყვარულისთვის, და ამან შეიწირა. წამი წამწამისა მსწრობელია. ის მარადიულია. მე ვენაცვალე მის მარადიულობას.“

და კიდევ, აღინიშნა ბატონი თემურის მეუღლის - ლია მეტრეველის დიდი სიყვარული მეუღლის მიმართ. „დღევანდელ საქართველოს განსაკუთრებით სჭირდება ასეთი პიროვნება. თემურ მეტრეველს ისეთი მეუღლე ჰყავს, ვინც ნამდვილად იცის იმ კაცის ფასი, არ ივიწყებს და ხაზგასმულად ამბობს, როგორ უყვარდა,“ – დასძინა ჯანსულ ჩარკვიანმა.

მაკა ჯოხაძემ, ბაღათერ არაბულმა, გენო კალანდიამ, სხვა სტუმრებმა ხაზი გაუსვეს თემურ მეტრეველის პროფესიონალიზმს, პიროვნულ თვისებებს, დამსახურებას და მის მიერ დატოვებულ კვალს ქართულ ჟურნალისტიკაში.

ბავშვთა ვოკალურმა ანსამბლმა „საგალობელმა“ (ხელმძღვანელი მაია მიქაბერიძე) რამდენიმე ხალხური სიმღერა შეასრულა. სტუმრები მამა სერაფიმმა დალოცა.

**ნატა ნიბლაძე**

**სურათზე: ლია მეტრეველი შვილთან – სულხანთან და შვილიშვილთან მერი-ნიკოლთან ერთად.**

## ◎ ინფორმაცია

### საქართველოში „რენოს“ ელექტრომობილები შემოვა

**საქართველოს მთავრობა და ფრანგული ავტოკონცერნი „რენო“ თანამშრომლობას იწყებენ. ქვეყანაში ელექტრომობილების შემოყვანა კი 2012 წლიდან დაიწყება. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინფორმაციით, უწყების პირველმა პირმა და „რენოს“ აღმასრულებელმა ვიცე-პრეზიდენტმა ფილიპ კლეინმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას საქართველოში ელექტრომობილების გამოყენების ინფრასტრუქტურის განვითარების სფეროში თანამშრომლობის თაობაზე.**

**ხელმოწერა საფრანგეთში ვერა ქობალიას ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა. დოკუმენტზე ხელმოწერის შემდეგ, ფილიპ კლეინმა თავად დაათვალიერებინა ქართველ მინისტრს „რენოში“ დამზადებული ელექტრომობილი, რის შემდეგაც ვერა ქობალიამ მონაწილეობა მიიღო ახალი მანქანის ტესტ-დრაივში.**

**საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ვერა ქობალიას განცხადებით, დოკუმენტზე ხელმოწერით გადაიდგა პირველი ნაბიჯი, რათა საქართველოს ასევე ჰქონდეს ელექტრომობილების პარკი. მისი თქმით, შეთანხმება ითვალისწინებს „რენოს“ სპეციალისტების მხრიდან საქართველოში კვლევის ჩატარებას, სად და რამდენი სერვისცენტრი უნდა განთავდეს და პირველ ეტაპზე, რამდენი ელექტრომობილის შეძენა იქნება მიზანშეწონილი. ვერა ქობალიას განცხადებით, ელექტრომობილების შემოყვანის პროცესი 2012 წლიდან დაიწყება.**

### აჭარაში აზერბაიჯანელ ტურისტებს იწვევენ

**21 მარტიდან, აზერბაიჯანის დედაქალაქში აჭარის ტურისტული ბანერები განთავსდება, რომელიც აზერბაიჯანელ ტურისტებს აჭარაში ჩამოსვლისა და დასვენებისკენ მოუწოდებს.**

**აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის თავმჯდომარე ბაჩუკი ჩხეიძე ამბობს, რომ ბაქოში, ქალაქის ცენტრში 2 სახის ბანერი, 5 ცენტრალურ ადგილზე განთავსდება. ჩხეიძის თქმით, მაისის ბოლოდან აზერბაიჯანული ტელევიზიებით სარეკლამო რგოლებიც დატრიალდება.**

**სარეკლამო რგოლები უკვე ტრიალებს ირანული ტელევიზიით, რომელიც ირანელ ტურისტებს ბათუმში დასვენების შესახებ მოუთხრობს. აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის თავმჯდომარე ამბობს, რომ ანალოგიური სარეკლამო კამპანია უახლოეს ხანებში უკრაინასა და ყველა სამიზნე ბაზარზე დაიწყება.**

ჯი-ეიჩ-ენი

## ცისფერი ეკრანი: კულტურა, სპორტი

რას ვუყურებთ შაბათს, კვირას, ორშაბათს



### 19 მარტი, შაბათი

I არხი
10.00 მხ. ფილმი „უფლისწული გედი 3"
12.15 მხ. ფილმი „მზრუნველი მამები"
14.00 კალათბურთი. საქ. ჩემპიონატი. არმია – სამედიცინო
17.00 ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი
18.00 ქართ. მხ. ფილმი „ცხელი ზაფხულის სამი დღე"
23.00 სერიალი „ფარი"
00.00 სი ბემოლი
01.00 მხ. ფილმი „გულშემატკივარი"
04.20 მხ. ფილმი „ძმები ვიტმანები"

II არხი
20.00 ბალეტი „ამაო სიფრთხილე"
21.40 ქართ. მხ. ფილმი „ცხელი ზაფხულის სამი დღე"
00.00 მხ. ფილმი „ძმები ვიტმანები"

რუსთავი-2
12.30 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა
13.00 მხ. ფილმი „პარიზის საიდუმლოებები"
15.30 ქართ. მხ. ფილმი „გარიგება"
19.50 სერიალი „ელენეს მოჩვენება"
22.00 ქართ. სერიალი „მეზობლები"
23.00 ქართ. სერიალი „დეტექტივები"
00.00 მხ. ფილმი „გატაცებული მატარებელი"
02.30 მხ. ფილმი „იაკოის კიბე"

მზე
08.00 მხ. ფილმი
12.00 სერიალი „ვერონიკა მარსი"
14.00 სერიალი „ელიზა და რივომბროზა"
15.00 მხ. ფილმი
18.00 მხ. ფილმი
20.00 სერიალი „ტაქსის მძღოლი"
21.00 მხ. ფილმი
23.00 მხ. ფილმი „გაუხსნელი საქმე"
00.00 მხ. ფილმი (სუბტიტრ.ძ

იმედი
09.15 მხ. ფილმი „სასაცილო ამბავი ფერმაში"
11.10 სერიალი „ურჩხულებთან მებრძოლები"
11.45, 22.00 ქართ. სერიალი „შუა ქალაქში"
12.35, 18.45 სერიალი „ლოზას საიდუმლო"
16.00 სერიალი „მონტეს ოჯახი"
17.40 სერიალი „სიყვარულის ზღვა"
21.00 სერიალი „ქალბატონი"
23.00 სტუმრად იუმორინასთან
00.00 სერიალი „მკვლელის პორტრეტი"
01.00 „ფლეიბოი „იმედზე"
01.30 მხ. ფილმი „მაგნუმის ძალა" (სუბტიტრ.ძ
03.55 მხ. ფილმი „სიბრმავე" (სუბტიტრ.ძ
04.50 მხ. ფილმი „ვარსკვლავის დაბადება" (სუბტიტრ.ძ
06.30 სერიალი „ბოშები"

GMG ჰოლივუდი
10.00 მხ. ფილმი „ტკბილი და მშობლიური ალაბამა"
12.00 მხ. ფილმი „მუმია"
14.00 მხ. ფილმი „იქს ადამიანები: გადამწყვეტი ბრძოლა"
16.00 მხ. ფილმი „თარჯიმანი"
18.00 მხ. ფილმი „აი, პოლიც მოვიდა"
20.00 მხ. ფილმი „ოპერაცია „ვალკირია"
22.00 მხ. ფილმი „ბრიჯიტ ჯონსი"
00.00 მხ. ფილმი „მამაკაცები შავებში"

GMG კინოგურმანი
10.00 მხ. ფილმი „ვიღაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა"
12.20 მხ. ფილმი „თარგმნაში დაკარგულები"
14.10 მხ. ფილმი „მალენა"
15.35 მხ. ფილმი „ბანდიტები"
17.15 მხ. ფილმი „ვასაბი"
18.45 მხ. ფილმი „მომაკვდინებელი იარაღი"
20.50 მხ. ფილმი „ 16 კვარტალი"
22.35 მხ. ფილმი „ჯარისკაცი ჯეინი"

აჭარა
09.30, 23.00 სერიალი „ადვოკატი"
12.30, 21.00 სერიალი „იდუმალი სტუმარი"
13.15, 19.30 სერიალი „მაფია"
16.30 სერიალი „ეპოქის ვარსკვლავები"
00.00 მხ. ფილმი

ერთსულოვნება
12.15 მხ. ფილმი „თუში მეცხვარე" (მე-2 სერ.ძ
15:.30 ოპერა
19.35 ქართ. მხ. ფილმი „ვედრება"
00.25 მხ. ფილმი „ვალსი პეჩორაზე"

საქართველო
11.00 სერ. „ელიტური რაზმი"
12.00 მხ. ფილმი „ვარსკვლავური გზა"
14.35 მხ. ფილმი „ფორსაჟი 2"
16.30 მხ. ფილმი „წმინდა გვირგვინი"
18.40 მხ. ფილმი „მძევალი"
20.20 მხ. ფილმი „არნი: რაინდი-ტამპლიერი"
22.40 მხ. ფილმი „რემბო 4"
00.10 მხ. ფილმი „სპარტაკი"

რეგიონი TV – ალანია
12.05 მხ. ფილმი „დიდი დედა 2"
13.45 მხ. ფილმი „პირველი რაინდი"
15.50 მხ. ფილმი „დიდების პირი: ვარსკვლავები ყინულზე"
17.45 მხ. ფილმი „რეი"
20.45 მხ. ფილმი „შეშლილები"
22.25 მხ. ფილმი „ლამაზი ბიჭი 2"
00.30 მხ. ფილმი „გამოსყიდვა"

### 20 მარტი, კვირა

I არხი
10.00 მხ. ფილმი „პიტერ პენი"
12.15 მხ. ფილმი „მამაკაცები შავებში"
14.30 სი ბემოლი
18.00 კონცერტი: მ. სეფაშვილი
22.00 სერიალი „კა-17"
23.00 სერიალი „ფარი"
01.30 მხ. ფილმი „სიღრმე"

II არხი
15.00 სპექტაკლი „რიჩარდ მესამე"
22.00 მხ. ფილმი „რამდენიმე კარგი ბიჭი"
00.05 მხ. ფილმი „გულშემატკივარი"

რუსთავი 2
13.00 მხ. ფილმი „მეტი აღარ შეიძლება"
15.20 სერიალი „სიამაყე"
22.00 ქართ. სერიალი „მეზობლები"
23.00 ქართ. სერიალი „დეტექტივები"
00.00 მხ. ფილმი „კონდროლის ზღვარი"
02.20 მხ. ფილმი „ანჯელის გული"

მზე
08.00 მხ. ფილმი
12.00 სერიალი „ვერონიკა მარსი"
14.00 მხ. ფილმი „ელიზა და რივომბროზა"
15.00 მხ. ფილმი
18.00 მხ. ფილმი
00.00 მხ. ფილმი (სუბტიტრ.ძ

იმედი
12.00, 22.00 ქართ. სერიალი „შუა ქალაქში"
12.35 სერიალი „იასონი და არგონავტები"
15.00 ქართ. მხ. ფილმი „ცისფერი მთები"
19.05 ქართ. სერ. „გოგონა გარეუბნიდან"
00.00 სერ. „მკვლელის პორტრეტი" (მე-8 სერ.ძ
01.00 მხ. ფილმი „ადრენალინი" (სუბტიტრ.ძ
02.55 მხ. ფილმი „პირდაპირი მოქმედება" (სუბტიტრ.ძ
04.30 მხ. ფილმი „ოთხი ოთახი" (სუბტ.ძ
06.30 სერიალი „ბოშები"

GMG ჰოლივუდი
10.00 მხ. ფილმი „მუმია"
12.00 მხ. ფილმი „იქს ადამიანები: გადამწყვეტი ბრძოლა"
14.00 მხ. ფილმი „თარჯიმანი"
16.00 მხ. ფილმი „აი, პოლიც მოვიდა!"
18.00 მხ. ფილმი „ბრიჯიტ ჯონსი"
20.00 მხ. ფილმი „ჯაშუშური თამაშები"
22.00 მხ. ფილმი „ოპერაცია „ვალკირია"
00.00 მხ. ფილმი „იძებნება"

GMG კინოგურმანი
10.00 მხ. ფილმი „თარგმნაში დაკარგულები"
11.50 მხ. ფილმი „მალენა"
13.25 მხ. ფილმი „ბანდიტები"
15.05 მხ. ფილმი „ვასაბი"
16.45 მხ. ფილმი „წმინდანი"
18.45 მხ. ფილმი „გადამზიდი 2"
20.20 მხ. ფილმი „მომაკვდინებელი იარაღი"
22.25 მხ. ფილმი „16 კვარტალი"

აჭარა
09.30, 23.00 სერ. „ადვოკატი"
12.00, 21.00 სერ. „იდუმალი სტუმარი"
13.00 დოკ. ფილმი „ფეხბურთის ისტორია"
16.30 სერიალი „ოქროს კერპი"
19.30 სერიალი „მაფია"
00.00 მხ. ფილმი

ერთსულოვნება
12.15 მხ. ფილმი „ვედრება"
19.30 მხ. ფილმი „ფიროსმანი"
00.40 ოპერა

საქართველო
11.00 სერიალი „ელიტური რაზმი"
12.20 მხ. ფილმი „კაცი რკინის ნიღბით"
14.30 მხ. ფილმი „გოლი 2"
16.30 მხ. ფილმი „იულიუს კეისარი"
19.40 მხ. ფილმი „არნი: სამეფო გზის ბოლოს"
21.50 მხ. ფილმი „მუმია"
00.05 მხ. ფილმი „ერთი მუჭა დინამიტისთვის"

რეგიონი TV – ალანია
11.20 მხ. ფილმი „პირადი მცველი"
13.20 მხ. ფილმი „რკინის კაცი"
15.25 მხ. ფილმი „პრესტიჟი"
17.45 მხ. ფილმი „პიანისტები"
21.10 მხ. ფილმი „სასიკვდილო ნომერი"
22.45 მხ. ფილმი „ამერიკელი"
00.40 მხ. ფილმი „აკრძალული სიყვარული"

### 21 მარტი, ორშაბათი

I არხი
15.00, 21.00 სერიალი „ტკბილი, მწარე ცხოვრება"
00.30 მხ. ფილმი „სიკვდილის ზღვარზე"
05.00 მხ. ფილმი „მხსნელი"

II არხი
09.00 მხ. ფილმი „პიტერ პენი"
22.00 მხ. ფილმი „მამაკაცები შავებში"
01.00 მხ. ფილმი „სიღრმე"

რუსთავი-2
10.00 სერიალი „ცოდვილი" (1-ლი სერ.ძ
11.00 სერიალი „მიმწყვდეული"
12.30 სერიალი „შენ ჩემი სიცოცხლე ხარ"
16.00 სერიალი „სიყვარულის საიდუმლო"
16.50 სერიალი „მორენას ვნება"
18.45 სერიალი „დანიელა"
19.50 სერიალი „ელენეს მოჩვენება"
22.00 ნიჭიერი
00.00 საფეხბურთო ღამე
01.00 მხ. ფილმი „რემბო 3"

მზე
09.00 სერიალი „ჩენტო ვეტრინე"
11.00, 20.00 სერიალი „დაუნდობელი სამყარო"
12.00, 21.00 „გაუხსნელი საქმე"
15.20 სერიალი „ორნახევარი კაცი"
17.00 მხ. ფილმი
19.00 სერიალი „ვნებათა მიწა"
22.00 მხ. ფილმი
00.00 მხ. ფილმი

იმედი
10.00 სერიალი „სილამაზის მსხვერპლი"
11.30, 17.40 სერიალი „სიყვარულის ზღვა"
12.35,18.40 სერიალი „ლოზას საიდუმლო"
16.00 სერიალი „მონტეს ოჯახი"
21.00 სერიალი „ქალბატონი"
22.00 სტუმრად იუმორინასთან
00.00 მხ. ფილმი „ლამაზი მერის ამბავი"
02.20 მხ. ფილმი „მტრის საწოლში" (სუბტიტრ.ძ
03.35 მხ. ფილმი „მისტერ და მისის სმიტები" (სუბტიტრ.ძ
06.30 სერიალი „ბოშები"

GMG ჰოლივუდი
10.00 მხ. ფილმი „იძებნება"
11.55 მხ. ფილმი „თარჯიმანი"
14.05 მხ. ფილმი „აი, პოლიც მოვიდა!"
15.35 მხ. ფილმი „ბრიჯიტ ჯონსი 2"
17.25 მხ. ფილმი „მამაკაცები შავებში 2"
19.00 მხ. ფილმი „მატყუარა"
20.30. მხ. ფილმი „ჯაშუშური თამაშები"
22.45 მხ. ფილმი „ოპერაცია „ვაკლირია"

GMG კინოგურმანი
10.00 მხ. ფილმი „16 კვარტალი"
11.45 მხ. ფილმი „ბანდიტები"პირას"
13.25 მხ. ფილმი „ვასაბი"
15.00 მხ. ფილმი „ტაქსი"
16.40 მხ. ფილმი „ჯარისკაცი ჯეინი"
18.45 მხ ფილმი „ზომბი სახელად შონი"
20.25 მხ.ფილმი „გადამზიდი 2"
21.50 მხ. ფილმი „მომაკვდინებელი იარაღი"

აჭარა
09.30, 23.00 სერიალი „ადვოკატი"
11.50, 21.00 სერიალი „იდუმალი სტუმარი"
12.50, 19.30 სერიალი „მამები"
16.30 სერიალი „მხოლოდ შენ"

ერთსულოვნება
12.10. მხ. ფილმი „ფიროსმანი"
13.30 კონცერტი: ანსამბლი „დიდგორი"
15.30 სპექტაკლი „ხიდი"
18.05 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას
19.15 მხ. ფილმი „ჩემი ბებია"
21.20 მხ. ფილმი „პიესა ოთხი ხელისთვის"

საქართველო
11.15 სერიალი „შესანიშნავი შვიდეული 2"
13.05 მხ. ფილმი „საჰარის საიდუმლო"
14.00 მხ. ფილმი „აპალუსა"
16.05 სერიალი „როგორც კენდეტა"
18.25 მხ. ფილმი „სოლომონ კეინი"
20.10 მხ. ფილმი „პანჩო ვილია"
22.15 მხ. ფილმი „რკინის კაცი"
00.30 მხ. ფილმი „დაუმარცხებელი"

რეგიონი TV – ალანია
09.45, 19.45 სერიალი „უშნო ბეტი"
11.45 მხ. ფილმი „ჰარი პოტერი და ფილოსოფიური ქვა"
15.00, 01.35 მხ. ფილმი „მილიონერი ჯურღმულებიდან"
16.55 მხ. ფილმი „ვინ იცის"
22.05 მხ. ფილმი „დედაჩემის ახალი თაყვანისმცემელი"
22.35 მხ. ფილმი „გოიას მოჩვენებანი"

### 19 მარტი, 2011წ.

თბილისის არტ ჰოლი
19:00 - „სუხიშვილების" ნაციონალური ბალეტი წარმოგიდგენთ პროგრამას „ნოსტალგია". ნახეთ დიდი ილიკოსა და ნინოს მიერ დადგმული ლეგენდარული ცეკვები აღდგენილი სახით - (ბილეთის ფასი - 10, 15, 20 ლარიძ ც. დადიანის გამზ. 26, ტელ: 15-32-32, 15-55-30

კინოთეატრი „ამირანი„ (დიდი დარბაზიძ
12:00 - „რაპუნცელი" 3D - (8 ლარიძ
14:00 - „რაპუნცელი" 3D - (10 ლარიძ
16:00 - „რაპუნცელი" 3D - (10 ლარიძ
18:00 - „რაპუნცელი" 3D - (12 ლარიძ
20:00 - „ერთხელ შუა ქალაქში" - (10 ლარიძ
22:15 - „ერთხელ შუა ქალაქში" - (10 ლარიძ
კოსტავას ქ. 36 ტელ: 99-99-55

კინოთეატრი „ამირანი" (მცირე დარბაზიძ
12:15 - „ერთხელ შუა ქალაქში" - (6 ლარიძ
14:15 - „ერთხელ შუა ქალაქში" - (7 ლარიძ
16:15 - „ერთხელ შუა ქალაქში" - (8 ლარიძ
18:15 - „ერთხელ შუა ქალაქში" - (8 ლარიძ
20:15 - „მამაჩემის გერლფრენდი" - (10 ლარიძ
22:00 - „მამაჩემის გერლფრენდი" - (10 ლარიძ
კოსტავას ქ. 36 ტელ: 99-99-55

რუსთაველის თეატრი (მცირე სცენაძ
19:45 - „რა საოცარი დღეა..." (ჩრდილე-



ბის თეატრიძ - (ბილეთის ფასი - 7-8 ლარიძ რუსთაველის გამზ. 17 ტელ: 72-68-68

მარჯანიშვილის თეატრი (თეატრი სხვენშიძ
20:00 - „ტყუილ-მართალი" - (ბილეთის ფასი - 11 ლარიძ მარჯანიშვილის ქ. 8 ტელ: 955-966

თავისუფალი თეატრი
19:00 - „თაფლობის თვე" - (ბილეთის ფასი - 5, 7, 9 ლარიძ რუსთაველის 2 ტელ: 98-58-21

ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკისა და დრამის სახელმწიფო თეატრი
19:00 - „მაკბეთი" - (ბილეთის ფასი - 10 ლარიძ ალმაშენებლის გამზ. 182 ტელ: 34-80-90

გრიბოედოვის თეატრი
18:00 - „ჩვენი ოჯახის მცველები" - (ბილეთის ფასი - 5 ლარიძ რუსთაველის გამზ. 2 ტელ: 93-11-06

გაბრიაძის თეატრი
19:00 - „ჩემი გაზაფხულის შემოდგომა" (12 - (ბილეთის ფასი - 5, 8, 10, 15 ლარიძ შავთელის ქ. 13, ტელ: 98-65-90, 868 78-18-97

ახმეტელის თეატრი
19:00 - „ტაქსისტი გივის სასიყვარულო ისტორია" - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარიძ
ვეკუას ქ. 8 ტელ: 62-59-73, 62-61-97

თბილისის ნოდარ დუმბაძის სახელობის სახელმწიფო ცენტრალური საბავშვო თეატრი
12:00 - „ჭირვეული პრინცესა"
15:00 - „ვარსკვლაბიჭუნა" - (ბილეთის ფასი - 5 ლარიძ დ. აღმაშენებლის გამზ. 99/1 ტელ: 95-78-74, 95-39-27





მანანა არტ სალონი
10:00-18:00 - თანამედროვე ქართული სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნამუშევართა გამოფენა
ბარათაშვილის ქ. 12, ტელ: 93-25-90

გალერეა „კამეა"
12:00-22:00 - ქართველი მხატვრების ჯგუფური გამოფენა - (გრაფიკა, ფერწერა, ხის ნაკეთობები, ფაიფური, მინანქარი...ძ
რკინის რიგის ქ. 11, ტელ: 72-48-72; მობ: 893 31-92-66

რას ვუყურებთ შაბათს, კვირას, ორშაბათს

ჩემპიონთა ლიგა

# წილი ნაყარია




**გუშინ შვეიცარიის ქალაქ ნიონში, უეფას შტაბბინაში ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალისტთა კენჭისყრა მოეწყო, რომელმაც მეტოქენი ასე დააწყვილა**

**(5-6 და 12-13 აპრილი):**

1. „რეალი“ – „ტოტენჰემი“.
2. „ჩელსი“ – „მანჩესტერი“.
3. „ბარსელონა“ – „შახტარი“.
4. „ინტერი“ – „შალკე“.

26-27 აპრილსა და 3-4 მაისს ნახევარფინალში ერთმანეთთან 1-3 და 4-2 წყვილებში გამარჯვებულნი ითამაშებენ.

შეგახსენებთ, რომ ფინალური მატჩი 28 მაისს ლონდონის „უემბლიზე“ გაიმართება.

უეფას თასი

# პორტუგალია – სრული სვლით

**ევროპის ლიგის მეოთხედფინალში, ჩემპიონთა ლიგის ამავე ეტაპის მსგავსად, ხუთი ქვეყნის რვა კლუბი ითამაშებს. მათი კვოტა ასეა წარმოდგენილი: პორტუგალია – 3 („პორტუ“, „ბენფიკა“, „ბრაგა“)ძ, ჰოლანდია – 2 („ეინდჰოვენი“, „ტვენტე“)ძ, ესპანეთი – 1 („ვილიარეალი“)ძ, უკრაინა – 1 (კიევის „დინამო“)ძ და რუსეთი – 1 („სპარტაკი“)ძ.**

რადგან ჩვენი თანამემამულე მხოლოდ მოსკოველთა სპორტულ ღირსებას იცავს, ჩვენც მის საპასუხო მატჩზე გავამახვილებთ ყურადღებას მიუხედავად იმისა, რომ ჯანო ანანიძეს „თეთრ-წითელთა“ თავკაცმა ვალერი კარპინმა ამჯერად ერთი წუთითაც არ მისცა თავის გამოჩენის საშუალება. თუმცა, მასპინძელთა უპირატესობა მის გარეშეც აშკარა გახლდათ – 3:0 (კომბაროვი, ველიტონი, ალექსიძ. შეგახსენებთ, რომ „აიაქსს“ პირველი შეხვედრაც წაგებული ჰქონდა – 0:1.



**საპასუხო მერვედფინალური რაუნდის დანარჩენი ბრძოლები ასე დასრულდა:**

**„პორტუ“** – ცსკა 2:1 (1:0ძ,
„პარი სენ- ჟერმენი“ – **„ბენფიკა“** 1:1 (1:2ძ,
„ლივერპული“ – **„ბრაგა“** 0:0 (0:1ძ,
„რეინჯერსი“ – **„ეინდჰოვენი“** 0:1 (0:0ძ,
**„ვილიარეალი“** – „ლევერკუზენი“ 2:1 (3:2ძ,
„ზენიტი“ – **„ტვენტე“** 2:0 (0:3ძ,
„სიტი“ – **კიევის „დინამო“** 1:0 (0:2ძ.

**გიორგი შოთაძე**

ადამიანი დროში

# მრავალნაცადი არბიტრი

**გამოჩენილი ქართველი სპორტული მოღვაწის ჯუმბერ დავლიანიძის დამსახურებასა და რეგალიებზე ძალიან ბევრის თქმა შეიძლება. ზოგიერთ წარმატებაზე ქვემოთ მოგახსენებთ კიდეც.**



ბატონი ჯუმბერის ყველაზე დიდი ღირსება ის გახლავთ, რომ ნამდვილი ჩემპიონია არა მარტო სპორტში, არამედ ცხოვრებაშიც, უპირველესად ადამიანებთან საოცრად კარგი ურთიერთობებით. ის მოქმედი მოჭიდავე იყო, როცა მეათეკლასელმა პარალელურად მსაჯობასაც მოჰკიდა ხელი, გაცილებით უფროსი ასაკის ფალავანთა ორთაბრძოლებს უძღვებოდა და ორივე ფრონტზე ჰქონდა წარმატებები. მეცნიერებაშიც სცადა ძალები და აქაც თავისი სიტყვა თქვა.

საქართველოში სპორტის ყველაზე წარმატებულ სახეობაში – თავისუფალ ჭიდაობაში ჯუმბერი არის ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მეშვიდე მსოფლიო ფესტივალის (1957ძ გამარჯვებული, სსრკ ჩემპიონი ახალგაზრდებს (1958ძ შორის, სტუდენტთა საკავშირო უნივერსიადის ოთხგზის და „ბურევესტნიკის“ შვიდგზის, ამიერკავკასიის, მოლდავეთისა და საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი, სსრკ პროფკავშირთა სპარტაკიადის სამგზის გამარჯვებული...

საქართველოში ერთ-ერთ პირველს მიენიჭა „სპორტის საპატიო ოსტატის“ (1963ძ წოდება. არის სპორტის დამსახურებული მოღვაწე, იყო სსრკ ნაკრების წევრი თავისუფალ ჭიდაობაში.

ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციამ (FILAძ ქართველი ფალავანი და მსაჯი ჯუმბერ დავლიანიძე დააჯილდოვა დიდი ოქროს მედლით.

სპორტული მოღვაწეობის პარალელურად ჯუმბერ დავლიანიძე არის ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, გამოქვეყნებული აქვს არაერთი სამეცნიერო შრომა.

ყველაზე მეტად ჯუმბერის დამსახურება მაინც ბერძნულ-რომაულ და თავისუფალ ჭიდაობაში დაფასდა. მას მსოფლიოში ერთ-ერთ პირველს მიენიჭა საერთაშორისო ექსტრაკლასის არბიტრის წოდება (1979ძ.

ჯუმბერ დავლიანიძეს უმსაჯია ოლიმპიურ თამაშებზე, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებზე, ქალთა მსოფლიო პირველობებზე, საერთაშორისო ტურნირებზე, ახალგაზრდულ ასპარეზობებზე. ამჟამად ბატონი ჯუმბერი საქართველოს პირველობების და ჩემპიონატების შეუცვლელი მსაჯია.

დაბოლოს, დიდებულ პიროვნებას, სპორტსმენსა და არბიტრს ჯუმბერ დავლიანიძეს ამ დღეებში 75 წელი შეუსრულდა.

ვულოცავთ!

**გაბრიელ ბარჯაძე**

ჩემპიონები ლექციაზე

# პირველად და არა უკანასკნელად...

**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სპორტის ფაკულტეტი შარშან ჩამოყალიბდა. ამ მცირე დროის განმავლობაში აქ უამრავი საინტერესო ღონისძიება გაიმართა. რაც მთავარია, ფაკულტეტის ხელმძღვანელობა, უმაღლესი სკოლის დებულებებიდან და თანამედროვე სტანდარტებიდან გამომდინარე, პროფესორ-მასწავლებლებისგან თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობების ახლებურად ჩატარებას მოითხოვს.** ამ თვალსაზრისით გუშინდელი დღე ფაკულტეტზე ერთ-ერთი გამორჩეული დღე იყო: მედალოსანი, ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი, სოციალისტური ქვეყნების თამაშების შვიდგზის და საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, ძმები ზნამენსკების საერთაშორისო ტურნირების ხუთგზის გამარჯვებული, სპორტის დამსახურებული ოსტატი რობერტ შავლაყაძე დაესწრნენ ფაკულტეტის თანამშრომლებთან ერთად.



„სპორტისა და ოლიმპიზმის ისტორიის“ ლექციას, რომელსაც ვაჟა დანელია კითხულობს, დეკანატისა და საგნის მასწავლებლის ინიციატივით ლეგენდარული სპორტსმენები – სპორტულ ტანვარჯიშში 1952 წლის ჰელსინკის ოლიმპიური თამაშების გამარჯვებული და ვერცხლის პრიზიორი, საბჭოთა კავშირის რვაგზის ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი მზია ჯუღელი და სიმაღლეზე ხტომაში 1960 წლის რომის ოლიმპიადის ოქროს

ლექციის ბოლოს საპატიო სტუმრებს მიესალმნენ კალათბურთისა და ჭიდაობის სპეციალიზაციის ლექტორები – ილია მირიანაშვილი და ვიტალი ზამთარაძე, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი მამია ტუღუში, ფაკულტეტის დეკანი დარეჯან ქობელაშვილი. ოლიმპიურმა ჩემპიონებმა მოუთხრეს სპორტული ბიოგრაფიიდან საინტერესო ეპიზოდები და სტუდენტთა შეკითხვებს უპასუხეს.

**ლექსო ცინცაძე**

**სურათზე: ოლიმპიური ჩემპიონები მზია ჯუღელი და რობერტ შავლაყაძე სპორტის ფაკულტეტის მესვეურებთან და სტუდენტებთან.**

ავტორის ფოტო.

ინტერნეტიდან



## ნაკრებში დააბრუნეს

**ამას წინათ ვწერდით, რომ ფეხბურთში საფრანგეთის ნაკრების ახალმა მწვრთნელმა ლორან ბლანმა გუნდში არ მიიწვია ნაკრების ყოფილი კაპიტანი პატრის ევრა. მაშინ ფრანგებს ამხანაგური შეხვედრა ჰქონდათ ბრაზილიის ნაკრებთან. აი, ახლა კი ცნობილი გახდა, რომ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩზე ლუქსემბურგთან (25 მარტიძ და ამხანაგურ მატჩზე ხორვატეთთან (29 მარტიძ ნაკრებში მიიწვიეს ევრაც „მანჩესტერ იუნაიტედიდან“ და ფრანკ რიბერიც „ბავარიიდან“.** ეს ნაკრებში მათი პირველი მიწვევაა 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ, როდესაც საფრანგეთის ნაკრების ფეხბურთელებმა ბოიკოტი გამოუცხადეს ნაკრების მაშინდელ მთავარ მწვრთნელს რაიმონ დომენეკს გუნდის წარუმატებლობისთვის მსოფლიო ჩემპიონატზე და გუნდიდან მწვრთნელთან კონფლიქტის გამო ნიკოლა ანელკას დათხოვნისთვის.

როგორც გამოირკვა, ნაკრებში ევრასა და რიბერის არგამოძახება მთავარ მწვრთნელს საფრანგეთის სპორტის მინისტრმა შანტალ ჟუანომ ურჩია. თუმცა შემდეგ ბლანმა განაცხადა, რომ ნაკრებზე ყველას თავისი შეხედულება აქვს, მაგრამ თუ მას არ მისცემენ დამოუკიდებლად გადაწყვეტილებების მიღების საშუალებას, მაშინ ის თავის სამუშაოს ველარ შეასრულებს.

## სხვა მორაგბე გამონახა

**საზოგადოება გააოცა ბრიტანელმა მოდელმა და მსახიობმა კელი ბრუკმა, როცა გამოაცხადა, რომ ფეხმძიმედაა თავის ბოიფრენდ ტომ ევანსისაგან და გოგონას ელოდებიან. ამაში უცნაური არაფერი უნდა იყოს, გარდა იმისა, რომ რაგბიში შოტლანდიის ნაკრების ყოფილი მოთამაშე, 25 წლის ტომი, კელიზე 6 წლით რომაა უმცროსი, კარგა ხანს თამაშობდა ლამაზმანის ყოფილ ბოიფრენდთან, საკმაოდ ცნობილ დენი ჩიპრიანისთან ერთად, თუმცა წარმოშობით ზიმბაბველი ტომი იძულებული გახდა ხერხემლის უმძიმესი ტრავმის გამო რაგბი მიეტოვებინა.** მძიმე ტრავმა მან 2010 წლის თებერვალში მიიღო მეტოქესთან შეჯახებისას. მართალია, მან ოპერაციათა სერია გადაიტანა, მაგრამ საყვარელი თამაში მაინც მიატოვა. ახლა ის მსახიობობას აპირებს და კელისთან ერთად იანვარში ამერიკაშიც კი იყო, მსახიობის ოსტატობის გაკვეთილებზე.



## სათამაშო ბიზნესი

# სლოტ-კლუბების აღსასრულის ჟამი



**მას შემდეგ, რაც გეგმური სოციალისტური ეკონომიკის ნაცვლად დამოუკიდებელ საქართველოში საბაზრო ეკონომიკისა და მისი პრინციპების ზეობა გამოაცხადეს, ქვეყნის შიდა ბაზარზე, წესით და რიგით, კონკურენტუნარიანი გარემო უნდა გამეფებულიყო. გამოცხადებული თავისუფალი სამეწარმეო გარემო, მეტნაკლები ხარისხით, ზოგიერთ სფეროში მისი დეკლარირების დღიდანვე არსებობს, თუმცა საბაზრო ეკონომიკის ჩვენში დამკვიდრების დაახლოებით 20 წლის მანძილზე ბიზნესის ამა თუ იმ სფეროს, ანდა ცალკეულ საწარმოსა თუ ფირმას, მუდამ თავისი ლობისტი ჰყავდა, რომელიც მომგებიანი გადაწყვეტილებების მიღებაში აქტიურ როლს ასრულებდა. ეს ამბავი მსოფლიო პრაქტიკაში ახალი სულაც არ არის, მაგრამ მთელი დარგების მონოპოლიზება (რასაც, ასევე, ქვეყანაში ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის სრული უგულებელყოფა უწყობს ხელს), საქართველოში სულ უფრო მეტი სიმძაფრით შეინიშნება. მაგალითებისთვის შორს წასვლა არც არის საჭირო, გავიხსენოთ თუნდაც ის ამბები, რასაც დედაქალაქის მერია სამარშრუტო ტაქსების ბიზნესის მიმართ სჩადის და ათასობით კაცის ნაშრომ-ნაგრამს ხელის ერთი დაკვრით ანგრევს, ოჯახებს ულუკმაპუროდ ტოვებს. სხვა სფეროებშიც იგივე ვითარებაა, ახლა კი, როგორც ჩანს, ჯერი ისეთ „კარგად მეწველ ძროხაზე“ მიდგა, როგორიცაა სათამაშო ბიზნესი.**

უნდა ითქვას, რომ ეს პროცესი ახალი არ არის, იგი უკვე კარგა ხნის დაწყებულია და შედეგიც შესაბამისია. მხედველობაში გვაქვს „საქართველოს ლატარიის კომპანია“, რომელიც, კანონის თანახმად, **სათამაშო ბიზნესში სხვადასხვა სახეობის წამოწყებათა ერთადერთი ოფიციალური ლიცენზიანტია და, ამდენად, უახლოესი ათი წლის მანძილზე ამ სფეროში მოღვაწეობის დაწყების ყველა მსურველმა ნებართვის მისაღებად და მუშაობის პირობების გასარკვევად, უშუალოდ მას უნდა მიმართოს.**

ამჟამად კი საქართველოს მთავარი საფინანსო უწყების წიაღში კანონში ცვლილებები მზადდება, რომელთა ძალაში შესვლის შემდეგ **სათამაშო აპარატების სალონების მუშაობა აიკრძალება, რომელთა დაყენების უფლება, სათანადო ლიცენზიის მიღების შემდეგ, რომელიც არც მეტი, არც ნაკლები, 5 მილიონი ლარი ეღირება, მხოლოდ სამორინეებს ექნებათ.** რომ იტყვიან, შეუიარაღებელი თვალითაც ნათლად ჩანს, რომ კანონში ამ ცვლილებას მხოლოდ ერთი მიზანი აქვს – ბაზარზე მხოლოდ მსხვილი კომპანიების დატოვება, რომელთა „პატრონობა“ გაცილებით უფრო ადვილია და, რაც მთავარია, გაცილებით სარფიანია, თანაც „აჭყა-ბაჭყა“ კონკურენტების მოცილების უადვილესი გზაა.

აღნიშნულ ცვლილებათა ძალაში შესვლის შემდეგ თბილისშიც და ქვეყნის მხარეებშიც ასობით წვრილი სათამაშო დარბაზი დაიხურება, რის შედეგად კიდევ არაერთი ასეული კაცი (დაახლოებით ოთხი ათასიძ უმუშევარი და უსახსრო დარჩება. ერთი კია: ამ ნაბიჯის გამართლება მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, თუკი მას სათანადო სოციალური ეფექტი მოჰყვება, რომლის არსი ისაა, რომ ამის შედეგად სათამაშო აპარატები არასრულწლოვანთათვის ნაკლებად ხელმისაწვდომი გახდება. მაგრამ, მეორე მხრივ, ამას, შესაძლოა, ისევ ამავე მოზარდებს ქუჩისკენ უბიძგოს, რაც გაცილებით უფრო საშიშია. თუმცა ისიც არის, რომ ბოლო დროს საქართველოში **სათამაშო სალონებისა** (ანუ, სლოტ-კლუბებისძ და, შესაბამისად, **სათამაშო აპარატების** რიცხვი საგრძნობლად შემცირდა – სადღეისოდ მათი რიცხვი, შესაბამისად, 300-სა და ხუთი ათასს შეადგენს. ამ საქმიანობით რამდენიმე წლის წინათ 12 ათასი კაცი იყო დაკავებული, ხოლო წლევანდელი მონაცემებით მათი რიცხვი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ოთხ ათასამდე შემცირდა. ასევე გასათვალისწინებელია, რომ კანონში ცვლილებათა ამოქმედების შემდეგ, აუარება სათამაშო აპარატზე მოთხოვნილება აღარ იქნება, რითაც როგორც მათი მოიჯარეები, ისევე მეიჯარეები იზარალებენ, ხოლო თავად მოწყობილობები ფაქტობრივად, ჯართად გადაიქცევა.

როგორც ყოველთვის, პრობლემისადმი მიდგომის მეორე პოზიციაც არსებობს, რომელსაც, ცხადია, ამ ბიზნესის მსხვილი წარმომადგენლები მიეკუთვნებიან. მათი აზრით, პატარ-პატარა სლოტ-კლუბების დახურვას მსხვილ სამორინეებში კლიენტურის რიცხოვნობის გაზრდა მოჰყვება, აპარატები უფრო კომპაქტურად იქნება თავმოყრილი, შესაბამისად, მათზე კონტროლიც უფრო გაადვილდებაო.

**ისე, ამ თეზისთან დაკავშირებით საინტერესო იქნებოდა იმის გაგებაც, თუ როდის, რომელ ქვეყანაში ან რომელ ეპოქაში იყო, რომ სათამაშო დაწესებულებათა მეპატრონეები თავიანთ შემოსავალზე უფრო მკაცრი მეთვალყურეობის დაწესებას მიესალმებოდნენ?!**

აცხადებენ იმასაც, რომ სათამაშო ბიზნესის გამსხვილება საკმაოდ მნიშვნელოვანი სტიმული იქნება ახალი დიდი სამორინეების გასახსნელად, რასაც ნამდვილად ვეთანხმებით, თუკი ქვეყნის ტურისტულ მექად და ერთიან საკურორტო ზონად გადაქცევის შემდეგ, მას კავკასიის „მონტე-კარლოს აჩრდილად“ გადავაქცევთ. სადღეისოდ, სათამაშო აპარატების წილი სამორინეებში მხოლოდ 30 პროცენტს შეადგენს, ხოლო სლოტ-კლუბების გაუქმების შედეგად ეს მაჩვენებელი 50 პროცენტამდე გაიზრდება, რაც, ცხადია, კაზინოების გამსხვილებას გამოიწვევს. სლოტ-კლუბების მეპატრონეთათვის მათი ბიზნესის გაუქმების „მწარე აბის“ დასატკბობად კი ამბობენ, რომ ამ უკანასკნელებს საშუალება მიეცემათ, შეთანხმების საფუძველზე, გარკვეული პირობებით, თავიანთი აპარატები სამორინეებში განათავსონ და, შესაბამისად, გარკვეული შემოსავალიც მიიღონ, რაც, ფაქტობრივად, კაზინოების მიერ ფართის გაქირავებას ნიშნავს. ამ ოპერაციით კი სხვაზე მეტად მოგებული, ცხადია, ისევ და ისევ ბაზრის მონოპოლისტები, მსხვილი სამორინეების მეპატრონეები იქნებიან.

**ოთარ ტურაბელიძე**

## გახსენება

# ვახტანგ ნიკოლოზის ძე ჟვანია



ჩვენო ძვირფასო და საამაყო მამა!

23 მარტს ათი წელი შესრულდება მას შემდეგ, რაც დაგვტოვე და მარადისობაში დაიდე სამუდამო ბინა. ჩვენს ოჯახში უსაზღვრო მწუხარებამ, ხოლო სახლ-კარსა და ეზოში ერთგვარმა სიცარიელემ დაისადგურა. მშობლიურ ქვედა ჩხოროწყუს საშუალო სკოლაში კვლავაც ენატრებათ შენეული რიხი და ულამაზესად ჩატარებული გაკვეთილები.

დიდ სამამულო ომში ვაჟკაცურად ებრძოდი ფაშისტურ გერმანიას. ნაომარი კაცი მშობლიურ სოფელს დაუბრუნდი და დაუღალავად ემსახურე 55 წლის განმავლობაში. იყავი საქართველოს ისტორიის მასწავლებელი, ხოლო სიცოცხლის ბოლო წლებში ქვედა ჩხოროწყუს საშუალო სკოლის დირექტორი. 1977 წელს სახალხო განათლების დარგში თავდადებული და ნაყოფიერი შრომისთვის „სახალხო განათლების წარჩინებულის“ სამკერდე ნიშნით დაგაჯილდოვდეს, 1984 წელს კი „მასწავლებელ-მეთოდისტის“ მეტად საპატიო წოდება მოგენიჭა.

დაჯილდოებული იყავი „დიდი სამამულო ომის მეორე ხარისხის ორდენით“, „ღირსების მედლით“ და სხვა მრავალი სამთავრობო ჯილდოთი.

შენს გარდაცვალებას ერთგვარად გვიმსუბუქებს დედის, ოლია გეგელიას სითბო და ალერსი. მან ოთხმოცდაათ წელს მიაღწია, მაგრამ დაუღალავი ენერგიით აღსავსე უძღვება ნალოლიავებ ოჯახს.

უფალმა ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ვაჟკაცური და გაუტეხელი სული.

ამინ!

შენი შვილები,
არნოლდი, კარლო და ელისო ჟვანიები ოჯახებით.

---

დემურ გადელია ოჯახით მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ქართული მათემატიკური სკოლის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი, შესანიშნავი პიროვნება და მამულიშვილი, საუცხოო მოქალაქე და მეგობარი, პროფესორი

სერგო თოფურია

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის სამეცნიერო ცენტრი და ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოება ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა თვალსაჩინო ქართველი ისტორიკოსი, პროფესორი, ე. თაყაიშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი

ვალერი სილაგავა

და თანაგრძნობას უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

---

სააქციო საზოგადოება „ელმავალმშენებლის“ თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან რომ გარდაიცვალა ქარხნის ყოფილი დირექტორი, დამსახურებული ინჟინერი

ირაკლი ზერეკიძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

თ. ფაღავას სახელობის პედიატრიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ ინსტიტუტის დირექტორს ვახტანგ ზერეკიძეს გარდაეცვალა მამა

ირაკლი ზერეკიძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

## ინფორმაცია

### „საქპატენტი“ მცხეთაში გადადის

HBUB სახელმწიფო უწყებების რეგიონებში გადასვლის შემდეგ, ადგილმდებარეობას „საქპატენტიც“ შეიცვლის და სამუშაოდ მცხეთაში გადავა. მცხეთის გამგებელის თემურ აბაშიძის თქმით, „საქპატენტის„ ადმინისტრაციული შენობა ქალაქის ისტორიულ უბანში განთავსდება.

„საქპატენტმა“ გამოთქვა სურვილი (და ეს აზრი ძალიან მოგვეწონა), რომ მცხეთის ისტორიულ ნაწილში განათავსოს თავისი ცენტრალური ოფისი, – აცხადებს აბაშიძე.

ისტორიულ სატახტო ქალაქში გადასვლის ფაქტს ადასტურებენ „საქპატენტშიც“. უწყებაში ამბობენ, რომ „საქპატენტის“ მცხეთაში გადასვლა ამ დროისათვის იდეის დონზე განიხილება. „საქპატენტში“ აცხადებენ იმასაც, რომ თუკი უწყება მცხეთაში გადავა, ის აუცილებლად ახალ შენობაში განთავსდება, რომლის მშენებლობის ბიუჯეტიც ამ დროისათვის უცნობია.

ჯი-ეიჩ-ენი

## დექსუსი

# მოქალაქეები „დექსუსით“ ინტერესდებიან

**მენეჯმენტ-კომპანია „დექსუსი“ მომხმარებლების მემორანდუმების გაფორმების შედეგებს დადებითად აფასებს. 2011 წლის პირველ ორ თვეში კომპანიამ მემორანდუმი მომხმარებლების თითქმის 50%-ს გაუფორმა. ეს მომხმარებლები იმ ობიექტების დებიტორებს წარმოადგენენ, რომლებზეც „დექსუსი“ ამჟამად მუშაობს.**

**„დექსუსის“ დამფუძნებლის გიორგი ქანანაშვილის განცხადებით, სტატისტიკა მზარდია და იმ ადამიანების რიცხვი, რომელიც „დექსუსის“ ახალ პირობებს თანხმდება, კვირიდან კვირამდე იზრდება.**

– მომხმარებლებთან ინტენსიურ ინდივიდუალურ შეხვედრებს ვაწარმოებთ და ვუხსნით, რომ სამშენებლო პროცესის დაწყება მემორანდუმისა და ახალი კონტრაქტის გაფორმებაზეა დამოკიდებული. 50% ასეთ მოკლე დროში საკმაოდ კარგი მაჩვენებელია. რაც უფრო მეტი მომხმარებელი მოაწერს მემორანდუმს ხელს, ობიექტების მშენებლობის პროცესი მით უფრო სწრაფად და ეფექტურად წარიმართება, – აცხადებს გიორგი ქანანაშვილი.

მემორანდუმები იმ პირებთან ფორმდება, რომლებსაც „ცენტრ პოინტის“ მიმართ დებიტორული დავალიანება აქვთ. მას შემდეგ, რაც კონკრეტულ ობიექტზე მაჩვენებელი 80%-ს აღწევს, ახალი კონტრაქტების გაფორმება და სამშენებლო სამუშაოები იწყება.ამ დროისთვის მშენებლობის პროცესს „დექსუსი“ ბათუმის „თეთრ მაგნოლიაში“, ხოშარაულის „აფხაზეთში“, როზაქიძის ობიექტზე, დიდი დიღმის ოაზისის მე-2 და მე-5 კორპუსში აწარმოებს. უახლოეს მომავალში სამშენებლო სამუშაოები წყნეთის საცხოვრებელ კომპლექსში დაიწყება.

„დექსუსმა“ სამშენებლო ბაზრის ყველაზე მსხვილი, „ცენტრ პოინტის“ ქოლგის ქვეშ გაერთიანებულ კომპანიათა ჯგუფის 100%-ანი წილი მართვაში 2010 წლის სექტემბერში აიღო. „დექსუსის“ მართვაში შესვლამდე პროექტებში სამშენებლო სამუშაოები პრაქტიკულად შეჩერებული იყო. „დექსუსმა“ 246 მომხმარებელი უკვე დააკმაყოფილა. ერთ წელიწადში კომპანია ამ მაჩვენებლის 3150-მდე გაზრდას გეგმავს, რაც მთლიანი მომხმარებლების 51,5%-ს შეადგენს.

ჯი-ეიჩ-ენი

## ნომრის კარიკატურა

### გრიპიანობის ჟამს

ამირან ერაძის ნახატი



სულიერება



## პოვნა ძელისა ჭეშმარიტისა და სამსჭვალეთა ელენე დედოფლის მიერ იერუსალიმში

**19 მარტს საქართველოს მართლმადიდებელი წმინდა სამოციქულო ეკლესია იხსენიებს ელენე დედოფლის მიერ იერუსალიმში ჭეშმარიტი ძელისა და სამსჭვალეთა პოვნას.**

...იესო ქრისტეს სიკვდილით დასჯის დროს გამოიყენეს ხის მორი, რომელიც ბოგირად იყო გადებული სიონის კედლებთან ჩამომავალ ნაკადულზე (თვით ხე წარმოადგენდა კედარის, ნაძვის და კვიპაროსის ერთ ტანად აღმოცენებულ მცენარეს).

ჯვრის ძელად გამოყენებული ეს მორი მაცხოვრის ჯვარცმის შემდეგ გოლგოთაზე, მიწაში ჩაფლეს.

მეფე კონსტანტინე თავგამოდებით ცდილობდა აღმოეჩინა ძელი ჯვრისა.

326 წელს კონსტანტინეს დედამ — წმინდა ელენემ იპოვა გოლგოთის ჯვარი.

ცნობილია, რომ მეოთხე საუკუნეში კონსტანტინემ საქართველოს უსახსოვრა გოლგოთის ჯვრის განივი ფიცარი, რომელზეც იესოს ფეხები ედო, ხოლო ჯვრის უმეტესი ნაწილი იერუსალიმის საპატრიარქოს ეკუთვის.

**გიული ლიპარტია**

ტესტი

# ღიმილი ყველას ათბობს...



**მოგეხსენებათ, არის გამოთქმა: იტირე — და მოგიწევს მარტო ყოფნა ტირილთან, გაიღიმე — და პასუხად მსოფლიოც გაიღიმებს.**

**გაეცანით ამ ტესტს, უპასუხეთ შეკითხვებს და გაიგებთ, ღიმილით თუ დადიხართ ქვეყანაზე.**

**1. უფრო მეტად გიყვართ დასვენება:**
ა) მხიარულ კამპანიაში — 1.
ბ) კარგი ნაცნობების ვიწრო წრეში — 2.
გ) მარტო — 3.

**2. დაასრულეთ ფრაზა: „უმიზეზოდ სიცილი — ეს არის...“**
ა) შეყვარებულის სიცილი — 2.
ბ) სიჩერჩეტის ნიშანი — 3.
გ) უბრალოდ ძალიან კარგ ხასიათზე ვარ — 1.

**3. თქვენი აზრით, ადამიანის ფასი განისაზღვრება...**
ა) მის მიერ გაკეთებული საქმით — 2.
ბ) მისი მეგობრების ოდენობით — 1.
გ) მისი მტრების ოდენობით — 3.

**4. თუ უცნობმა ქუჩაში გაგიღიმათ, თქვენ:**
ა) ღიმილითვე უპასუხებთ — 1.
ბ) რეაგირებას არ მოახდენთ — 2.
გ) გადაწყვეტთ, რომ თქვენ თქვენი სატკივარიც გყოფნით — 3.

**5. თქვენ მეგობრების კამპანიაში ბუნებაში ხართ, ამინდი უიმედოდ გაუარესდა. ამ მომენტში რომელი სიმღერა უფრო შეესაბამებოდა თქვენს განწყობილებას:**
ა) „ჟუჟუნა წვიმა მოვიდა“... — 2.
ბ) „ქარი ქრის, ქარი ქრის, ქარი ქრის...“ — 1.
გ) „მუმლი მუხასაო“ — 3.

**6. სამი მოყვანილი გამოთქმიდან, რომელია თქვენთვის ყველაზე ახლობელი:**
ა) „სიცილი — უმოკლესი მანძილია ადამიანებს შორის“ — 1.
ბ) „იმის შიშით, რომ არ ვიტირო, ვიჩქარი, რომ ვიცინო ყველაზე“ — 2.
გ) „შეიძლება დაივიწყო ის, ვისთანაც ერთობოდი, მაგრამ ვერასოდეს დაივიწყებ იმას, ვისთან ერთადაც მოწყენილი იყავი“ — 3.

**7. თუ ეხუმრებით ერთმანეთს ან უყვებით ანეკდოტებს მეგობრებს ელექტრონული ფოსტით ან მობილური ტელეფონით:**
ა) როგორც წესი, არა — 3.
ბ) ხანდახან — 2.
გ) დიახ, ხშირად — 1.

**8. ამოირჩიეთ ზღაპრის გმირი, რომელიც ყველაზე მეტად მოგწონთ:**
ა) ნაცარქექია — 2.
ბ) მიუნჰაუზენი — 1.
გ) მელაკუდა — 3.

**9. გააგრძელეთ ბრძენი კაცის გამონათქვამი: „ზოგჯერ მას შემდეგ, რაც ქალმა გაგიხსნათ გულის კარი, მას მეორე დღეს...“**
ა) ავიწყდება მომხდარი ამბავი — 3.
ბ) გიკეტავს გულის კარს — 2.
გ) იღებს მანქანის კარის გასაღებს — 1.

**10. შეგიძლიათ, გადადოთ სამუშაო და წახვიდეთ გასართობად?**
ა) ხდება ხოლმე, რომ ასეც ვაკეთებ — 1.
ბ) შეიძლება, თუ ძალიან საჩქარო საქმე არაა — 2.
გ) ამგვარი რამე ძნელად სავარაუდოა — 3.

## შეკრიბეთ ქულები და გააკეთეთ დასკვნა

**10-16 ქულა.** ერთმა ბრძენმა შენიშნა: „მხიარული ხალხი მეტ სისულელეს სჩადის, ვიდრე მოწყენილები, მაგრამ მოწყენილები დიდ სისულელეებს ჩადიან“. როგორც ჩანს, თქვენ ცდილობთ უყუროთ ცხოვრებას თავაშვებული მზერით, გიყვართ დროის მხიარულად გატარება, აფასებთ პატარა სიხარულსაც კი და უმთავრესად ცდილობთ, რომ წვრილმანებმა დიდად არ გაგიფუჭონ განწყობილება.

**17-23 ქულა.** თქვენ იუმორის პატრონი ბრძანდებით, რომელიც მზადაა გაიზიაროს დიდი შექსპირის აზრი, რომ მხიარული გული ცოცხლობს დიდხანს! თუმცა ზოგჯერ გიჭირთ მოეშვათ დიდ კამპანიებში, ხოლო უწყინარმა ხუმრობებმა თქვენდამი შეიძლება არასასიამოვნო ემოციები გამოიწვიონ. მიზეზი არის შიში — არ გამოჩნდეთ სასაცილოდ. იყავით უფრო მტკიცე და ყოველთვის დარჩით ისეთი, როგორიც ხართ, ვინაიდან ძირითადად ადამიანი სასაცილო ხდება მაშინ, როდესაც ცდილობს გამოჩნდეს ისეთად, როგორიც სინამდვილეში ის არაა. ამაში კი დაგეხმარებათ — დიახ, ღიმილი. იგი პოზიტიურ გავლენას ახდენს ემოციურ მდგომარეობაზე, მაგრამ, ამავე დროს, ხდის ადამიანს უფრო გახსნილს. ხშირად გაიღიმეთ! ეს გიხდებათ კიდეც.

**24-30 ქულა.** ცხოვრება უწინარეს ყოვლისა — ეს არის ის, რასაც ჩვენ მასზე ვფიქრობთ და მის შესახებ ჩვენი წარმოდგენისგან და აღქმისგან დიდად არის დამოკიდებული ჩვენი წარმატებანი და წარუმატებლობანი. სიცოცხლის მოყვარული მსოფლშეგრძნება, რომლის დროსაც ვცდილობთ ყველაფერი დავინახოთ ნათელი მხრიდან, მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ჩვენი გეგმების განხორციელებას. გირჩევდით, უფრო მარტივად შეხედოთ საგნებს და მოვლენებს. ნუ მისცემთ წვრილმანებს საშუალებას, რომ გაღელვებდნენ, გაშფოთებდნენ! ხოლო თუ მოულოდნელად გამოჩნდება რაღაც, თუნდაც სერიოზული სიძნელეები, ყური დაუგდეთ რჩევას: გსურთ, რომ პრობლემა გაქრეს — ზევიდან შეხედეთ მას, და იგი აღარ მოგეჩვენებათ გადაუჭრელად და გადაულახავად.

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 99-62-77; 899 32-85-76.



## ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.7039 ლარი |
| 1 ევრო | – 2.3650 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.7283 ლარი |
| 100 რუბლი | – 6.9315 ლარი |
| 1000 სომ. დრამი | – 5.6346 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.1479 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.1473 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.0749 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.5928 ლარი |



## ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | +8 — +17 |
| ქუთაისი. | +11 — +21 |
| ბათუმი. | +13 — +19 |
| ზუგდიდი. | +12 — +18 |
| თელავი. | +7 — +11 |

კადრი



ანეკდოტები

— მართალია, რომ ყველა ადამიანი მაიმუნისგან არის წარმოშობილი? — ეკითხება პატარა მიხო მამას.
— მართალია.
— მეც?
— შენც.
— შენ?
— მეც.
— მაშინდელი ფოტო ხომ არა გაქვს?

* * *



— გოგოებო, პლასტიკური ოპერაცია გავიკეთე! — ეუბნება დაშა დაქალებს. აი, აქ გადავიჭიმე კანი, აქ საერთოდ მოვაცილებინე! ჩანთისთვისაც დამრჩა!

* * *

შოკოლადი ბევრად უფრო გემრიელია, თუ ღამით არ შეიძლება მისი ჭამა.

* * *

— აღიარე, რომ მართალი არა ხარ და შეცდი.
— ამაზე რომ დაგთანხმდე, ეს კიდევ უფრო დიდი შეცდომა იქნება.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 814 33-33-24

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.